თი დამოკიდებულება. ავტორები არ ცდილობენ კრალაე კანსაკუთრებული კინოზრებებით გაიტაცონ მყურებელთა: კონსერვატიზმით მშვიდად, დაჯერებულად მიმდინარეობს.

ვ. ი. ლენინს, თავისი თხოვნის თანახმად, რაზლივში მოუტანეს ლურჯყდიანი რვეული, სადაც შეგროვილი ჰქონდა მასალები და შენიშვნები, თავისი მომავალი წიგნისათვის. ჩვენ თითქოს მოწმები ვართ ბელადის ცხოვრებისა, ყველაფრისა, რასაც იგი აკეთებდა იმისათვის, რომ მოახლოოს გადაწყვეტი მიზრუნება რუსეთის ისტორიაში, რუსი სახლის ბედში. მაცურებელი შეუწელებელი ინტერესით ადევნებს თვალს ლენინის აზრს, მის ფიქრს რევოლუციის ბედზე, რომელიც ამ ეტაპზე დრამატიზმით იყო აღსავსე.

სტატიკოპოლის დრამატული თეატრის მსახიობმა მიხეილ ჭუხუცევამ, რომელმაც ლენინის მხატვრული სახე შექმნა, შეძლო ფაქიზად და დამაჯერებლად გადმოეცა პარტიის დიდი ბელადის რწმენა, რომ რევოლუცია მალე გაიმარჯვებს.

ახლა ცნობილი საბჭოთა რეჟისორი გ. ა. ალექსანდროვი იღებს დოკუმენტურ სრულმეტრეტიან ფილმს „ლენინი შეეცარიაში“. ეს კინოფილმი დიდი სერიის „ლენინიანის“ ერთი ნაწილი იქნება. საცდისი კორექციონდენტთან საუბარში რეჟისორმა განაცხადა: „არ მინდა შევიზუდო მხოლოდ ქრონიკით, კინოინფორმაციით ლენინის იმ პერიოდის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, იმედო მაქვს, რომ შევძლებ ეკრანზე ავსახო ფაქტები, გრძობები, რომლებსაც მაშინ ლენინი განიცდიდა, ავსახო მისი შემოქმედებითი ლაბორატორია, ვაჩვენო, რომ მისი მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული საერთაშორისო მუშათა მოძრაობასთან.“

ძირითადი სიძინელები, რომლებიც დაკავშირებულია ამ ფილმზე მუშაობასთან, ის არის, რომ არ არსებობს კინოტორნიკა, რომელიც ასახავს ლენინს იმ პერიოდში. მაგრამ ალექსანდროვმა შეძლო შეგროვებინა მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებიც ახასიათებენ XX საუკუნის დამდგმის რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და სხვა ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. რეჟისორი აპირებს იმ წლებს ქრონიკის ფართო გამოყენებას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისათვის მზადების დღეებში საბჭოთა კინომუშაკები უფრო აფართოებენ მუშაობას კინოლენინიანისა და დიადი წლების კინომატინის შესაქმნელად.



1967 1967

1870 1870



3. ი. ლენინის დაბადების 94 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა თბილისში



სოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 94 წლისთავს მიძღვნა ქალაქ თბილისის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილების წარმომადგენლების საზეიმო სხდომა, რომელიც 22 აპრილს წ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა.

დარბაზში შეიკრიბნენ თბილისის ქარხნებისა და ფაბრიკების მუშები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ზელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა არმიის მეთაურები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომის მრეზიდენტად არიან ამაზაფხიძე: გ. ნ. ბოჩკაროვი, გ. ა. გეგეშიძე, ო. დ. გოცირიძე, შ. ი. კუჭავა, ვ. პ. მთავაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, გ. დ. ჯავახიშვილი, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრუიძე, ო. ე. ჩერქეზია, შ. ა. დოლიძე, პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალი, კომკავშირული ორგანიზაციების ბელმძღვანელები, ძველი ბოლშევიკები, სამრევლო საქარმოების წარჩინებული ადამიანები, ფილსაინო მეცნიერები, ლიტერატურისა და ზელოვნების მოღვაწეები.

სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. ი. ფრუიძემ. მოხსენება — ვ. ი. ლენინის დაბადების 94 წლისთავი — გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. გ. სტურუამ.

შეკრებიდან დიდი ყურადღებით მოისმინეს მოხსენება ვ. ი. ლენინის სახელოვანი გზის შესახებ, რომელიც საბჭოთა ხალხმა განელო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. საზეიმო კონცერტზე პირველად თბილისში შესრულდა საბჭოთა კომპოზიტორის გიორგი სვირიდოვის „პატივცემილი ორატორია“ ამ ნაწარმოებს 1959 წელს მიეცოფნა ლენინური პრემია.



იგი ავლენს როგორც კრიტიკულ-ლიტერატურულ წერილებში, ისე შემოქმედებაში. ი. გრიშაშვილის „კადმობრძოთ, ი. ჭავჭავაძეს განზრახვა ჭკონია მოეცა რუსთაველის ტარიელისა და შექსპირის კამლეტის შედარებითი დახასიათება, რაც მან სისრულეში ვერ მოიყვანა, მაგრამ იგი თავის კრიტიკულ წერილებში ხშირად ეხება შექსპირის და მისი მემკვიდრეობის მნიშვნელობის მაღალ შეფასებას იძლევა.

ი. ჭავჭავაძე პირველად შექსპირის ეხება რეჟისორის თვისების მიერ შესრულებული კოზლოვის „შემოილის“ თარგმანის შესახებ დაწერილ სტატიაში, რომელიც „ცისკარის“ 1861 წლის მეოთხე ნომერში გამოქვეყნდა. ამ წერილში ი. ჭავჭავაძე ცხადყოფს, რომ კოზლოვი უნიჭო მწერალია, რომელსაც არ შეუძლია შემოილი ადამიანის განცდების ჭეშმარიტი მაღალმხატვრული გამოხატვა. იგი აღნიშნავს, რომ კოზლოვი შემოილის მხოლოდ გარეგნულ ნიშნებს აღბეჭდავს, მის ანდერგულ თვალებსა და სახეს გამოხატავს, მაშინ როდესაც შექსპირი ღრმად წვდება შემოილი ადამიანის სულის მდგომარეობას. „აბა შექსპირის ოფელია აიღუთ, ან კოროლი ლირი და განსაჯეთ! იქ, თუმცა შექსპირი არ ამბობს ჭკვიდან შემოილუბი არიანო, მაგრამ მიაყოლეთ გონება იმათ სიტყვებს და მაშინვე გაიგებთ შესაბარებელი შემოილი ადამიანის სულის მდგომარეობას... იქ სიტყვა არის პირდაპირი გამოთქმული სულის მდგომარეობისა. აბა, კოზლოვის თხზულებიდან ამოფხიკეთ ზედმესრული „შემოილი“ და მერე გასინჯეთ, სიტყვები შემოილისა თუ ჭკვიანად არ გეჩვენოთ“¹, — წერს იგი.

იმვე 1861 წელს, თავისი კრიტიკისთვის წინააღმდეგ მმართველ საპასუხო წერილში ი. ჭავჭავაძე კვლავ იმეორებს შექსპირის. მისი მტკიცებით, ისეთი დიდი მწერლების შექმნასათვის, როგორც არიან შექსპირი და ბაირონი, საკმარისი არ არის მარტო დიდი ნიჭი, არამედ აუცილებელია უფრო მაღალი, რთული და მდიდარი საზოგადოებრივი ცხოვრების დონე, ვიდრე იყო საქართველოს ვითარება XIX საუკუნის შუა ხანებში.

შექსპირისა და მსოფლიო კლასიკოსების მემკვიდრეობას ილია ჭავჭავაძე ხშირად იყენებს ესთეტიკის თეორიული საკითხების გადაწყვეტისა და დასაბუთებისათვის, კერძოდ ესთეტიკური გრძნობის რაობის გასარკვევად. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ესთეტიკურ გრძნობას იწვევს, როგორც ცხოვრების სასაცილო და საკეთილდღეო მოვლენები, ისე მწუხარებისა და ბოროტების გამოხატვა, იგი წერს: „ზარდაცემი ბოროტებაც ისეთივე მშვენიერებაა, როგორც გულწარმეტაცი კეთილი... სისხლისმშემელი. კაცისმკვლეელი მკებეტის აფთარი ცოლი ისეთივე მშვენიერებაა ხელოვნების თვალთ და ესთეტიკური გრძნობის შეზღუდვებით, როგორც გულგული, გულწრფელი და კეთილმოქმედი კორდელია“². 1887 წლის „ივერიის“ 29-30 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში, — „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არ გვაჭმის“, ილია წერს, რომ ქართული ლიტერატურის საკითხების გაშუქება ჯერ კიდევ ზეღუპილებელ ყაზირს წარმოადგენს და დიდ სარბიულს აძლევს კრიტიკოსს თავისუფალი და ორიგინალური აზრის გამოსატყეველად. იგი აღნიშნავს, რომ „ჩვენი სწავლული, განათლებული,

შექსპირი და რევოლუსიამდელი ქართული კულტურისტიკა

ნიკო ურუშაძე

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი



შექსპირის დრამების პირველი თარგმანების შემდეგ, ქართული პერიოდული პრესა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მკითხველ საზოგადოებას თანდათანობით აცნობდა დიდი ინგლისელი დრამატურგის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ამ საქმეში პირველი სიტყვა გუთუნის ახალი ქართული ლიტერატურის მედროშეს ილია ჭავჭავაძეს, რომელიც ქართული ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკის ფუძემდებელიც არის.

ილია ჭავჭავაძე შექსპირისადმი დიდ ინტერესს საშუალო სკოლაშივე იჩენდა, რაც შემოქმედებით სარბიელზე გამოსვლასთან ერთად თანდათანობით ძლიერდებოდა. ამ ინტერესს

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული პე ტომად. ტ. 111, გვ. 13-14.

უზარმაზარ წიგნს დაწერენ და შესაძლოა კარგი შრომებიც კი შექმნან შექსპირისა და მსოფლიოს სხვა კლასიკოსების შესახებ, მაგრამ სუსტობენ ქართული ლიტერატურისა თუ კულტურის საკითხების გარკვევაში².

უაღრესად საყურადღებოა ის აზრები, რომლებიც ი. ჭავჭავაძის შექსპირის შესახებ გამოთქმული აქვს თავის წერილში — „აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მან 1887 წლის გაზეთ „ივერიის“ 18, 19, 21 აპრილის ნომერებში გამოაქვეყნა, რომელშიც „ვეფხისტყაოსანს“ ზოგადაკვიბრულ მნიშვნელობას ანიჭებს და მას შექსპირის ნაწარმოებთა გვერდში აყენებს, როგორც მათი თანაბარი მნიშვნელობის მქონე მხატვრულ ძეგლს.

„ვეფხისტყაოსანის“ შეფასების ასეთი მასშტაბი ი. ჭავჭავაძის უდიდეს დამახებრებას წარმოადგენს, რაც შემდგომ რუსთაველოლოგიაში გაღრმავებას პოულობს. ი. ჭავჭავაძე, რუსთაველის პოემის ზოგადაკვიბრული მნიშვნელობის გაგებაში, შექსპირის შემეკიდრებობას იყენებს; მისი მტკიცებით, შექსპირის გმირები — ფალსტაფი, ოტელი, ჰამლეტი და რუსთაველის ტარიელი და ავთანდილი დიდი მხატვრული ძალით შექმნილი სახეებია, რომელთაც აქვთ თავიანთი საკუთარი სამკაულები, საფურავი, ხატი; მაგრამ, ი. ჭავჭავაძის აზრით, ამ სახეება სამკაულები არ არის მთავარი, არამედ არის კერძო ნიშნები, მთავარია ის, რაც მათში ზოგადია.

ი. ჭავჭავაძე არ იზიარებს იმას, რომ ა. წერეთელი რუსთაველის გმირებში საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ხედავს, რაც პოემის მნიშვნელობას ამცირებს. ი. ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ „ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვანი — მამაკაცი და დედაცაყენი“ ვეფხისტყაოსანისა“, ყველაზე უწინარეს, ადამიანები არიან. ზოგადი ადამიანის ბუნების მიხედვით შექმნილი და აგებული³.

ი. ჭავჭავაძე ასეთად მიიჩნევს შექსპირის გმირებს. იგი წერს: „შექსპირს... განა იმით არ ადიდებენ ყველანი და მსოფლიო გენიოსად არ თვლიან, რომ კაცადაკანი გამოჰყავდა თავის სახელოვან დრამებში და არა შოტლანდიელი, ვალისელი ან ინგლისელი? ვიწრო მოედანი მარტო პატარა ფალსტაფის სარბიელია და არა იმისთანა გოლიათისა, როგორიც შექსპირია და თუნდაც ჩვენი რუსთაველი“⁴.

რუსთაველის სიდიადის შეფასებისათვის ასეთი მასშტაბი ა. წერეთელსაც აქვს მომარჯვებული. იგიც, საქართველოში რუსთაველის პოემისადმი დამოკიდებულების საკითხის გაშუქებასთან დაკავშირებით, შექსპირს მიმართავს. ა. წერეთელი წერს: „იხეთი ბედი, როგორც „ვეფხისტყაოსანს“, არც ერთი ხალხის თხზულებას არ ჰქონია. მაგალითად ავიღოთ უცვდავი შექსპირის თხზულებანი, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ხალხისათვის გაუგებარი იყო; აგრეთვე სხვებიც, ერთ დროში, რომ ქება-დიდებაში ყოფილან, ის დრო წასვლიან, ...დავიწვევებო მცემულან, მასთან ყოველი წრისაგან ერთნაირ მოწონებაში არ ყოფილან. „ვეფხისტყაოსანი“ კი დღეწერა თუ არა, ავტორის თქმის არ იყოს (ი. ჭავჭავაძის), მაშინვე გახდა ხელისხელსაგომანებელ ობოლ მარგალიტად“⁵.

როგორც ჩანს, ა. წერეთელმა, ჯერ კიდევ 1881 წელს აყენა რუსთაველი შექსპირის გვერდით.

ა. წერეთელმა ილია ჭავჭავაძეს ვრცელი წერილით უპასუხა, რომელშიც იგი ამტკიცებს შექსპირის შემოქმედების დრმა ცოდნას. როგორც ი. ჭავჭავაძე, ისიც ხაზს უსვამს შექსპირის გმირების ზოგადაკვიბრულ ხასიათს, მაგრამ ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ ზოგადი არ არსებობს კერძო გარეშე. მას კარგად ესმის, რომ კლასიკოსის შემოქმედებაში ეროვნული და ზოგადაკვიბრული დიალექტიკურ ურთიერთობაშია. აკაკი წერის: „ილია ჭავჭავაძის სამაგალითოდ შექსპირის გმირები მოჰყავს და იმას კი ივიწყებს, რომ იულიუს კეისარი ან ქაირულანოსი (კორიოლანოსი) მართალია მსოფლიო ტიტები არიან, მაგრამ ყველაზე უმაღლესი რომაელებიც არიან და მათ ზოგადობას ეს არა თუ უმლის რასმე, კიდევ ეწვევა. ტიმონ ათენელი ბერძენია, ჰენრი კი ინგლისელი და სხვა და სხვა“.

ეს დეტლები იმის ნათელყოფაა, თუ რამდენად კარგად იცნობდნენ ქართველი ხალხის სასიქადლო პოეტები შექსპირის შემოქმედებას, მის შესახებ ორიგინალურ აზრებს გაამოთქვამდნენ და დიდი ინგლისელი დრამატურგის შემოქმე-

კ. ყვფიანი — მეფე ლირი



² ი. ჭავჭავაძე ტ. III გვ. 168.
³ ი. ჭავჭავაძე ტ. III გვ. 175.
⁴ წერეთელი, თხზულებანი, 1960 წ. ტ. XII, გვ. 88.



დებსა ქართული ლიტერატურის საკითხების გასაშუქებლად იყენებდნენ.

ა. ჭავჭავაძე თავის უკუდავ სახეთა შექმნაში ორიენტაციას იღებდა რუსთაველზე, სულხან-საბა ორბელიანზე, დ. გურამიშვილზე, ნ. ბარათაშვილზე და მსოფლიო ლიტერატურის ისეთ კორიფეებზე, როგორც არიან შექსპირი, სერვანტესი, გოთე, ბაირონი, პიუგო და სხვები. იგივე შეიძლება ითქვას ა. წერეთლისა და ვაჟას შესახებაც.

ილიასა და აკაკის გვერდით, ჩვენი სალიტერატურო აზროვნების განვითარებაში მნიშვნელოვანია ვაჟას კრიტიკული ლიტერატურული შეხედულებანი შექსპირის შესახებ.

ვაჟა ფშაველა თავის თეორიულ წერილში „რა არის პოეზია“⁶, არკვევს პოეზიის არსსა და დანიშნულების საკითხს. პარალელს აკლავს ბუნებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს შორის. ვაჟა წერს: „აბა დააკვირდით ლამაზულ აზნაურს დონ-კიხოტს, შეადარეთ იგი თვით ბუნებასთან; რამდენ მსგავსებას ნახათ მათ შორის! რა არის თვით ბუნება, თუ არა დონ-კიხოტი... რამდენადაც ნიჭიერია მწერალი, რამდენადაც მაღალი და დიდებულია მისი გრძობა — გონება, იმდენად საესებით მხატვარს იგი ბუნებას არჩეული ტიპის შეობებით. შექსპირი იმიტომ არის დიდებული ყველა მკოსანთა შორის, რომ ბუნება საესებით გამოსჭვივის იმის ნაწერებში“⁶.

⁶ ვაჟა ფშაველა, ოსხულებათა სრული კრებული, 1961 წ. ტ. V, გვ. 401.

ლადო მესხიშვილი — ჰამლეტი



ვაჟა ფშაველა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მხატვრული შემოქმედების ურთიერთობის საკითხებს ეხება მრავალ წერილში და, კერძოდ, „რამე-რუმეში“⁷. იგი ამა თუ იმ დებულებას დასაბუთებლად, ხშირად მიმართავს შექსპირს, სერვანტესს, გოთესა და მსოფლიო ლიტერატურის სხვა კორიფეებს და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პოეზია დიდ გაკლუნას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ადამიანთა მოქმედებაზე, მათ ზნეობრივ სამყაროზე. ასეთი შემოქმედების საშუალებად მის დიდი მხატვრული განზოგადების მქონე ტიპური სახეები მიაჩნია. ვაჟა ლაპარაკობს უარყოფით (მისი რწმენით, უვარგის) და დადებით (საქიროს) ტიპებზე, რომელთაც, მისივე თქმით მწერალი ცხოვრების საჭიროების მიხედვით ქმნის. თანამედროვე ქართული მწერლობიდან ვაჟას ამ მხრივ უფრო მნიშვნელოვანდ იღია ჭავჭავაძის მიერ შექმნილი ტიპები მიაჩნია, რომლებიც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ცხოვრებას დროის საჭირობოტო საკითხებს უკახუებენ.


ვაჟა ფშაველა წერს: „მაღალი ხარისხის ტიპები ღერძია ეროვნების ცხოვრებისა და სხვა წერილმანი ტიპები კი მხოლოდ სოლებია ამ ღერძისა, მხოლოდ ერთ რომელიმე მხარეს აკმაყოფილებენ მკითხველის სულისას“⁸. პირველი, მისივე თქმით „მთელს კაცის არსებას მოიყვანს მობრახობაში და მიეღვს მის გულ-გონებას მიიზიდვას... არიან კიდევ სხვაგვარი ტიპები, საკაცობრიო, როგორც მაგალითად, დონ-კიხოტი და ჰამლეტი; ესენი მთელი კაცობრიობის საჭიროების მიხედვით არიან შექმნილი, ანუ მათში გამოიხატება კანონები ცხოვრებისა. დონ-კიხოტი არის მაძიებელი სიმაართლისა, ამისათვის თავგანწირვით მებრძოლი, ხოლო ჰამლეტი ძიებისაგან მოპოვებულის მწხრდველ-მრკვეველი, ანალიტიკოსი. ეს თვისება, ეს წესი საკაცობრიო საჭიროება და არა მარტო ესპანელი-ინგლისელის კუთვნილება“⁸.

ვაჟა ფშაველას აზრით, მწერალი ასეთ შედეგებს აღწევს მხოლოდ იმით, რომ მისი შემოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან. იგი წერს: „შექსპირი ხომ მსოფლიოს უდადესი პოეტი. აბა კარგად დაუკვირდით იმის მწერლობას, თუ იგი ყველაზე მეტად არ ცდილობდეს დაეკმაყოფილოს ეს საჭიროება, არა ერთი რომელიმე ერისა, არამედ მთელის კაცობრიობისა“⁷.

ახალი ქართული ლიტერატურის ამ სამმა ბუმბერაზმა მწერალმა შექსპირის შემკვიდრობისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება გამოამჟღავნა. ისინი დიდი ინგლისელი დრამატურგის შემკვიდრობას იყენებენ ქართული ლიტერატურათმცოდნეობის პრინციპული მეთოდოლოგიური და აქტუალური ლიტერატურული საკითხების გასაშუქებლად; მაგრამ ქართული შექსპიროლოგია XIX საუკუნეში და საერთოდ რევოლუციამდელ პერიოდში ამით არ შემოფარგლულა.

ქართული პრესა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან შექსპირის შემკვიდრობის საკითხებს ეხებოდა არა მხოლოდ დიდი დრამატურგის პიესების თარგმნასა და დადგმასთან დაკავშირებით, არამედ პრესაში გამოქვეყნებული დამოუკიდებ-

⁶ ვაჟა ფშაველა, ოსხულებათა სრული კრებული, 1961 წელი ტ. V, გვ. 406.
⁷ ვაჟა ფშაველა, ტ. V, გვ. 407.



ლი წერილების სახითაც, რომლებითაც მკითხველი საზოგადოებრიობა ეცნობოდა შექსპირის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ჟურნალმა „ცისკარი“ 1861 წლის მეორე და მესამე ნომერში შთააბავს მ. დიდებულების მიერ რუსულიდან იარგმნილი ინგლისელი მწერლის მხატვრული ნარკვევი „სიხრამე შექსპირისა“. იარგმანმა ჟურნალის 51 გვერდი დაიჭირა. ნარკვევი რომანტიკული სულისკვეთებით არის აღბეჭდილი. იგი თთბი თავისგან შედგება, რომლებშიც აღწერილია გრაფ ლესტერის მიერ 1576 წელს ლონდონის მიდამოებში ელისაბედ დედოფლის პატივსაცემად მოწყობილი ნადირობა. ნადირობას, მამის სურვილის წინააღმდეგ, დაესწრო სტრეტფორდელი ოლდფერნისა და მატყლით მოვაჭრე მოქალაქის შექსპირის 12 წლის ვაჟი უილიამი; იგი ტყეში შებგდა ვეღურების ღმერთის სახით გამოწყობილ ცნობილ პოეტს გასკოინს, რომელიც საეკუთარი ლეკვებით უნდა მისალმებოდა დედოფალს. გასკოინს თან ახლდა ბანის მოქმედი ყმაწვილი, რომელიც ტყეთან ელისაბედის გამოჩენის დროს, შეუძლოდ გახდა. აქ შემთხვევით მყოფმა 12 წლის უილიამ შექსპირმა ავაძამყოფი ყმაწვილი წარმატებით შესცვალა და დედოფლის ჯილდოც დაიმსახურა.

ნარკვევის მოქმედ გმირად გვევლინება ოცი წლის ენტი (ქნ ჰეთუი ნ. უ.), რომელიც 12 წლის გენიალურ ბავშვზეა შეყვარებული. იგი აშკარად აცხადებს, რომ უილიამის დავაგვაცხებას დაელოდება და უეჭველად გახდება მისი ცოლი. ამგვარად ნარკვევი ხაზი ესმება იმ ვარემოებას, რომ შექსპირმა უკვე ელისაბედ დედოფლის ცნობილი ნადირობის დროს გამოამჟღავნა თავისი გენიალობა, რაც შემდგომი თავისი შემოქმედებით გაამართლა.

ასეთია ნარკვევის ტენდენცია, რომელსაც რედაქციამ მცირე შენიშვნა გაუკეთა. ამ შენიშვნაში აღნიშნულია, რომ შექსპირმა გენიალური ნიჭი გვიან გამოამჟღავნა, როცა ის ოცდაათ წელს გადაცილებული იყო. გარდა ამისა რედაქცია პირველად ქართულ ენაზე მკითხველ საზოგადოებას აწოდებს მოკლე ცნობებს შექსპირის ცხოვრებისა და შემკვიდრებობის შესახებ. აქვე ნათქვამია, თუ რამდენად მძიმე იყო მსახიობის მდგომარეობა შექსპირის ეპოქაში. შენიშვნაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ კლასიციზმის ბატონობის პერიოდში შექსპირი დავიწყებული იყო, რაც ვოლტერის საშუალებას აძლევდა მისთვის მთვრალი ველური ეწოდებინაო. რედაქცია აგრეთვე მკითხველებს აუწყებდა, რომ დ. ყიფიანმა შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ გადმოთარგმნა, ხოლო ლ. არდაზიანმა კი — „ჰამლეტი“ და თან დასძენს, რომ იგი უახლოეს დროში გამოაქვეყნებს შექსპირის ერთი პიესის თარგმანს, რაც მან სისრულეში მოიყვანა „რომეო და ჯულიეტას“ გამოქვეყნებით.

1864 წელს მთელმა კულტურულმა კაცობრიობამ ფართოდ აღნიშნა შექსპირის დაბადების 300 წლის საიუბილეო თარიღი. ამ თარიღს ჟურნალი „ცისკარი“ 1865 წლის პირველ ნომერში გამოეხმაურა ნიკოლოზ არლუთაშვილ-მხარგრძელის წერილით „უილიამ შექსპირი“. წერილი ოდესიდან იყო გამოჩინებული. ავტორს განზრახული ჰქონდა შექსპირის დაბადების 300 წლისთავთან დაკავშირებით ქართული ჟურნალისათვის

მიეწოდებინა რამდენიმე წერილი დიდი ინგლისელი დრამატურგის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. **ქართული პირველი წერილი შექსპირის ბიოგრაფია მხარგრძელისა** როცა მიხედვით არის გადმოცემული. არლუთაშვილი ამტკიცებს, რომ შექსპირი უნივერსალური გენიოსია, რომელთან შედარებით ბაირონი და შილერი უმნიშვნელო მწერლებია.

შექსპირის ბიოგრაფიის შემდეგ, არლუთაშვილი ვრცლად გადმოსცემს „მეფე ლირის“ შინაარსს და პირდება მკითხველს, რომ შედგენა გააცნობს „რომეო და ჯულიეტას“, „ოტელიუს“, „ვენიციელ ვაჟას“ და სხვა პიესებს.

არლუთაშვილის წერილი არ გამოირჩევა არც მაღალი გემოვნებით და არც შექსპირის კარგი ცოდნით, ამიტომ ჟურნალმა აღარ დაბეჭდა მისი სხვა წერილები; პირიქით, იმავე წელს, მეოთხე ნომერში, მღვდელის ფსევდონიმით გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ავტორი არლუთაშვილს უეციობას სწამებს. მღვიმელი მკითხველს პირდება, რომ ფართოდ გააშუქებს შექსპირის შემოქმედებას, მაგრამ არც ეს დაპირება შესრულდა.



ვილრიან გუნი — ოტელიო



„ლივრანა გუნია —
მამი ლირა“

IV“, ფალსტაფის ოინბაზოზით მოზიბლულმა დედოფალმა შექსპირის დაავალა ისეთი პიესა შეექმნა, სადაც მთავარი გმირი ფალსტაფი იქნებოდა. შექსპირმა შექმნა „ეინძორული მხიარული ქალები“, რომელმაც სასახლეში აღტაცება გამოიწვია.

წერილის დასასრულს ვკითხულობთ: „დიდხანს იცოცხლებს კაცობრიობის ხსოვნაში უდიდესი გენიოსი და შეუდარებელი ტრაგიკოსი, რომლის ქმნილებანი სამასი წელიწადი ამშვენებენ ყველა განათლებული ხალხის თეატრს. დღეს მისი თხზულებანი შეადგენს მთელი განათლებული ქვეყნის სიბრძნის წყაროს... ყოველი ინგლისელი მასში ეძიებს თავის გონების საუნჯეს“.

ეურნალმა „მოამბემ“ 1902 წელს № 8, 9, 10-ში მკითხველებს გააცნო შექსპირის ცნობილი მგვლეჯარის გერვინუსის ნარკვევები: „ჰამლეტი“, „მეფე ლირის“, და „მაკბეტის“ შესახებ, რომლებიც მაღალი ლიტერატურული დონით გამოირჩევა.

რევოლუციამდელი ქართული საზოგადოებრიობა ეზნუერებოდა შექსპირის სახელით დაკავშირებულ ყველა საიუბილეო თარიღს. 1902 წელს თბილისის თეატრში სპეციალური დადგმით აღინიშნა „ჰამლეტი“ პირველი დადგმიდან 300 წლის საიუბილეო თარიღი.

1914 წელს მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად, ქართველი საზოგადოებრიობაც გამოეხმაურა შექსპირის დაბადების 350 წლის საიუბილეო თარიღს. ამ მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენას წერილი მიუძღვნა გ. ქიქოძემ. (ეს წერილი მთავანებლია 1963 წელს გამოსულ რჩეულ თხზულებათა I ტომში გვ. 371-375). იგი დაწერილია ავტორისათვის დამახასიათებელი მოკრძალებით, დიდი ერუდციითა და მახვილი ლიტერატურული გემოვნებით. გ. ქიქოძეს მოჰყავს ფრანგი კრიტიკოსის ვიულ ლემეტრის სიტყვები შექსპირის „ჰამლეტი“ შესახებ, რომ ყოველად შეუძლებელია რაიმე ახლის თქმა ამ დიდ ტრაგედიაზე, და აღინიშნავს, თუ რამდენად მძი-დარია შექსპირის ირგვლივ არსებული ლიტერატურა. გ. ქიქოძე ყურადღებას ამახვილებს ეპოქისა და შექსპირის მემკვიდრეობის დახასიათებაზე. წერილში ხაზი ესმება იმასაც, რომ შექსპირის შემოქმედების ღირსეული დაფასება გვიან იწყება (ლესინგიდან). გ. ქიქოძე ეხება შექსპირის დრამების ლიტერატურულ წყაროს, სიუჟეტების დამუშავების საკითხებს და დასძინებს: „ამ მასალით შექსპირმა ისარგებლა ისე, როგორც მოქანდაკე სარგებლობს მარმაროლით. მან მისი შემოქმედებით შექმნა დამოუკიდებელი, მშვენიერი ქვეყანა, რომელიც მისი პოეტური და ფილოსოფიური სულის ბეჭეფს ატარებს. მან შექმნა უთვალავი მხატვრული ტიპები და სახეები, რომლებიც კაცობრიობის მუდმივ თანამგზავრად დარჩებიან; ის შეეხო ყველა დიდ პირობებს, რომელნიც ადევლებენ კაცობრიობას. მისი აზრები სიცოცხლის, სიველის, სიყვარულის ბედისწერის და სხვათა შესახებ მუდმივ დარბაზ კაცობრიობის ხსოვნაში, როგორც დაუშრეტელი წყარო სიბრძნისა და ღრმა დაკვირვებისა“.

იუბილეოსთან დაკავშირებით შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ 1914 წლის ეურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მეცნრ ნომერში მცირე მოცულობის წერილი გა-

70-იან წლებში შექსპირის შემოქმედების პოპულარიზაციას ეწეოდა გაზეთი „დროება“, რომელიც აქვეყნებდა პიესების თარგმანებს და რეცენზიებს პირველი შექსპირული სპექტაკლების შესახებ. „დროების“ შემდეგ, 80-90-იან წლებში შექსპირის შემოქმედების პოპულარიზაციას ეწეოდნენ ეურნალები: „ივერია“ (შემდეგში გაზეთი), „თეატრი და ცხოვრება“ და „აკვალი“.

1877 წელს ეურნალ „ივერიის“ მეექვსე ნომერში მოთავსებული იყო ცნობა იმის შესახებ, რომ ცოტა ხნის წინათ, ინგლისში აუქციონით ათ თუნდად გაიყიდა მუხის საფარტელო, რომელზედაც დიდი დრამატურგი დრამებს წერდა, აგრეთვე მისი ერთი ძველი ნაბეჭდი თხზულება.

ეურნალი „აკვალი“ 1893 წლის 36-ე ნომერში, ს. დ-ძეს ფსევდონიმით აქვეყნებს წერილს შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, აქ აღნიშნულია, რომ 1593 წელს შექსპირმა, მომეყენატო ლორდის საუთამპტონის ქალიშვილის ქორწინებასთან დაკავშირებით, დაწერა პოემა „ვენერა და ადონისი“. ამით მას ფართოდ გაეღო სასახლის კარები. ამ ქორწინების დროს შექსპირი ელისაბეფ დედოფლისთვის წარუდგინათ, რომელმაც მას სასახლის პოეტის წოდება მიანიჭა. წერილში ლაპარაკია შექსპირის პიესების წარმატებათა შესახებ. „ამიერიდან, — ვკითხულობთ ეურნალში, — შექსპირის ყოველი ნაწარმოები დაბეჭდილი თუ დაუბეჭდავი სახით, ხალხის საკუთრება ხდებოდა. თეატრი მისი პიესების დადგმის დროს ხალხს ვერარ იტყვდა“.

წერილში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ხალხზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შექსპირის სინეტებმა და „ქენრი



მიყვანდა. ავტორი (ი. არიმათიელი) წერილის დასასრულს აღნიშნავს, რომ დღეს სადაღო არის მიჩნეული, თუ ვის ეკუთვნის პიესები, რომლებიც შექსპირის სახელით იყო ცნობილი, მაგრამ ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, მთავარია მათი სიიდეა და მნიშვნელობა მთელი წერილები კაცობრიობისათვის. აქ პირველად და უკანასკნელადაც, რეკომენდირებული ქართულ პრესაში, გავერთო არის ნახსენები „შექსპირის ავტორობის“ საკითხი, რომელიც მთელი სერიოზულობით სწორად გამოვლინდა მსოფლიო ომის წინა წერილებში იყო დასმული. შემდეგ წლებში მსოფლიო შექსპირიანაში ყურადღებას იქცევდა ბელგიელი ეურნალისტიკის დახლოების პიპოლეზა, რომელიც ამტკიცებდა, რომ შექსპირის სახელით ცნობილი გენიალური ტრაგედიები და კომედიები ეკუთვნის 1612 წელს დაღუპულ დიდგვაროვან არისტოკრატ როჯერ რეტლენდსო. ამ თეორიას ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც ჰყავდა მიზნობრივ შექსპირის ცნობილ მკვლევარებს შორის, როგორც იყვნენ ფრიე, შიპოლინსკი, ა. ლუნანასკი. საბჭოთა პერიოდის შექსპირიანაში ამ თეორიას იზიარებდა ქართველი რეჟისორი და შექსპიროლოგი ვახტანგ გარკი.

სხვა წერილები შექსპირის დაბადების 350 წლის თარიღთან დაკავშირებით ქართულ პრესაში არ გამოქვეყნებულა.

მალან მალე ამის შემდეგ, 1916 წელს კულტურულმა კაცობრიობამ აღნიშნა 300 წლის თარიღი შექსპირის გარდაცვალებიდან, რაც დაემთხვა პირველ მსოფლიო ომს. მიუხედავად ამისა ქართული კულტურული საზოგადოებრიობა მაინც მზრუნველ გამოჩნდა ამ მოვლას. თბილისის თეატრალურმა კოლექტივმა, კ. ანდრონიკაშვილის რეჟისორობით, განაბორცო „მეფე ლირისა“ და „კამელეტის“ ახალი დამგები. მეფე ლირის როლი გ. გენიამ შესასრულა, კამელეტის — ალ. იმედაშვილმა.

ქართული პერიოდული პრესიდან ამ თარიღს ყველაზე ადრე გამოეხატა ეურნალი „კვლევი“ (მოზრდილთათვის), რომელმაც ჯერ კიდევ იუბილეს დაწყებამდე, მარტის ნომერში, გამოაქვეყნა წერილი შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, ალ. ლორდელის ფსევდონიმით. წერილი კარგი მატერიალი აღლოთი და გემოვნებით არის დაწერილი. ავტორი მოზრდილი ასაკის ბავშვებისათვის გასაკვირი მატერიალი ენით ლაპარაკობს შექსპირის მნიშვნელობაზე კაცობრიობის კულტურის ისტორიაში. ეურნალის ფურცლებზე ვკითხულობთ: „შექსპირის თხზულებანი — ეს ის ზღაპრული ჯადოსნური სარეკა, რომელიც ჩახვედითაც ადამიანი დაინახავს მიღე ჩვენ ცხოვრებას, მიწვდება მის ყოველ კუნძულს, გაეცნობა მის ყოველგვარ მხარეს, მის ავსა და კარგს, სიმწვევასა და სიტკბობას, მორატებასა და სიკეთეს. შექსპირი ადამიანის სულს ჯადოსნური მესაიდუმლეა. ადამიანის გულში არ აღძრულა ისეთი გრძობა, რომ მას შექსპირი არ მიწვედომოდ და თავის უკვდავ ნაწარმოებებში არ გადმოეცა. მისი ღრმა შინაარსი და აზრები ავსებს ჩვენს გრძობას სიბრძნით, ცხოვრების ცოდნით, გამოცდილებით. ერთი სიტყვით, შექსპირი ჩვენი უდიდესი და უკვდავი მასწავლებელია“.

იმავ ნომრის მეორე წერილში მოცემულია ცნობები შექსპირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ეურნალი

შემდგომ ორ ნომერში ბეჭდავს ანასტასია წერეთლის წერილებს, რომლებიც ეურნალით ენით გადმოეცემა „მეფე ლირის“ ნაარსს.

ქართული გაზეთებიდან შექსპირის საიუბილეო თარიღი ყველაზე უკეთ „სახალხო ფურცელში“ აღნიშნა 23 აპრილის სარედაციო წერილით „ორი დიდებულის ადამიანი“. წერილი გულისხმობს შექსპირისა და სერვანტის გარდაცვალების თარიღებს (აღორძინების ეს ორი ტიტანი ერთ დღეს გარდაიცვალა). იმავე ნომერში მოთავსებულია გ. ბარელის სპეციალური წერილი „კამელეტის“ შესახებ. ავტორი მოკრძალებით ლაპარაკობს ამ გენიალური ქმნილების შესახებ. მისი დახასიათებით, კამელეტი ისეთი ადამიანია, რომლის ბუნებაში მოგროვილია უდიდესი ღირსება, მაგრამ მისი ნაწი ბუნება ტრაგედიას განიცდის უხეშ სინამდვილესთან შეჯახებაში, რასაც წერილის ავტორის თქმით, შექსპირი ისე გადმოსცემს, რომ იგი დღესაც უძლიერეს შთაბეჭდილებას ახდენს. მრავალი ადამიანი გულში ატარებს ამალეტურ სევდასა და ტანჯვას.

იმავ ნომერში გახსენა მოთავსა კ. ყიფიანის წერილი („შექსპირი ქართულ ენაზე“), რომელშიც ავტორი ქართულ ენაზე თარგმნილ შექსპირის პიესებს ეხება და ჩამოთვლის შექსპირის მთავარ გმირებს, რომლებიც ქართველ მსახიობებს შეუსრულებიათ.

„სახალხო ფურცლის“ 24 აპრილის ნომერში მოთავსებულია ნ. დუბროვსკის წერილი შექსპირზე და ი. გუდვენიშვილის წერილი „დონ-კიხოტი და კამელეტი“. ნ. დუბროვსკის ვრცელი წერილის გაგრძელება გამოქვეყნებულია 27 აპრილის ნომერში. ეს წერილი მკითხველის საფუძვლიან წარმოდგენას უქმნის შექსპირის ცხოვრებასა და შემოქმედებას. იგი დაწერილია ღრმა მეცნიერული ცოდნით და მაღალი მხატვრული გემოვნებით. წერილი შექსპიროლოგიის უკანასკნელ მიღწევებს ეყრდნობა. პირველ ნაწილში ავტორი ღირსებით განწყობით ლაპარაკობს შექსპირზე, როგორც უნივერსალურ გენიოსზე, რომლის მნიშვნელობა, მისივე თქმით, კაცობრიობის კულტურის ისტორიაში, არათუ მცირდება, არამედ სულ უფრო და უფრო იზრდება. წერილში უკითხულობთ: „რაც უფრო წინ მიდის კაცობრიობა, რაც უფრო ღრმავდება მისი აზრი, მით უფრო მეტ სიღრმეს და სიფართოვებს, სიყოფიერებასა და აღმაფრენას პოვებს იგი შექსპირის შემოქმედებაში“.

პირველ წერილში ნ. დუბროვსკი იძლევა რენესანსის ეპოქის დახასიათებას, რომელიც მისივე თქმით, ხელს უწყობდა პიროვნების თავისუფალი იდეის გაფორმებას. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შექსპირი იდეა თავისი დიდი ეპოქის არსებობისა და კულტურის უმაღლეს მწვერვალზე, უდიდეს ერულიყას ამტკიცებდა მეცნიერებასა და ფილოსოფიაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

მეორე წერილში ავტორი განსაკუთრებული გატაცებით ლაპარაკობს შექსპირის სონეტების შესახებ, რომლებშიც, მისივე თქმით, უძლიერეს გამოვლენას პოულობს შექსპირის ლირიული გენია. ნ. დუბროვსკი იმომებს ერთი გერმანელი მკვლევარის აზრს, რომლის თქმით, შექსპირის სონეტებში ასახა ყველაფერი, რაც ანტიკურ და დასავლეთ ვეროპის ლირიკას მანამდე შეუქმნია.



იმავე დროულად ავტორი ეხება შექსპირის დრამატულ მემკვიდრეობას და სახელა მრავალფეროვან გალერეას. მისი თქმით, შექსპირის გმირები გვევლინებიან, როგორც ცხოვრების ელემენტები; ცხოვრება კი შექსპირის დრამებში განსახიერებულია, როგორც მოძრაობა, როგორც მოქმედება. ნ. დუმბროვსკი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას შექსპირის დრამების ფსიქოლოგიურ სიღრმეზე, ადამიანის გრძობის განმარტების უღრმეს უნარზე.

წერილის დასასრულს, დასვენის სახით, ნ. დუმბროვსკი წერს: „შექსპირი მთელ კაცობრიობას ეკუთვნის. იგი ერთგულად არის და მახლობელი მთელი კაცობრიობისათვის... მასში მოთავსდნენ დიდებული პოეტი და დიდებული მოაზროვნე, დიდებული ადამიანი და დიდებული ინგლისელი“.

ნიკოლოზ დუმბროვსკი საქართველოში მომწვევე ერთ-ერთი უცხოელი ელემენტის რუსი ინტელექტუალი და მეცნიერი იყო. იგი, როგორც პროფესორი, სახანძრო და ნაყოფიერ შემოკლებას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამიტომ შექსპირის შესახებ ჩვენს პრესაში გამოქვეყნებული მისი წერილის განხილვას საპატიო ადგილი დაევთეთ.

ი. გედევანიშვილის წერილში „დონ-კიხოტი და ჰამლეტი“, მოცემულია მოხლოლი ლიტერატურის ამ ორი უმაღლესი განზოგადების მქონე სახის შედარებითი დახასიათება. წერილის შინაარსიდან ცხადი ხდება, რომ ი. გედევანიშვილი დონ-კიხოტისა და ჰამლეტის შედარებით დახასიათებში შთაგონებულია ი. ტურგენევის ცნობილი წერილით „ჰამლეტი და დონ-კიხოტი“.

ი. ტურგენევი დონ-კიხოტს ახასიათებს, როგორც მაღალი საკაცობრივი იდეალებისათვის მებრძოლ გმირს, მაშინ, როდესაც, მისი აზრით, ჰამლეტისათვის დამახასიათებელია ანალიზი, ეკონომი და რწმენის უქონლობა.

ი. გედევანიშვილი იზიარებს დონ-კიხოტის ტურგენევისეულ დახასიათებას, მაგრამ უარყოფს მის მიერ მოცემულ ჰამლეტის გაგებას. ი. გედევანიშვილის კონცეფციით, ორავე გმირი მაღალი იდეალებისათვის მებრძოლი ადამიანებია, რომელთა მისწრაფებანი იმსხვერვა გონებალუნგ სინამდვილესთან შეჯახებაში. წერილში ავტორი აყენებს კითხვას: რა ბედი ეწია ორავე გმირს? და თვითონვე უპასუხებს: „ძლიერი ნებისყოფის შეუდარებელი მებრძოლი, იდეალებისათვის თავგანწირული რაინდი, მასპაროლიანობის დაუღალავი მძიებელი ტლანკზე ცხოვრებამ იმსხვერვა, ქარის წისქვილმა გასრისა. მგრძობნობაზე კეთილშობილი, განათლებული, დიდი და საღი გონების პატრონი დანის პრიცი, მაღალი იდეების მატარებელი ჰამლეტი, ცხოვრების უღმობელმა ტალღამ შთანთქალ“.

ი. გედევანიშვილის თვალსაზრისის ორიგინალობა იმაში გამოიხატება, რომ იგი არ იფარგლება მსოფლიო ლიტერატურის ამ ორი უმაღლესი განზოგადების სახეების ურთიერთშედარებით. იგი თავის წერილში ეხება აგრეთვე გოეთეს თვალსაზრისს ჰამლეტის შესახებ, რომელიც დიდმა გერმანელ-

მა მწერალმა „იელემელ მისტერში“ გამოთქვა სამსახურითა და, ი. გედევანიშვილი ავითარებს აზრს, რომ „გოეთეს აზრის ფაუსტით შექმნა ისეთი საკაცობრიო სახე, რომელიც დონ-კიხოტისა და ჰამლეტის ერთგვარ სინთესს წარმოადგენს, მათ დამახასიათებელ ნიშნებს აერთიანებს. ი. გედევანიშვილი წერს: „ინდელოტი დონ-კიხოტი დამარცხდა... დამარცხდა აგრეთვე ინდეიდუალისტი ჰამლეტი. მიუხედავად ლიბერალიზმისა, მას შეერთებული ძალებით სძლიეს პოლინიუსებმა“.

ძლიერი ნებისყოფისა და გონების ფაუსტმა ინდეიდუალიზმით დაიწყო, მაგრამ ექვას გახდა და როდესაც მიაციო კოლექტივიზმა, ჰაოვა მუდროება, ბედნიერება და ცხოვრების ნამდვილი საიდუმლოება, რომლის ლოზუნგი საუვენემში შობილი, მართლაც, რომ უკვდავი და სამარადისოა: „გოეთეს გარდეს მიყვანი შენი“.

„სახალხო ფურცლის“ სურათებიანი დამატების 24 პირილის პირველ გვერდზე მოთავსებულია იყო შექსპირის დიდი სურათი; მეორე გვერდზე — „ჰამლეტის“ პირველი გამოცემის თავფურცელი, აგრეთვე შექსპირის დროინდელი სცენის და იმ სახლის სურათები, რომელშიც შექსპირი დაიბადა. ამავე გვერდზე მოთავსებულია ორი სურათი — მუზე სიული ჰამლეტის როლი. მესამე გვერდზე კი სერვანტესისა და ივანე მანაბლის სურათები და მათთან ერთად იმ ქართველი მსახიობებისა, რომელთაც შეასრულეს შექსპირის პიესების მთავარი გმირები (კ. ყიფიანი-შველიკი (შალიკი), ლაო მუსხილიშვილი — ჰამლეტი და კ. მუსხი — პეტრუიო).

შექსპირის ამ საუბილო თარიღს გამოუმჯურა გაზეთი „საქართველო“, რომელმაც 17 პირილის ნომერში გამოაქვეყნა პატარა საინფორმაციო წერილი „ვილიამ შექსპირის გარდაცვალების 300 წლის თავი და „მუზე ლირა“ ქართულ სცენაზე“. გაზეთი ამ წერილით აუწყებს საზოგადოებას, რომ შექსპირის საუბილო თარიღთან დაკავშირებით, მსახიობები, კ. ანდრონიკაშვილის რეჟისორობით, თბილისის ქართული დრამის თეატრში დგამენ დიდი ინგლისელი დრამატურგის ერთ-ერთ საუკეთესო ტრაგედიას: „მუზე ლირა“ (მუზე ლირი შესარულა ვ. გუნიამ, სპექტაკლის დაწყებამდე კ. ანდრონიკაშვილმა გააკეთა მოხსენება შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ).

ამ საუბილო თარიღის შემდეგ, ქართულ სცენაზე, გასატოებამდე, იდგებოდა შექსპირის რამდენიმე პიესა და პრესაშიც მათ შესახებ ქვეყნდებოდა რეცენზიები. ამ პერიოდში ქართული შექსპირიანის განვითარებაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

როგორც ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, ქართული რევოლუციამდელი პრესა შექსპირის მემკვიდრეობის პოპულარიზაციის ეწეოდა. იგი ეხებოდა და აუქებდა დიდი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების თითქმის ყველა აქტუალურ საკითხს.

შ ე ქ ს პ ი რ ი ს

ს ა მ უ ო ბ ლ ო შ ი

ნიკო ყიასაშვილი


ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი



თხმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც აპრილის თვეში ინგლისის პროვინციულ ქალაქ ეივონის-სტრეტფორდში ჯონ შექსპირის ოჯახში პენლის ქუჩაზე დაიბადა მომავალი გენიალური პოეტი...

წლეუნიანი გაზაფხული შექსპირის სახელთანაა დაკავშირებული: მთელი მსოფლიო აღნიშნავს მისი დაბადების ოთხასი წლისთავს. ყველაზე მეტად კი ამ გაზაფხულს უილიამ შექსპირის სამშობლო სტრეტფორდი ზეიმობს.

პატარა მდინარე ეივონზე მეთექვსმეტე საუკუნეში გადებული კლოპტონის ხიდს ბევრი რამ უნახავს... მასზე დაადგა



შექსპირის დაბადების 400 წლისთავის აღსანიშნავად მოჭრილი მედალიონი



საბედისწერო ნაბიჯი ახალგაზრდა უილიამმა, როცა პირველად დედაქალაქს მიაშურა, სადაც მას მსოფლიოს უდიდესი დრამატურგის სარბიელი ელოდა...

„ცხენიც კი თითქოს ჩემი სევდით დაღლილი იყოს, ძლივს მიჩანჩალავს, თუმცა ვიცი, სხვა დროს ქარია, ასე მგონია: ეს საბარლოც მიმხვდარა თითქოს, რომ შენგან წასულს აღარსაით მიმიჩქარია...“¹

ფიქრობდა ალბათ პოეტი, როცა ხმაურიან ლონდონს საბოლოოდ გამოქცეული უკანასკნელად გადმოდიოდა კლოპტონ ბრიჯზე...

მას შემდეგ ამ ისტორიული ხიდის ქვეშ ბევრმა წყალმა ჩაიარა... ეივონის ტალღებზე კვლავ გრაციოზულად დასცურავენ თეთრი გელები, რომლებიც შექსპირის მგვობრის ბენ ჯონსონის ცნობილი სონეტის წყალბოთი სამუდამოდ სიმბოლიურად დაუკავშირდნენ შექსპირის სახელს. ეივონის გედის — უილიამ შექსპირის სამშობლოში ყოველწლიურად ათასობით ტურისტს და დიდი პოეტის თავყვანისცემელი ჩამოღის. ლონდონიდან სტრეტფორდამდე (ოქსფორდის გავლით) მიმავალი საავტომობილო შარა დღესაც კლოპტონის ბუბერ ხიდზე გადის.

ხიდი ვეღარ იტყვს ამდენ მანქანებს... ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ ისეთი მოხაზრებაც კი გამოითქვა, რომ მი-

¹ თარგმანი ვ. გაჩეილაძისა



სი გაფართოების დრო დადგაო... მაგრამ ამხედრდნენ სტრეტფორდის პატრიოტები და მიაღწიეს იმას, რომ ჭალაქის მმართველობა ზიდის რესტავრაციას დაჯერდა. ვიწრო კოლოპტონ ბრიჯი, მაგრამ ნამდვილი, შექსპირის თანამედროვე...

ყოველ აპრილს კიდევ ორი ნაკადით მოედინება ხალხი სტრეტფორდში: რკინიგზით, პატარა სადგურ ლემინგტონ-სპას გამოვლით და ჩრდილოეთიდან ბირმინგემის შარაგზიდან... სამივე მარშრუტს თავისი ლაზათი აქვს: ოქსფორდის გზა მუზეუმში დაცული ექსპონატებითი შემონახული შექსპირის-დროინდელი ჭალაქებისა და სოფლების დათვალიერების საშუალებას იძლევა. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ ჩიპინგ კემბდენი და ბროუდუეი, სადაც საოცრად კარგადაა შენარჩუნებული გვიანი შუასაუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის ქვის ნაგებობანი... ამ პატარა დაბა-სოფლების ქუჩებში ჯერ კიდევ თითქოს შექსპირის ეპოქის ატმოსფერო სუფუფს.

ლემინგტონ-სპადან სტრეტფორდამდე მიმავალი რკინი-

გზა შესანიშნავ ტყიან და ბორცვიან ადგილებში გადის, ბუნების ასეთი ხედები ნამდვილად აღფრთოვანებდა „რომეოსა და ჯულიეტას“, „ორი ვერონელი ახანაურისა“ და სხვა ე. წ. იტალიური პიესების ავტორს. ამიტომ არის, რომ ლამაზ ინგლისურ ლანდშაფტებზე ლაპარაკი მაინც და მაინც არ უყვართ „ანტიშექსპირისტებს“, რომლებიც ამტკიცებენ თითქოს სტრეტფორდელი უილიამ შექსპირი ამ პიესებს ვერ დასწერდა, თითქოს მათ დასაწერად დრამატურგს უსათუოდ იტალიის ლამაზი ბუნება უნდა ეხილა საკუთარი თვალით...

და ბოლოს, ის, ვინც სტრეტფორდს ჩრდილოეთიდან მიუახლოვდება, უსათუოდ გაივლის შუასაუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის ინგლისის ბრწყინვალე ისტორიულ ძეგლებს. უორიკის მდიდრულ სასახლეს, რომელიც სტრეტფორდის ოდნავ ჩრდილოეთით მდებარეობს; ცოტა უფრო ჩრდილოეთით კენილუორთის ციხე-კოშკის ნანგრევებს, იმ ციხე-კოშკისა, რომელშიც 1575 წელს ლესტერის გრაფმა გრანდიოზული ზეიმი გაუმართა დედოფალ ელისაბედს (ვარაუდობენ, რომ ახალ-



გაზრდა ულიამიც მამასთან ერთად დასწრება ამ თავიყუბურ ბრწინვალ თეატრალიზებულ სანახაობას)... საინტერესო აგრეთვე უშუალოდ სტრუქტორდთან ახლოს მდებარე ტიამის ლიუსის სამფლობელო, რომლის ნაკრძალშიც, გადმოცემის მიხედვით, შექსპირი მალულად ნადირობდა ირმებზე. ამბობენ, შექსპირი სწორედ ამ ადგილას დაიჭირეს მემამულე ლიუსის კაცებმაო. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ ზეპირსიტყვიერ გადმოცემაზე დამყარებული ვარაუდია, მაგრამ მას იმდენად სცემენ პატივს, რომ ჩარლკოტის ნაკრძალში დღესაც ირმები ჭყავთ მოშენებული...

ყოველი მხრიდან მოდენილ სტუმრებს დილის ათი საათიდან ბავშვების ტრადიციული ზეიმით ხვდებიან. შექსპირის საფუო თეატრის წინ მწვანე მდელოზე ყოველ 23 აპრილს ნაირფერ კაბებში და პერანგებში გამოწყობილი გოგო-ბიჭები ზღაპრული პეკლებივით ირვებიან...


დღის პირველ საათზე სტრუქტორდის მერი საპატიო სტუმრებს ტრადიციული საუზმით უმასპინძლდება. საუზმეზე რამდენიმე სადღეგრძელო იტყმის, რომელთა თემა წინდაწინა ხოლმე ცნობილი. სადღეგრძელოების თემა და მათი მოქმედები ყოველ წელს იცვლება, არის მხოლოდ ერთი ტრადიციულად დადგენილი სადღეგრძელო, რომელიც მერის წვეულებზე ყოველთვის წარმოითქმის: ეს არის „ულიამ შექსპირის სამარადისო ხსოვნის“ სადღეგრძელო. ამ სადღეგრძელოს წლივანდელ 23 აპრილს განსაკუთრებულ ვითარებაში შესვამენ...

ისევე როგორც ყოველ წელს, ახლაც მერის წვეულების

შემდეგ სტუმრები შექსპირის საფუო თეატრის გზოში გავლენასა და ც მწკრივად ასამდე გვირგვინი იდება (ზეიმზე წარმოდგენილი სახელმწიფოების რაოდენობის შესაბამისად). ელჩები, ან საელჩოს წარმომადგენლები მათთან მიმავრებული გიდეების თანხლებით გვირგვინებით ხელში გაემართებიან თეატრის გასწვრივ და მის პერპენდიკულარულად განლაგებული მალალი სვეტებისაკენ. თვითიულ სვეტს შესაფერი ქვეყნის სახელი აწერია...

ზუსტად სამ საათზე გაისმის დაფდაფების საზეიმო ხმა, რაც იმის ნიშანია, რომ ელჩებმა სვეტებზე მიმავრებული ბაწარი უნდა დასწიონ. ერთბაშად სტრუქტორდის ქუჩებში ასამდე ქვეყნის დროშა აფრიალდება... დაუკრავს საზეიმოდ გამოწყობილი სამხედრო ორკესტრი და ელჩების პროცესია გაემარფება ქნლის ქუჩისაკენ, სადაც შექსპირის შობლების სახლი დგას. საპატიო სტუმრები შექსპირის სახლში შედიან, გაივლიან ოთახს, სადაც გადმოცემის თანახმად დაიბადა და ბავშვობა გაატარა ულიამმა და განაგრძობენ გზას წმინდა სამების ეკლესიისაკენ, რომლის თაღებ ქვეშ დასაფლავებულია შექსპირი...

კარგ ამინდში სახლით გასვლელ სტრუქტორდის ქუჩებში მიმავალი ელჩების პროცესია მეტად საზეიმოდ გამოიყურება. მაგრამ სტრუქტორდელები იტყვიან — „აღიმატება დროშები და დაუშვებს წვიმაო“... ასეთ დღესასწაულსაც შვესწრებივარ (1961 წლის აპრილში)... მაშინ კი საპატიო სტუმრების რიგებს საწვიმრებისა და ქოლგების შავი ზეწარი გადაეფარება ხოლმე... მაინც არავინ ტოვებს პროცესიას, საშინელ



შექსპირის საფუო თეატრის ხედი მღინარის სანაპიროდან



შექსპირის დროინდელი ბროდუეიციული ქალაქის ხედი (ჩინახე კლამდენი)

ხელგანთქმული მსახიობები, რეჟისორები, მცენებრ-შექსპირ-როლოები, ლინდონი აკრედიტებული ყველა...
 შტაკეცდ დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად...
 რილის საღამოს შექსპირის სამეფო თეატრი (ყოფილი შექსპირის შემორჩალური თეატრი) საზეიმო სპექტაკლი იმართება. ჩვეულებრივ ეს სტრატეგორდის თეატრალური სეზონის პირველი დადგმა ხოლმე.

შველად აქ ხის შენობა იდგა. შექსპირის ბიესებს მოუხერხებულ სიძველესაგან გახუნებულ კედლებიან თეატრში დგამდნენ. 1916 წლის დღესასწაულზე საპატიო სტუმრად ბერნარდ შოუ მიიწვიეს. ყველა ემინიდა პარადოქსისა და კალამბურების ოსტატს უადგილო ობუნჯობებით საზეიმო განწყობილება არ წაებდინა (მით უმეტეს, რომ ყველასათვის ცნობილი იყო ბერნარდ შოუს კრიტიკული დამოკიდებულება შექსპირისადმი). ამჯერად მწერალმა „დაინდო“ თავისი გენიალური თანამოკალმე, მაგრამ დაუნდობლად დაესხა თავს თეატრის ძველ შენობას. დებრთმა ცეცხლი გაუჩინოს და ერთიანად გადაბუგოს ეს საზარელი ნაგებობაო — დამთავრა სიტყვა შოუში... ერთი წელიც არ გასულა ამის შემდეგ და ენკვიმატი მწერლის წყველა მართლაც ეწია სტრატეგორდის თეატრს: ხანძარმა მილიანად გაანადგურა იგი...

მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოდიოდა სამძიბრის დეპეშები... და მხოლოდ ერთ დეპეშაში ულოცავდნენ სტრატეგორდს სამინელი თეატრისაგან განთავისუფლებას... ეს დეპეშა, სა თქმა უნდა, ჯორჯ ბერნარდ შოუსაგან იყო...

30-იან წლებში ამ ადგილას შესანიშნავი ახალი შენობა აიგო... იგი დღემდე პასუხობს თანამედროვე თეატრალური შენობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

არ არის მართალი, თითქმის ინელისელები სულ უფრო და უფრო ნაკლებად დგამდნენ შექსპირს. ეს იმათი მოგონილია, ვინც შექსპირის ბრწყინვალე დრამებში ახალ შემოქმედებით იმპულსს ვერ პოულობს, რაც, რაღა თქმა უნდა, შექსპირის ბრალი არ უნდა იყოს. არც შექსპირის იდეათა სამყარო მოძველებულა და არც მისი მხატვრული ძალა.

სტრატეგორდის თეატრალურ სეზონში მონაწილეობა ყველა მსახიობის ოცნებაა. შექსპირის სამეფო თეატრის კულისებში გავიყანი, ცნობილი ზანგი მომღერალი პოლ რობსონი, რომელიც 1959 წლის სეზონში ოტელოს როლს ასრულებდა... ამ თეატრის სცენაზე განასახიერა სახელმწიფოებრივად ლორენს ოლივიერ კროლანდუნის ბრწყინვალე სცენური სახე... აქ შესარულა თავისი უკანასკნელი როლი თეატრის სცენაზე (მეფე ლირი) გამოჩენილი კინოსმსახიობმა ჩარლზ ლუტონმა...

არის კიდევ ერთი ტრადიცია, რომელიც შექსპირის სსოვნის უკვდავფაფას ემსახურება. 1824 წელს ენთუუიასტების პატარა ჯგუფის მიერ დაარსებულმა „შექსპირის კლუბმა“ ამ უკანასკნელი საუკუნისაგან განსვლლობაში თანდათან განავითარა მოღვაწეობის სფერო და დღესდღეობით სტრატეგორდში უკვე ბირმინგამის უნივერსიტეტის შექსპირის ინსტიტუტის ფლიალია გახსნილი, რომელსაც მართალია იმის საშუალება აღარ გააჩნია, რომ ზუთი თავისაგან შემდგარი სადილები გამართოს ძვირფასი სივარების წვეთი (რასაც მე-19 საუკუნეში „შექსპირის კლუბი“ აკეთებდა), მაგრამ სამაგიეროდ...

თავსამაშევი კი ყველა სამების ველისისაკენ მიიკვლევს გზას.


ველსიის შესავლელთან ორკატრის ხმები მიწყდება... გაისმის ორდანის საზეიმო აკორდები და სტუმრები დინჯად ჩაუვლიან ძველისძველ ფერად ვიტრაჟებს... საკურთხევის წინ საფლავს აწერია „... დაილოცოს, ვინც ამ ქვეს ხელს არ შეახეებს და წყველიმც იყოს, ვინც ძალებს შემოშვოვებს“... სტუმრები გვირგვინებით შეამკობენ საფლავს, რომლის მისტიკურმა წარწერამ ავერ ოთხი საკუნეა ცნობის-მოყვარე თაღლებიანაგან დაიკვა დიდი პოეტის ნეშტი.

ველსიიდან სტუმრები შექსპირის სიძის, დოქტორ კოლის სახლისაკენ მიემართებიან, რომლის მწვანე ეზოში მათ ჩაით გაუმასპინძლებიან. წელს ალბათ ამ ეზოში, შექსპირის-დროინდელი ჭის გარშემო თავს მოიყრიან მსოფლიოში სა-

კლაბონის ხიდი



უილიამ შექსპირი



როდ იგი სტრეტფორდში საინტერესო მეცნიერულ კონფერენციებს აწყობს, რომლის მუშაობაშიც მსოფლიოს საუკეთესო შექსპიროლოგები იღებენ მონაწილეობას.

წელს სტრეტფორდში განსაკუთრებული ზეიმი... გარდა ტრადიციული დღესასწაულისა, აქ ფესტივალაც გაიმართება. ფესტივალის პროგრამაში შევა მუსიკა, პოეზიის კითხვა, ლექციები, ფილმები, ხალხური ცეკვები და სიმღერები, ყოველნაირი გამოყენები... ეივონის ნაპირებზე აიგება ახალი „შექსპირული ცენტრი“, დროებითი პავილიონები სტუმრების დასახვედრად და გამოყენების მოსაწყობად...

თეატრალური სეზონი წელს აპრილიდან დეკემბრამდე გასტანს. ნაწევრები იქნება შექსპირის ყველა ისტორიული დრამა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, რაც ინგლისის ისტორიის ერთ საუკუნეს ასახავს მთლიანად. ამ დიდი თეატრალური სანახაობის მთავარი დამდგმელი-რეჟისორია პიტერ პოლი.

სტრეტფორდში ნაწევრები იქნება შექსპირულ თემებზე

გადაღებული ინგლისური, ამერიკული, საბჭოთა და იაპონური კინოფილმები. 5 ივლისიდან 30 აგვისტომდე ყოველ კვირადღეს გაიმართება პოეზიის საღამოები. გამოყენებზე ნაწევრები იქნება შექსპირისდროინდელი ინგლისის ყოფის ამსახველი მასალები, უნიკალური შექსპირული ლიტერატურა და ზელთნაწერები, შექსპირის თხზულებათა თარგმანები სხვადასხვა ენებზე (მათ შორის ალბათ ქართული თარგმანებიც, რადგან ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინათ საიუბილეო ფესტივალის დირექტორს ლევი ფოქსს ქართულ შექსპირიანასთან დაკავშირებული ყველა მასალა უკვე ზელთ ქონდა). და ბოლოს 30 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე მოეწყობა საერთაშორისო შექსპირული კონფერენცია, რომელზეც შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის თანამედროვე დონეს ცნობილი მკვლევარი-შექსპიროლოგები წარმოადგენენ.

ინგლისელებს კიდევ ერთი საინტერესო ღონისძიება აქვთ მოფიქრებული შექსპირის იუბილესთან დაკავშირებით. რამდენიმე თეატრალური კოლექტივი წელს მიტლ მსოფლიოს



შექსპირის პორტრეტები

შექსპირის სამეფო თეატრის ეს კოლექტივი გაემეზარება. გარდა შინგტონში, მოსტონში, ტორინტონსა და ნიუქასლში. თეატრალური ჯგუფი რაღაც რინარდსონისა და ბარბარა ჯეფორდის ხელმძღვანელობით ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის რვა ქვეყანას და ევროპის ექვს დედაქალაქს ესტუმრებიან და წარმოადგენენ „სიონას“ საფხულის დამუშაობას და „ვენციელ ვაჭარს“. მოგვიანებით რეჟენტ პარკის ახალი შექსპირული დასი საგასტროლოდ გაემეზარება ინდოეთსა და შორეულ აღმოსავლეთში ორი შექსპირული სპექტაკლით — „ქარიშხალი“ და „რინარდ მეორე“.

ამრიგად ინგლისელი მსახიობები და რეჟისორები საკმაოდ მრავალფეროვან შექსპირულ რეპერტუარს ორმოც ქვეყანას უჩვენებენ საიუმილო სენსონში.

უილიამ შექსპირი მისივე გმირის კასიუსის მსგავსად თავის დაბადების დღეს გარდაიცვალა (1616 წლის 23 აპრილს). მას შემდეგ, მეტ-ნაკლები ძალით, სულ უფრო და უფრო ღვივდებოდა და იზრდებოდა ინტერესი მისი გენიალური შემოქმედებისადმი.

შექსპირის შესახებ დიდძალი ლიტერატურაა დაწერილი. არსებობს ლიტერატურათმცოდნეთა და კრიტიკოსთა მთელი სკოლები, რომელნიც საპეციალურად სწავლობენ არა მარტო იმას, რაც შექსპირს დაუწერია, არამედ ყველაფერ იმასაც, რაც შექსპირის ეპოქას, მის თეატრს, მისი პიესების სცენურ განსახიერებას შეეხება. მარტო „ჰამლეტის“ ირგვლივ დაწერილი წიგნები მოზრდილი ბიბლიოთეკის თაროებს შეავსებდა. და ეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ შექსპირის შემოქმედება ღრმა შესწავლასა და ანალიზს მოითხოვს, არამედ უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ იგი მეტად ნათესაური და ანლოგიური ყოველი ახალი ეპოქისათვის. ამას ამტკიცებს შექსპირის დაბადებიდან ოთხასი წლისათვის აღსანიშნავი გრანდიოზული დღესასწაულიც...

შექსპირის უკვდავების საიდუმლოების ამოსხნა კი კვლავ მომავალ თაობებს აკისრიათ...

მოივლის საგასტროლოდ. რეჟისორი პიტერ ბრუკი და ცნობილი მსახიობი პოლ სკოფილი მოსკოვს, ლენინგრადს, პელსინის, ბერლინს, პრადას, ბუდაპეშტსა და ვარშავას „მეფე ლირსა“ და „შეცდომათა კომედიას“ უჩვენებენ. ამის შემდეგ

უორიკის სასახლე



სახლი, რომელშიც დაიბადა უ. შექსპირი





მოკმენის პირნი

- თე ჳე უ ს ი — ათენის შთავარი
- ე გ ე უ ს ი — პერმის მამა
- ღ ი ჳ ა ნ დ რ ი } პერმის მორფიულინი
- დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი } პერმის მორფიულინი
- ფ ე ლ ო ს ტ რ ა ტ ი — თე ჳე უ ს ი დღესანწაულის გამგებელი
- კ ო მ შ ა — დურგალი
- ქ ო ს ტ ა პ რ უ წ ა — ზურა
- ფ ს კ ე რ ა — ფეიქარი
- ს ტ ვ ი რ ა — მესხბრეღე
- დ რ უ ნ ჩ ა — თოქმანი
- კ ნ ა კ ა — თერძი
- ი პ ო ლ ი ტ ა — ამორქალების დედოფალი, თე ჳე უ ს ი სიკოლე
- პ ე რ შ ი ა — ეგუესის ქალი, ლიზანდრის შეყვარებული
- ე ლ დ ი ა — დემეტრეს მორფიული
- მ ე ტ რ ო ნ ი — ფერიების მეთუ
- ტ ა ტ ა ნ ი ა — ფერიების დედოფალი
- პ ა კ ი — ანუ საუვარელი ზღვი რ ო მ ი ნ ი
- მ ე ლ ვ ი ს ე მ ა რ ც ვ ა დ ი
- ფ ა რ ვ ა ნ ა
- ა მ ლ ა ბ უ დ ა
- მ უ ზ უ დ ო
- ფერიები, თე ჳე უ ს ი და იპოლიტის ამაღა
- მოკმედება წარმოებს ათენსა და ათენის განაპირა ტყეში

უ. შექსპირი

ზაფხულის ღამის

ს ი ზ მ ა რ ი

მოკმედება პირველი

სურათი პირველი

შემიღან თე ჳე უ ს ი, ი პ ო ლ ი ტ ა, ფ ე ლ ო ს ტ რ ა ტ ი და მზღებლები

თე ჳე უ ს ი — ქორწილი, აგერ, კარს მოვაჯდა, ჩემო ლამაზო, კიდევ ოთხი დღე და დაგვბედავს ახალი შთავარე...

მაგრამ ეს ძველი რა ზოონი იღევა, ხედავქ წინ ეღობება ჩემს გულისთქმას გამოიტყობი.

ი პ ო ლ ი ტ ა — ოთხი დღე რაა — დამეები შთანქავენ ხელად, და ოთხი დამევი ვაიღევა სიზმრებში სწრაფად.

მეტი კი შთავარე, მორაკული ვერცხლის მშველელიყო, ცივან ღობლით გადმობედავს ჩვენს ქორწინებას.

თ ე ჳ ე უ ს ი — წადი, ფილოსტრატე, ათენელი ემაწველკაცობა, გამაფხუზღე, შოაღინე, გააახლისნი, დაღვერძობობა ქველხისთვის შრონიხონ — ზეზღორმინჯი

(ფილოსტრატე გაღის)

მე შენ ზომ ხმლით მოგაიოვე: გული გიტკინე და შენი ტრფობა, იპოლიტა, იმიო შვიტეგ. მაგრამ ქორწილი სულ სხვა მანგე უნდა ავაწყო დღეი მოღმენიო, ზარწემიო, მშიარულებიო. შემოღან ე გ ე უ ს ი, პ ე რ შ ი ა, ლ ი ჳ ა ნ დ რ ი და დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი.

ე გ ე უ ს ი — ბედნიერება ნუ მოჰშლოდეს, დიდო შთავარო.

თ ე ჳ ე უ ს ი — გმადლობ, კეთილო ეგუესო. ახალს რას გვეტყავი?

ე გ ე უ ს ი — ღამის სულ თავგზა ამიზნის ჩემმა პერშიამ, აგერ, ამ ჩემმა ქალიშვილმა, და საჩივლელად გეახელ სწორედ დემეტრიუსს, აქ მოდი, შვილო. ამ კაცს ადუთევი მაგის თავი, ზატონი ჩემო. შენც მოდი, ლიზანდრ, ამ კაცმა კი, ჩემო მეთუფე, რაღაც ჯადოთი მომინუნსა მე ქალიშვილი.

პ ო . შენ. შენ. ლიზანდრ! შენ არ ითვა — ლექსებს უწერდი, ხან შენ უძღვნიდი საჩუქრებს და ხან ეგ ზამღვნიდი: მთავარიან დამეს დადგებოდი მაგის სასრემელთან, ხმს დაიტკობიდი და ლექსეიო უმღერდი ხოლმე, თითოს ვიყვარდა. საჩუქრებთი მომბიღე ზავში, სამაგუროო, ბეჭდებოო, თაყვალებო!

ათანარიი ხარაზურა, უმაქნისობა, რაც ახალგაზრდებს აბრუებს და თავგზას უყარვავს. ასე მწავრობით დაატყვევო მაგის გული, შვილის ეროგული მორჩილება, გაიძვირულად, ტლანქ და უზოიჯ ჯიუტობაღ შეაკვლევინე... ჩემო მოწყაღე მეთუფეო, თუ შენს წინაშეც დემეტრიუსის ცოლობაზე უარი პირანა, მაშინ ათენის მველ კანონებს გამოვიუნებ — შვილი ჩემია, ჩემს ნებაზე უნდა იაროს, ან უნდა გაპყვეს ამ უმაწყაღკაცს ან უნდა მოკვდეს, ჩვენი ქალაქის კანონებოც ამას ვუღმისხობს.

თ ე ჳ ე უ ს ი — აბა, პერშია, შენ რას იტყვი, ტურფა გოგონი? კარგად დაუფორდი: მამა დემეტრად უნდა დასახო, მან გაგაჩინა ასე კარგი, ასე ლამაზი, შენ მისთვის სანაღის თოჯინა ხარ, მან გამოგმერწა და მის ხელთაა შენი ბედი — უნდა დაგტოვებს, უნდა — დაგშლის და გაიყვეს ისევე არარაოზად. დემეტრიუსი ღირსეული უმაწყელი არი.

პ ე რ შ ი ა — ლიზანდრიო კია ღირსეული.

თ ე ჳ ე უ ს ი — დიამაც არის, მაგრამ მამაშენს რომ არ მოსწონს სხვა რაღა გზა გაქვს, უნდა დასახო უფრო ღირსად მეორე ისევე.

პ ე რ შ ი ა — ემ, ნეტა მამაც ჩემი თვალით ხედავდეს ყველას.

თ ე ჳ ე უ ს ი — შავას იხა სჯობს, შენ ხედავდე მამის თვალებით.

პ ე რ შ ი ა — ვხოვ მომიტევე, მოწყაღეო უფალო ჩემო, თვითონ არ ვიცი, ასე როგორ ვავკადნიერობ, ხად დამეყარაბა მოყრძალეობა, რომ შენს წინაშე ასე თამაზად ვესარჩლები გულისთქმას ჩემსას. მაგრამ ამას ვხოვ, მოწყაღეო, ვამაგებნიო, ყველაზე ცდილი რა მომეღის ღვერი კანონი, თუ დემეტრიუსის ცოლობაზე უარი ვუთხარ.

თ ე ჳ ე უ ს ი — ან უნდა მოკვდე ან არა და მოთღლს სიკოცლებში შენ მამაკაცის სახენებელს არ გეყარო. მეტი რა გითხრა, დამეიოხე გულისთქმას შენას, შენს ხისხლს მიხედ. შენს გაუფრტყვნილ ემაწველქალიობას, ასწონ-დასწონე უველაფერი, ტურფა პერშია, მამის არჩევანს თუ უარყოფ, არ მოგებურდებო საბიღღმშიოდ მონაწონის მამე ფლსებში? მე ჩემდა თავად, ხელმუხებზე, გადაებერებულ,



ელან ბუჩქზე მიშკნარ ვარდის ბედს მირჩენია
წელსაცხებლად გამოხილი ცოცხალი ვარდის
ამჟვეწიერი, მიწიერი ზედწიერება.

ქერშია — უშაღ ასევე დაჰკენე, მოკვდე, ბატონო ჩემო...
მე მირჩენია. ქალწულბრავ თვისუფლებას
არასდიდებით მე იმ კაცს არ გავაქმლებ, რა
რძობის უფლებაც ჩემ სული ვერ შეგაუვებს.

თევზისი — დაფქვდი მაინც, ნუ ჩიკაბე.
დემეტრიუსი — მოიღებ გული, ნუ გამწირავ, ტურფა ჰერშია.

შენც ეს გიუფრო ახირება დურობრილოდ
ჩემს უპილობებ და უდგარ უფლებებს, ლიზანდრა.

ლიზანდრი — შენზე ხომ მამა მკარავს კუეას — შენც აღეკი და

მამა შეირთე, ქალწული მე დამილოცე.

ეგუესი — ტყაიბახარაი გასკდი გულზე, მართლაც რომ მიუვარს,
და რაც კი რამე მახალია, მაგისტვის მინდა.

ქალი ჩემია, უფლებმა მაქვს საუთარი შეიღებ
და ამ უფლებას დემეტრიუსს ეუფრობ მითიანად.

ლიზანდრი — გვარიშვილობით ვუ ვერა შჯობს, ბატონო ჩემო,
ტოლს უფრო დამიღებს ხიბლდროცა, სიუვარულით კი,

შე ვერა მიუვარს თქვენი ქალი, ზემდა უკვილი
შენც ისე უხვად მომამიჯე, ვით დემეტრიუსს,

ზოგი რამე კი იქნებ შეტაც შეჩინდეს მაგავსე,
ეს სიტუებები რომ ლიტონ ცვენდეს არ ჩამოთვალის,

ტურფა ჰერშიას სიუვარული რად შიღის მარტო
რატომღა უნდა დავიხიო, მიხიხართი ერთი!

დემეტრიუსი — პირის ვებტავა, მორჩიდებლად, —
ჯერ ნებას ქალზე, ელენეზე კარგად და კუეას,

არ როგორც თუ. ქალის გულიც მიინადრავ.

ახლაც კი უფვარს სახარალი ქალს, ღამის გაივდეს,
თავდაუწყებოთ, მოელის გულით და გაბატონით

უფვარს ეს მისი მოღალტე და შემსტყვევლი.

თევზისი — მართალი ვიხიხარ, ეს მეუ მოიხრეს, მიწლიდა კიდევ
 რომელიც ხელმოწერილია ლექსი „ეს ვიკავდა სიხლის“ ავტორგა-
 ფი (არქივი, გვ. 484) და ფურცლებზე მიწერილია (არქივი, გვ.
 498) „ვალდებობის (იგივე ტონსიერელი) ვასილეს ძე ტაბოძი“.

„ვარ გენია რომანო“ — აქვს ასეთი ლექსი გ. ტაბოძის კითხვა-
 ზე თუ რას ნიშნავს „რომანო“. გ. ტაბოძის უფრადღება „ჩემი ფსევ-
 დონიმი“, რომელიც ვასარტებლობით, ქართული პერიოდის
 შესწავლამ ცხადყო, რომ გ. ტაბოძის ასეთი ფსევდონიმი არ უფარ-
 ებოდა „ს. ს. რომანის ფსევდონიმი დაიბეჭდა მხოლოდ ერთი
 ლექსი „ვალდებობის ტაბოძის ფურცლი“ (1922, № 4), რომელიც
 ეკუთვნის სანდრე ვანტელს.

ამრავად, დოკუმენტური მასალაზე დაყრდნობით წუდება გ. ტაბო-
 ძის ეტიმოლოგიური გამოცემის მწიგნობრისათვის სახეობა — ავტობი-
 ცის პრობლემა.



კულტურა“, „მრომის კულტურა“, „ყოფის კულტურა“, „ტექნიკური კულტურები“, და ა. შ. ეს იმას ნიშნავს, რომ კულტურის ცნება ვრცელდება საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროზე.

მაშ, რა არის კულტურა, რა იგულისხმება ამ ცნებაში?

იდეალისტთა ერთი ჯგუფი კულტურას ობიექტური სულის განვითარების შედეგად სთვლის. ჰეგელისათვის სულიერი კულტურა მისკან დამოუკიდებელ ობიექტურ სამყაროს კი არ ასახავს, არამედ აბსოლუტური სულის თვითშემეცნების პროცესს წარმოადგენს, რადგან სულიერი კულტურა აბსოლუტური სულის გამოვლინებაა, ხოლო აბსოლუტური სული და ყოფიერება ერთი და იგივეაო.

ჰეგელის ფილოსოფიით კულტურის ისტორია აბსოლუტური სულის განვითარების ერთ-ერთი საფეხურია, რომელსაც დასაწყისი წაეყარა მას შემდეგ, რაც აბსოლუტურმა სულმა ცნობიერება მოიპოვა. კულტურის განვითარების ამ საფეხურზე აბსოლუტური სული სხვადასხვა ფორმით ვლინდება: რელიგიაში — წარმოდგენებში გამოვლენის ფორმად, ხელოვნებაში — ინტუიციამი, მეცნიერება-ფილოსოფიაში — ცნებებში გამოვლენის ფორმად, სადაც აბსოლუტური სული თავის არსებას ავლენს, კულტურის განვითარება ადამიანთა საშუალებებით მიმდინარეობს. კულტურის ამა თუ იმ დონეს ადამიანის თავისუფლების ესა თუ ის მდგომარეობა შეესაბამება. თავისუფლება შეცნობილი აუცილებლობაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კულტურის განვითარების ისტორია ამვე დროს ადამიანების თავისუფლების განვითარების ისტორიაა. თავისუფლებას ადამიანი პრუსიულ მონარქიაში აღწევს, კულტურის განვითარების ისტორიაც პრუსიაში მთავრდება, რადგანაც კულტურის განვითარების ისტორია არსებითად აბსოლუტური სულის ფილოსოფიისაკენ სწრაფვის ისტორიაა. (აბსოლუტური სული ფილოსოფიაში შეიცნობს თავის თავს). ფილოსოფია კულტურის გვირგვინია, ჰეგელის ფილოსოფია კი — ფილოსოფიური აზროვნების ზენიტი. აქედან ცხადია, რომ პრუსიის იმპერიაში მთავრდება არა მარტო ადამიანის სრულყოფისაკენ განვითარების პროცესი, არამედ კულტურის განვითარების ისტორიაც.

ასეთია სქემა კულტურის რაობის შესახებ ჰეგელის მისტიკურ-რელიგიური თეორიისა, რომელიც თავისი შედეგებით, როგორც დაინახეთ, რეაქციულია.

ამრიგად, კულტურა, ჰეგელის აზრით, აბსოლუტური სულის განვითარების შედეგია, მისი სხვადასხვა ფორმაში გამოვლინებაა ფილოსოფიისაკენ („კულტურის გვირგვინისაკენ“) სწრაფვის ტენდენციით. კულტურის ჰეგელისეული გაგება რელიგიურია, და ეს არა მარტო იმიტომ, რომ ჰეგელის მთელი ფილოსოფია არსებითად რაციონალურ ფორმაში გამოხატული რელიგიაა, იმიტომაც, რომ ადამიანის შემოქმედებას კულტურის დარგში ღმერთი წარმართავს. კულტურული შემოქმედების პროცესში, ჰეგელის აზრით, მხატვრის გონებას ზეციური, ღვთიური ძალა გააჩნია. ამ ღვთიური ძალის საფუძველზე შემოქმედის გონება სინამდვილეს, ამ სინამდვილის „პროზაულ“ მდგომარეობას, მის სიმკაცრესა და სიმახინჯეს პარმონი-

კულტურის ცნებისათვის

დავით ჩხიკვიშვილი



იტყვა კულტურა (Culture) ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს „დამუშავებას“, „გაზრდას“, „გამოყვანს“. როგორც ეტყობა, ამ სიტყვას თვდაპირველად სასოფლო-სამეურნეო წარმოების გარკვეული პროცესის ამსახველი ცნების მნიშვნელობა შექონდა. ცხადია, საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე კულტურის ცნება ვერ ეტყვა მის პირვანდელ სიტყვიერ მნიშვნელობაში. იგი საგრძნობლად გაფართოვდა. ტერმინს „კულტურა“ დღეს გამოყენების ფართო ასპარეზი აქვს. იტყვიან: „მატერიალური კულტურა“, „სულიერი



ელსა და პლასტიკურების სულს ანიჭებს. კულტურის ქმნილება ზეციურია. „არადანაც, ადამიანის სულის სიღრმეში დაბადებული, იგი კვლავ განაგრძობს, რომ მუდამ ფის სულის ნიადაგზე, რადგანაც მან მიიღო შეჯვარება სულთან და გამოხატავს მიოლოდ იმას, რაც წარმოქმნილა სულთან შეწყობით“¹.

ამრიგად, აქ საქმე გვაქვს მისტიკურ-რელიგიურ ფორმში კულტურის განვითარების ისტორიის დაღვების ცდასთან, სიადნაც თავისთავად გამოდინარების კულტურის რაობის მცდარი, იდეალისტური გაგება.

კულტურის რაობას იდეალისტურად ხსნის აგრეთვე ე. წ. კულტურულ-ფსიქოლოგიური მიმართულება ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში. ამ მიმართულებაში წარმოადგენლები იყვნენ ვ. დილთაი და ე. შპრანგერი. შპრანგერი, ისე როგორც მისი წინამორბედი და მასწავლებელი დილთაი, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგი იყო, სოციოლოგისა და ისტორიის სკოლების კვლევა მას სპეციალურად არ უწარმოებია. მაგრამ რამდენადაც ფსიქოლოგიის კვლევის საფუძვლად, ნაცვლად განდის უზუალ მოცემულობისა, მან აიღო კულტურის ფაქტები (მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა და ა. შ.), რომლებიც, როგორც თვითონ ამბობდა, ადამიანის გაქვეყნებული, ფსიქონებელი სულიერის პროცესებია“ და რომელთა ამტკველებით ფსიქოლოგიის შეუმძლია შესწავლას ადამიანის ფსიქიკა, ამდენად იგი იძულებული გახდა ჩამოეყალიბებინა თავისი შეხედულებები კულტურის რაობის შესახებ. ამ გზით შეიქმნა მეცნიერებაში კულტურულ-ფსიქოლოგიური სკოლა, რომელიც საფუძვლად დაედო ბურჟუაზიულ სოციოლოგიურ თეორიებს. აქვე აღანიშნავია, რომ კვლევის მცდარმა მეთოდოლოგიამ შპრანგერი მიიყვანა არა მარტო არასწორ სოციოლოგიურ დასკვნამდე, არამედ განაპირობა მისი ფსიქოლოგიური კონცეფციის სიყალბეც. შპრანგერისათვის კულტურის მოვლენები, კულტურის ფაქტები იყო არა საშუალება, დამხმარე წყარო ფსიქოლოგიის სავნის კვლევის პროცესში, არამედ ფსიქოლოგიის საფუძველი. ამას კი, ცხადია, თან მოჰყვა ტეშმარტივას მოკლებული, მეცნიერულად მცდარი დასკვნები.

შპრანგერის აზრით, კულტურა წარმოიქმნება, არსებობის სამი ფორმის (ფიზიკურის, ფსიქიკურის, იდეალურის) ერთობლიობის გზით. ცალ-ცალკე ამ ფორმებს არ ძალუთ კულტურის ცნების წარმოქმნა. წინა, მავალით, მაშინ იქცევა წიგნად, „ცოხალ“ არსებად, როდესაც მას კითხულობენ, როდესაც იგი კონტაქტშია სუბიექტთან (აქ ფიზიკურისა და ფსიქიკურის ერთობლიობაა). მაგრამ სუბიექტთან კონტაქტში შესული წიგნი უკრ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საქმე გვაქვს კულტურასთან. საქირა კიდევ მესამე ელემენტი — იდეალური (ტეშმარტივება, კანონი, ნორმა, მშენიერება და ა. შ.), რომელიც მოცემული თვისთვად, დროისა და სივრცის გარეშე, იდეალური გარკვეულ ობიექტურ ღირებულებას, შექმნილ

ისტორიული განვითარების შედეგად, აქცევს კულტურულ ღირებულებად, რომელიც თავისი აზრითა და მნიშვნელობით, ინდივიდუალური სიცოცხლის ფარგლებს სცილდება, ზედროული ხდება. ან კიდევ: შპრანგერი კულტურას უწოდებს დროის გარკვეულ მონაკვეთში ტოტალური შემოქმედების გზით შექმნილ იმ საზრისთან, ვინითი აქტივობის შედეგად მიღებულ ღირებულებებს, რომლებსაც ცვალებადი ელემენტი უზრუნველყოფდა მათადმი სუბიექტის, იდეალურის განსხვავებული მიმართების გამო.

შპრანგერი გამოდიოდა იმ იდეალისტური დებულებიდან, რომ ყოველი ადამიანის სულს გარკვეული, მხოლოდ ამ ადამიანისათვის დამახასიათებელი „სტრუქტურული აღნაგობა აქვს“, რის გამოც მას ერთი რომელიღაც ობიექტური ღირებულებისადმი სწრაფის უნარი გააჩნია. ასეთი ღირებულებები, რომლებსაც ზეინდივიდუალური და ზედროული მნიშვნელობა აქვთ, შპრანგერის აზრით, ექვსი სახისაა. ესაა: თეორიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური და ესთეტიკური ფორმები, რომლებიც კაცობრიობის კულტურას წარმოადგენენ“².

როგორც ვხედავთ, აქ კულტურის რაობის იდეალისტურ, მეცნიერულად მცდარ კვლევასთან გვაქვს საქმე. ამ ფორმულაში უგულებელყოფილია კულტურის არსის ისეთი განსახიზღვრელი ფაქტორი, როგორცაა ისტორიული გარემო, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურა, „სულის აღნაგობა“, იდეალური, რომელიც თურმე, თავისთავად, დროისა და სივრცის გარეშე არსებობს, აყვანილია შემოქმედის, განსახიზღვრელის რანგში, რის გამოც ეს თეორია იდეალისტურ-მისტიკურ გარსშია გახვეული და ამიტომ მიუღებელია.

კულტურის ცნების განსაზღვრის ბურჟუაზიულ-ფსიქოლოგიურ ცდებს სხვა ვეტორებთანაც ვხვდებით. როგორც წესი, ამ შემთხვევაში ადგილი ექვს კულტურის ცნების დაკავშირებას ადამიანის ქცევის ცნებასთან. ასე, მაგალითად, ამერიკელი ფსიქო-რასისტ ბენედიქტი წერს, რომ „კულტურა — ეს სოციოლოგიური ტერმინი იმ ათვისებულ ქცევის აღსანიშნავად, რომელიც არ ექვს ადამიანს დაბადებიდან, რომელიც არ განისაზღვრება მისი ჩამსახველი უჯრედებით, როგორც ქვედა კაზანასი და ჩამსახველი, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწევიან, არამედ უნდა იქნეს შესწავლილი ხელმორედ ყოველი ახალი თაობის მოსვლასთან ერთად“³. ე. წ. „კულტურული რელატივიზმის თეორიის“ შემქმნელი ამერიკის შერეთებულ შტატებში შ. ხერსკოვიც, რომელიც ფსიქო-რასიზმის პოზიციაზე დგას, წერს, რომ ადამიანების ქცევა განისაზღვრება კულტურით, ხოლო თვით კულტურა საშუალო სტატისტიკურია ამ საზოგადოების ინდივიდთა ქცევისა“⁴. ამრიგად, აქ მოჯადობულ წრესთან გვაქვს საქმე, გამოდის, რომ კულტურა თვითონ განსაზღვრავს თავის თავს. ორ შემთხვევაში კი ადამიანის ბუნება

² ანტონ ბოქორი შვილი, ფსიქოლოგის პრინციპული საკითხები, თბილისი, 1962 წ., გვ. 229-310.

³ А. И. Арнольдов, Социализм и культура, 1962, 83-88.

⁴ «Советская этнография», 1961, № 3, გვ. 114.

¹ Гегель. Соч., т. XII, стр. 150.



იზოლირებულია თავისი ბიოლოგიური ბუნებისაგან. მართალია, ეს იზოლაცია სხვადასხვა კუთხიდან ხდება, მაგრამ პრინციპში მაინც ურთიერთდაპირისპირებასთან გვაქვს საქმე.

კულტურის ცნების მრავალი განმარტება არსებობს. ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში, ფსიქოლოგიაში თუ ფილოსოფიაში რამდენი სკოლა ან მიმართულებაა, იმდენი სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული თეორიაა შექმნილი კულტურის რაობის საკითხზე. მათი აქ დახასიათება შორს წაგვიყვანდა. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგადად, რომ კულტურის ცნების განმარტებისას ბურჟუაზიული სოციოლოგიების უმრავლესობა სულიერი კულტურას სწევებს მის ფუძეს — მატერიალურ კულტურას, კულტურის ცნება გადააქვს მხოლოდ სულიერი წარმოების სფეროში. კულტურის საფუძვლად აცხადებს რელიგიურ საწყისებს⁷, კულტურა დასაყვს ქვეყნის ფსიქოლოგიურ გაგებაზე⁸, კულტურას აცხადებს არისტოკრატიის სულის გამოვლინებად⁹, რაც იმას ნიშნავს, რომ კულტურული შემოქმედების სფეროებზე გამოირცხავს ხალხთა მასებს, რომელთა მოსახლეობას, რომელიც სინამდვილეში წარმოადგენს კაცობრიობის მატერიალური და სულიერი კულტურის შემოქმედს. ბურჟუაზიული მეცნიერების ეს სკოლები და მიმართულებები ვერ იძლევიან კულტურის ცნების სწორ მეცნიერულ ახსნას.

მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით კულტურა გულისხმობს საზოგადოების მატერიალური და სულიერი წარმოების ორივე სფეროს. კულტურის ცნება ვრცელდება წარმოებაზე, ბაზისზე და ზედნაშენზე.

კულტურის მატერიალურ სფეროს, ჩვენი აზრით, განეკუთვნება წარმოება, შრომის იარაღები, ტექნიკა და ის მატერიალური ფსიქეულობა, რომელიც ადამიანის მიერაა შექმნილი მეურნეობისა და ყოფის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. როგორც წესი, დღემდე წარმოებას არ გულისხმობდნენ მატერიალური კულტურის ცნებაში. ეს ალბათ იმიტომ გამოწვეულია, რომ ანგარიში არ ეწევა წარმოების, ტექნიკისა და მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეს. იმ, კუმშარიტად მნიშვნელოვან, რეოლუციურ გადატრიალებებს, რითაც უკანასკნელ პერიოდში აღინიშნა ტექნიკისა და მეცნიერების განვითარება.

კულტურა — ამ ცნების ფართო გაგებით — უშუალოდაა დაკავშირებული წარმოებასთან. ტელეხედევა, მაგალითად, განეკუთვნება კულტურის სფეროს, მაგრამ მის გარეშე შეუძლებელია წარმოვადგინოთ თანამედროვე წარმოება, იგი წარმოების ნაწილია. შეუძლებელია წარმოების შემდგომი განვითარება საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის გარეშე, კომპლექსური მექანიზაციის გარეშე, რაც უშუალოდ დაკავშირებულია ტელემატიკასთან.

კ. მარქსი, როგორც ცნობილია, მეცნიერებას, განსაკუთრებით ბუნებისმეტყველებას, საწარმოო ძალეებს, კუთვნილებს ში აქცევდა. თუ ეს მართალი იყო მეცნიერების განვითარების იმ დონისათვის, რაც კ. მარქსის ეპოქას ახასიათებს, დღეს, ტექნიკისა და ფიზიკის ეპოქაში, მეცნიერების (კულტურის) უშუალო მონაწილეობა მატერიალური დოვლათის შექმნაში უფრო მაჯათია.

თანამედროვე მეცნიერება სულ უფრო და უფრო ეყრდნობა ინდუსტრიას, ფიზიკაში, ქიმაში, რადიო-ტექნიკაში, ელექტრონიკაში, მათემატიკაში მეცნიერული ექსპერიმენტები, კვლევითი საქმიანობა გრანდიოზული ხასიათის საქარზნო-საფარბიკო დანადგარებთანაა დაკავშირებული. ასტრონომია, რომელიც დღეს კოსმოსის არა მარტო შესწავლის, არამედ ათვისებს მის საქმესაც ემსახურება, მოითხოვს დიდი სიმძლავრის რვატეტული ძრავებს, პარტიის ახალ პოლიგრამაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებითი სხვაობის ლიკვიდაციის ეპოქაში მეცნიერება იქცევა საწარმოო ძალად. ამრიგად, აქ საქმე გვაქვს საზოგადოებრივ ცნობიერების ისეთ ფორმასთან (მეცნიერება), რომელიც, ერთი მხრივ, წარმოების, ხოლო, მეორე მხრივ, სულიერი კულტურის ნაწილია. ასეთი მავლითების მოყვანა კიდევ შეიძლება, ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ კულტურის ცნება წარმოებაზეც ვრცელდება.

მატერიალური კულტურის სფეროში ხშირად გულისხმობენ აგრეთვე საწარმოო გამოვლინებას. შრომის ჩვევებს, ტექნოლოგიის ცოდნას¹⁰, ჩვენი აზრით, ეს მცდარი შეხედულებაა, რადგანაც იგი საწარმოო გამოცდილების, შრომის ჩვევებს, — რომელთა მეოხებით ადამიანები ამოძრავებენ წარმოების იარაღებს და ერთობლივ შეადგენენ საზოგადოების საწარმოო ძალებს. — ათავსებს „შრომის კულტურის“ ცნებაში. ასეთი ლოგიკით მატერიალური კულტურის სფეროში აღმოჩნდება სულიერი წარმოების თითქმის ყველა შემადგენელი ნაწილი, რადგანაც მატერიალური და სულიერი კულტურები ორგანულადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, მათ შორის არ არსებობს „ჩინური კედელი“. როგორც ზემოთ აღინიშნა, მეცნიერების გარეშე შეუძლებელია წარმოვადგინოთ წარმოების განვითარება, მაგრამ ამ საბუთით არავის უფიქტია, რომ მეცნიერება სულიერი კულტურის სფეროდან მატერიალური კულტურის სფეროში მოაქციოს. ან კიდევ: „შრომითი კულტურა“ არ არსებობს ენის გარეშე, რადგანაც ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება, „შრომითი კულტურის“ მონაწილეა, მიუხედავად ამისა, ენა მაინც სულიერი წარმოების სფეროში რჩება. „შრომითი კულტურა“, ჩვენი აზრით, გამართიანებული ხასიათის ცნებაა, იგი გუ-

⁷ „კულტურა — ეს მაინცდებია, განკუთვნილია საკუთარი უნარი, სული, ფეოთლოზიკის კვლევა, ღმერთის სამსახურის ჩვენს სულში“ (დემოკრი).

⁸ „კულტურა მოიცავს ევროპის ახალ ფორმას, რომელიც შექმნილია საზოგადოების საშუალებით და რომელიც საზოგადოების გზით გადაეცემა“ (პარტი და პანტერი).

⁹ თანამედროვე ინგლისელი პოეტი — ფიკსფორტი ტ. ელიოტი თავის წიგნში „შინაშენი კულტურის ცნების შესახებ“ წერს, რომ საზოგადოებში ყოველთვის იყო და არის სხვადასხვა კულტურის დარბეული თვალსაზრისით, რადგანაც „მაღალ წიგნში“ იქმნება იფოთ „კეთილშობილი კულტურა“, რომელიც „კულტურის უმაღლეს მდგენელს“ მოსაქვს. ვიკარ დაბალ ფიგურაში.

¹⁰ Учение записки кафедры философии Московского государственного педагогического института им. В. И. Ленина, Москва 1961 г. в. 12.



ლსხმობს არა კულტურის რომელიმე სფეროს, არამედ ადამიანის შრომის საქმიანობასთან დაკავშირებული სულერი და მატერიალური პოსტულატების ერთობას.

სულიერი კულტურა გულისხმობს საზოგადოების სულიერი ცხოვრებას, საზოგადოებრივ იდეებს, თეორიებს, პოლიტიკურ, მეცნიერულ შეხედულებებს, წარმოდგენებს, ხელოვნებას, ლიტერატურას, განათლებას. სულიერი კულტურის სფეროში შედის ბუნებაზე თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე არსებული მეცნიერული შეხედულებები, თეორიები, წარმოდგენები, — ყოველივე ის, რაც ადამიანის აზრსა და გრძნობებს წარმოუქმნია. საზოგადოების მზარდ, პროგრესულ თუ რეაქციულ ძალებს შეეძინა საზოგადოების აღმავალი მიმართულების განგრძობივი ისტორიის მანძილზე, რათა დაიმორჩილოს ბუნება, გამართოს წარმოება და ამით საზოგადოების სასიცოცხლო მოთხოვნები დააკმაყოფილოს. ამ თვალსაზრისით, თავისი ბუნებით კულტურა შეიძლება იყოს პროგრესული ან რეაქციული, მზარდი ან დროშოკმული. სოციალისტური კულტურა პროგრესული კულტურაა, რომელიც ხელს უწყობს, აძქარავს საზოგადოების პროგრესს; ბურჟუაზიული კულტურა რეაქციულია თავისი ბუნებით, არის, იგი გაბატონებული კლასის სულიერი დეგრადაციის მაჩვენებელია.

არამშობადად კულტურის ცნებას რელიგიაზეც ავრცელებენ. ბურჟუაზიული სოციოლოგიისათვის ეს კანონზომიერი მოვლენაა, ჩვეუთვის კი — შედგომის შედეგი. ზოგი ფიქრობს, რომ რაჟი რელიგია, ისევე როგორც მეცნიერება და ხელოვნება, წარმოადგენს ობიექტურ სპეციფიკურ ასახვის ერთ-ერთ ფორმას, ამიტომ იგი კაცობრიობის კულტურის განუყოფელი ნაწილია.

სინამდვილეში რელიგია და კულტურა ერთმანეთთან შეერთებული საზოგადოებრივი მოვლენებია. ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებია. ისინი საწინააღმდეგო პოზიციებიდან განიხილავენ ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებს.

მაგრამ იბადება კითხვა: თუ რელიგიაზე არ ვრცელდება კულტურის ცნება, მაშინ საზოგადოებრივი ცნობიერების რომელი სფეროს მიეკუთვნით, ვთქვათ, „ქრისტიანული კულტურა“, „საეკლესიო კულტურა“, „სასულიერო წერლობა“, „რელიგიური მხატვრობა“? ხომ არ რჩება ყოველივე ეს კაცობრიობის მიერ შექმნილი სულიერი კულტურის მიღმა? და მაშინ რა, შეუძლებელია წარმოვიდგინო მსოფლიო კულტურა პართენონის, პეტრეს ტაძრის, სვეტიცხოველის, კიევისა და ვლადიმერის საეკლესიო ნაგებობათა გარეშე. საეკლესიო მუსიკა განუყოფელი ნაწილია მსოფლიო მუსიკალური კულტურისა. ქართული მუსიკალური სანოტო დაწვერლობა, რომლის საიდუმლოების ამოცნობას უკვე სათავე დაედო, ქრისტიანული გეგულის კედლებში ჩაისახა. გლონკა, ჩაიკოვსკი, ფალიაშვილი არ უარყოფდნენ საეკლესიო მუსიკის ზეგავლენას თავიანთ შემოქმედებაზე. იგივე შეიძლება ითქვას საეკლესიო მხატვრობასა და ლიტერატურაზეც.

მაგრამ ერთია რელიგია და მეორეა რელიგიური კულ-

ტურა. რელიგია, როგორც გაბატონებული კლასების რელიგიური იარაღი, ყველა საშუალებას იყენებს იმისთვის, რომ სულიერად დაიმორჩილოს ხალხი და გამოემუშავოს მას მონათესაო მორჩილები სულისკეთება. თავისი მიზნების განსახორციელებლად ეკლესია ეყრდნობა არა მარტო რელიგიურ დოგმებს, არამედ ეწევა „თორიულ“ ბრძოლას (მეცნიერება რელიგიის სასახურში), ქმნის მთელ სისტემას ადამიანის ფსიქიკაზე მხატვრულ-ემოციური (ხელოვნება რელიგიის სასახურში) შემოქმედებისათვის. „ეკლესია... უდიდეს ზეგავლენას ახდენს მორწმუნეთა ფსიქიკაზე. გრძნობებზე რელიგიური სასახურისა და წეს-ჩვეულების მოწყობით, იყენებს რა ამისათვის მუსიკას, სიმღერას, სინათლის ეფექტებს, კულტის სასახურისა მომხმობლავ ჩაქმულობას, სანთლის ციმციმს, საკმეველის სურნელებს, ყოველგვარ დღესასწაულებს“² ...

ასე აღმოჩნდა კულტურა რელიგიის სასახურში. ამ გზით შეიქმნა არქიტექტურის შესანიშნავი ქმნილებები — საეკლესიო ნაგებობანი, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური დანიშნულების არიან, თავისთავად ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენენ, საეკლესიო ნაგებობათა გრანდიოზულობით, მაღალი მხატვრული ღირსებით რელიგია ცდილობს შექმნას ზეცურის ძალის ყოფილი შემოქმედების ილუზია, სინამდვილეში კი ისინი ადამიანის მხატვრული გენიის შედეგია. ამ პოზიციებიდან უნდა იქნეს განხილული რელიგიური მუსიკაც, ფერწერაც და ლიტერატურაც; ხელოვნება, რომელიც რელიგიურ სუფიერებაზე შექმნილი, თავისი შინაარსით ყოველთვის რღობს რეაქციული. ბევრი ნაწარმოები ხელოვნების ამ სფეროდან იმდენად ობიექტური სინამდვილის არა დამახინჯებულ რელიგიურ სურათს, არამედ ხატავს საზოგადოებას მწვავე სოციალური კონფლიქტებით. აზოგუნელი ადამიანის ყველაზე სანუკვარ ფიქრებსა და მისწრაფებებს. ცნობილია, რომ მთელი რიგი უდიდესი მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებიც საეკლესიო მუსიკის სახით არიან ცნობილი, გამსჭვალულია სოციალური თუ ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეებით (ჰუსისტების სიმღერები, მოცარტის, ვერდის რეკვიემი, ბეთოვენის „სადღესასწაულო შესა“ და სხვ.). პროტესტანტული საეკლესიო მუსიკის ეანჩრთა დაწერილი ნაზის თითქმის ყველა დიდი ქმნილება, მაგრამ მათ არაფერი აქვთ საერთო რელიგიასთან, როგორც გაბატონებული ექსპლუატატორული კლასების იდეოლოგიასთან, ისინი ადამიანის უკეთილშობილესი გრძნობების გამოხატელობა, ჩაიკოვსკიმ არაერთი მუსიკალური ნაწარმოებში შექმნა ეკლესიისათვის, მაგრამ ეს მუსიკა გამოხატავს არა რელიგიურ მისტიკას, არამედ ემსახურება ადამიანის ნათელ მომავლეს. აღორძინების უდიდესი მხატვრების — რაფაელის, ლეონარდო და ვინჩის, დიურერის რელიგიურ თემებზე შექმნილი მხატვრული შედეგები იქმნებოდა იმდენად სმყაროს უშუალო აღქმის გზით. ცხადია, კაცობრიობა იერ იტყვის უარს კულტურის ამ შესანიშნავი ქმნილებებზე, ისინი მსოფლიო კულტურის საგანძურს წარმოადგენენ.

² უბრალი „Коммунист“, 1958 წ., № 17, გვ. 97.



მათ გვერდით არსებობდა, და დღესაც არსებობს, რეაქციული შინაარსის რელიგიური ხელოვნება და ლიტერატურა, რომელიც სასტიკი მტერია პროგრესული კულტურისა. თანამედროვე ბუნებაზიული კულტურა გამსჭვალულია რელიგიური ფანატრისა და კლერიკალიზმის იდეებით. ამიტომ აქაც საქმე გვაქვს ბურჟუაზიულ რეაქციულ კულტურასთან, რომლის დაძლევა მოწინავე პროგრესული კულტურის ამოცანას წარმოადგენს.

ამრიგად, კულტურა და რელიგია ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებია, ისინი გამორიცხავენ ერთმანეთს. ეს იმას ნიშნავს, რომ რელიგიაზე არ ვრცელდება კულტურის ცნება.

ზემოთ ითქვა, რომ კულტურის ცნება ვრცელდება საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე. ეს კი ართულებს კულტურის მოკლე ფორმულის ჩამოყალიბებას, საბჭოთა ფილოსოფიური თუ ისტორიული ლიტერატურაში საკმაოდ ბევრი აზრია გამოთქმული ამ მიმართებით. სპეციალისტების ერთი ჯგუფი კულტურის ცნებას შემოფარგლავს მატერიალური და სულიერი წარმოების იმ კულტურული ღირებულებებით, შევსებითა და ნაწარმოებებით, რომლებიც ისტორიული განვითარების მანძილზე შექმნილი კაცობრიობის მიერ¹⁰. მეორე ჯგუფი კულტურას უფრო ფართო პოზიციებიდან განიხილავს, აფართოებს მისი გაგრესიების სფეროს, მასში გულისხმობს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს¹¹. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეორე აზრი უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან. კულტურა, ამ ცნების ფართო გაგებით, უშუალოდაა დაკავშირებული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროსთან და გამოხატავს ადამიანის მიერ ბუნების დამორჩილების იმ დონეს, რომელიც მიღწეულია მისი ნების გარეშე მოქმედი ობიექტური კანონების შეცნობისა და გამოყენების გზით; კულტურაში ვლინდება შრომის იარაღების, ტექნიკის, მეცნიერების, განათლების, ხელოვნებისა და ლიტერატურის დონე, იგი თავს იჩენს ადამიანის ყოფაში, შრომითს ჩვევებში და საწარმოო გამოცდილებაში.

ცნება „კულტურა“ იმხარება ვიწრო გაგებითაც. ამ შემთხვევაში კულტურის ცნებაში გულისხმობთ სახალხო საზოგადოების მდგომარეობისა და მისი განვითარების დონეს, მეცნიერებას, ხელოვნებას, ლიტერატურას, კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ერთი სიტყვით, ამ ასპექტში მხედველობაში აქვთ სულიერი კულტურა, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმა. იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს ეს აზრი, განვიხილოთ კულტურა საზოგადოებრივი ცნობიერების ასპექტში.

საზოგადოებრივი ცნობიერება, როგორც ისტორიული მატერიალიზმის კატეგორია, საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ერთად ქმნის საზოგადოებრივ ცხოვრებას. მარქსამდელ ფილოსოფიაში საზოგადოებრივი ცნობიერება იხილებოდა მისი წარმომქმნელი საზოგადოებრივი პრაქტიკისაგან მოწვევით. ასეთ განხილვას კი არ შეუძლია სწორი მეცნიერული სურათის მოცემა, რადგანაც საზოგადოებრივი ცნობიერება საზოგადოებრივი ყოფიერების ასახვას, მის სულიერ პროდუქტს წარმოადგენს. კ. მარქსსა და ფრ. ენგელსსა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მატერიალურ და სულიერ კულტურას (ლიტერატურა, ხელოვნება, საზოგადოებრივი მეცნიერება ახსნის გზით დაასაბუთეს, რომ საზოგადოებრივი ცნობიერებას განსაზღვრავს, განაპირობებს საზოგადოებრივი ყოფიერება.

საზოგადოებრივი ცნობიერების ის ნაწილი, რომელიც მოიცავს კლასობრივ, ზედნაშენურ ფორმებსა და ელემენტებს ამ ცნების ვიწრო გაგებაში თავსდება. ამ ცნებაში იგულისხმება საზოგადოებრივი ცნობიერების ის ფორმები, რომლებსაც კლასობრივი ბუნება აქვთ და ზედნაშენა განვითარებას განიცდიან. ესენია იდეოლოგია (პოლიტიკური, ფილოსოფიური და სხვა სახის შეხედულებანი, მორალი, იდეები, პოლიტიკური ორგანიზაციები) და საზოგადოების სულიერი კულტურა (ლიტერატურა, ხელოვნება, საზოგადოებრივი მეცნიერება და სხვა).

კულტურა ისტორიული ხასიათის მოვლენაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ეპოქას ახასიათებს კულტურის განვითარების სარკვეული დონე. მატერიალური წარმოება წარმოადგენს სულიერი კულტურის განვითარების საფუძველს. სულიერი კულტურის განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მატერიალური ბაზა აქვს საზოგადოებას, არსებობს თუ არა საჭირო მატერიალური პირობები სულიერი კულტურის განვითარებისათვის. პირველყოფილ-თემურ საზოგადოებაში საქმე გვაქვს პრიმიტიული ხასიათის სულიერ წარმოებასთან, რადგანაც წარმოების განვითარების პირველყოფილი დონე არ ქმნის სათანადო პირობებს მისი განვითარებისათვის. ანტაგონისტურ საზოგადოებაში სულიერი კულტურის განვითარების საქმე ძირითადად გაბატონებული, მატერიალურ საშუალებათა მფლობელი, კლასის ხელშია. „ამა თუ იმ ხანის გაბატონებული იდეები, — წერდნენ კ. მარქსი და ფრ. ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“, — ყოველთვის იყო მხოლოდ გაბატონებული კლასის იდეების“¹². როგორც ვხედავთ, აქ დააპირკა ამა თუ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელ გაბატონებულ იდეებზე, გაბატონებულ სულიერი კულტურაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ბაზისის კვლამათარ ერთად ეცვება გაბატონებული კლასების იდეები, მათი კულტურა. კულტურას, იქნება იგი სულიერი თუ მატერიალური, ახასიათებს მემკვიდრეობით გადასცემის უნარი, რაც ქმნის საფუძველს საზოგადოების აღმავალი გზით პროგრესისათვის.

¹⁰ Г. Г. Карпов, О советской культуре и культурной революции в СССР, Москва, 1954, гл. 9.

¹¹ П. Абросенко, Советская социальная культура — самая передовая культура в мире, Москва, 1951, гл. 7; А. И. Арнольдов, Социализм и культура, Москва, 1962, гл. 40.

¹² კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1949 წ., გვ. 74.



პიერ კობახიძე ე. ი. ლენინის როლში

პ ი ე რ კ ო ბ ა ხ ი ძ ე

ეთერ გუგუშვილი

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

ს სტატია მოფიქრებული მქონდა და მისი წერაც ჯერ კიდევ პიერ კობახიძის სიცოცხლეშივე დაიწვიე. ამის საბაზი საფუძვლით კონკრეტული იყო.

„ურიელ აკოსტას“ ერთ-ერთ უკანასკნელ სპექტაკლზე (ეს იყო 1963 წ. 17 აპრილს, როცა თეატრმა გასტროლების წინ ბოლო სპექტაკლი გამართა), პიერ კობახიძე ურიელს თამაშობდა და ოსტატობის იმ მაღალ ბეჭს მიაღწია, რომელზედაც მხოლოდ ოცნება თუ შეუძლია ყოველ მსახიობს.

როცა კულისებში მივდიოდით, რათა პიერისათვის გამარჯვება მიმელოცა, ვფიქრობდი იმაზე, თუ რაოდენ დიდი შეიძლება იყოს ბედნიერება მსახიობისა, რომელმაც ესოდენ სიმღ-

ლეებს მიაღწია, თუ რაოდენ დიდი შრომა გასწია მან თავისი ოსტატობისაკენ მიმავალ გზაზე, და რა ცოტა რამ არის ჯერ კიდევ დაწერილი მასზე, მის შრომაზე, მის შემოქმედებით სახეზე. მე ვიტყვოდი, მის გმირობაზე ხელოვნებაში.

იმ საღამოს პირფერობა არავის დასჭირებია. სპეციალურად არავის მოუფიქრებია მისაღოცი სიტყვები — იმდენად აშკარა იყო ალტაცების გულწრფელობა. და ამის შერქმევა ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო.

— თქვენ დიდებულად, ბრწყინვალედ თამაშობდით — ეუთხარი მას — ასე არასოდეს გითამაშნიათ.

— არც სხვა დროს ვთამაშობდი ურიგოდ — მითხრა მან ეშმაკური ღიმილით და ამ სიტყვებში რაღაც საყვედურის მაგვარი რამ ვიგრძენი.

მივხვდი: მან სიტყვა გადამიკრა ერთ ჩემს სტატიაზე, სადაც ვლაპარაკობდი უფროსი თაობის მსახიობთა ყველაზე დიდსა და მნიშვნელოვან როლებზე და სიტყვაე კი არ დამიძრავს მისი ურიელის გამო. პიერ კობახიძის უბოროტო, ნახევრად ზუმრობის კილოთი ნათქვამი საყვედური მართებული იყო. და მაშინ, როცა მის გამარჯვებას ვსვიმობდი, უფრო მწვავედ ვიგრძენი თუ რა ვალში ვიყავი მე მისი ტალანტის წინაშე.

მე მტკიცედ გადავწყვიტე დამეწერა მასზე წერილი.

განა მაშინ ვიფიქრებდი, რომ ჩვენი ეს მუხვედრა უკანასკნელი იქნებოდა? მეორე დღეს თეატრი საგასტროლოდ მიემგზავრებოდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩვენს შორის აღარ იყო პიერი.



პიერ კობახიძე

ახლა სტატია უკვე დაწერილია. მისი მიზანი კვლავ უცვლელია—მსურს მოგიხროთ შესანიშნავი მასხიომ-მოქალაქეზე, მის შემოქმედებით გასაზე. შეიცვალა მხოლოდ ობიექტური მიზეზები, რამაც ნაღვლიანი ინტონაციითა და მოგონებითა მოტივით ალაგსო ტექსტი.

მრავალი მასხიობის შემოქმედებით ბიოგრაფიაში ურიელ აკოსტას სახე სასინჯ ქვად არის ქვეული. ურიელის სახე პიერ კობახიძისთვისაც წარმოადგენდა მის საუკეთესო როლს, მისი დაუცხრომელი, ცეცხლოვანი ნიჭიერების გვირგვინს. ბრმა შემთხვევის წყალობით იგივე როლი მისთვის საბედისწილი გამოდგა. სწორედ „ურიელ აკოსტას“ სპექტაკლზე (თეატრის სოსუმში გასტროლების დროს) მიიღო მან ის პირველი ბიძგი ავადმყოფობისა, რომელმაც პიერი ერთი თვის შემდეგ ტრაგიკულ აღსასრულამდე მიიყვანა.

ყოველთვის ძნელია შეურიგდე ადამიანის ნაადრევ სიკვდილს. ამ დროს ვლადპარაკობთ ხოლმე იმაზე, რომ ტრაგიკული ფინალის არიდება შეუძლებელია...

განსაკუთრებით მძიმეა პიერ კობახიძის სიკვდილზე ფიქრი. არაფრით არ უკავშირდება სიკვდილს მისი სიცოცხლის-მოყვარე სახე, მისი მქექფარე ხალისიანობა, ენერჯია და სიფიცხე.

ასეთი ადამიანები მარად უნდა ცოცხლობდნენ! ურვეულოდ ხალისიანი კაცი იყო პიერ კობახიძე. უყვარდა ხუმრობა. ენაქილოვანობა, მის მწერას არ ეპარებოდა ადამიანთა სასაცილო მხარეები, წარმოსახავდა მზიარულ ამბებს და ყოველთვის ტკბებოდა საკუთარი გამონაკონით.

მას შეეძლო თავისებურად, განსაკუთრებულად ეშურა და ვეციენებინეთ. მის ახლო ნაცნობებს მშვენივრად ახსოვთ თუ რა სერიოზული სახით წარმოსთქვამდა იგი რაღაც წარმოუდგენლად კომიკურს და ამ კომიზმს კი არ გამოყოფდა, არამედ თითქმის შემთხვევით, ფრთხილად, ნახევარტონებში გავაწვდიდა. ხოლო შემდეგ იცინოდა კეთილი, მჭკვარე სიცილით. და მოსაზურე სიხარულის სრულქმნილების შეგრძნებითა და მწვესულისკვეთებით იცხებოდა.

პიერ კობახიძისთვის უცხო იყო წერილმანი თეატრალური ფაფრაკები, მას შეეძლო მათზე მალა და მდგარაკიყო. უფრო ზუსტად მის სულში პოეტი ცოცხლობდა. მას იტაცებდა პოეზია და იგი ლექსებს წერდა. მის ლექსებში შუხავებული იყო მგზუნებარება, ტემპრამენტი და ამავე დროს პუშირი. ამაში მქვანდებოდა მისი რინდული ბუნება, მისი მსახიობური რომანტიზმი. უბრალოდ, მას არ შეეძლო არ ეწერა ლექსები. მასში გამოხატავდა იგი თავის დამოკიდებულებას ცხოვრებასთან, ადამიანებთან, მოვლენებთან. და ამ დროს იგი ყოველთვის პოულობდა მარჯვე რაკურსებს. ბუნებამ დააჯილდოვა იგი ბვერი ისეთი რამის ხილვით, რაც სხვისი მწერისათვის მიუწვდომელი იყო.

მე მაგონდება ჩვენი ერთობლივი მოგზაურობა იტალიაში 1959 წლის აგვისტოში. ამ მოგზაურობაში საქართველოდან ოთხნი ვიყავით — თეატრმცოდნე ელენე თოფურაძე, კრიტიკოსი ბესო ფლდერი, პიერ კობახიძე და ამ სტრუქონების ავტორი. ჩვენი მოგზაურობის პირველსავე წუთებიდან ვიდრე სამშობლოში დაბრუნებამდე ჩვენი ვიყავით პიერ კობახიძის ამოწურავი გონებასახელობის ტყვეობაში და მე არ ვიცი იქნებოდა თუ არა ეს მოგზაურობა ისევე მზიარული და ხალისიანი ჩვენი გვერდით პიერი რომ არ ყოფილიყო.

მაგონდება ერთი ამბავიც. ვენეციაში სტუმრად მივიწვივა მსოფლიო გამოფენის „ბიენალეს“ პრეზიდენტმა სენიორ პონტიმ, რომელიც თბილისიდან ახალი დაბრუნებული იყო. თავიცი საკუთარი კატერით სენიორ პონტი მიიღო დღის განმავლობაში გვასტრინებდა ამ სასწაულებრივი ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად. პონტი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორია და თვით იგი იყო ჩვენი მგზური ვენეციის მუხეშებნა და სურათების გალერეებში. შესაძლოა იტალიაში ჩვენი ყოფნის მთელ მანძილზე არ მივივლია ეს დრო ამომწურავი, ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი ხელოვნების ძეგლებისა, როგორც იმ ღირსსახსოვარ დღეს. განსაკუთრებით გავაოცა ტინტორეტოს სურათების უნიკალურმა კოლექციამ კუნძულ სან ჯორჯო მაკაროზე. ჩვენ აღსაქვსენი ვიყავით მთაბეჭდვლებით. დრო იყო საჭირო იმისათვის, რომ გავგეზავრებინა ნანახი და განცდილი, „გადაგვეზარმა“ ყოველივე მარტობის ეაში. პიერი კი თავისის არ იშლიდა და ქართულად ამბობდა: „კიდევ ერთი ტინტორეტო და მე ან გადავირევი ან მოვკვები“. არც ერთი და არც მეორე მას არ მოსვლია. ჩვენ სტუმართმოყვარე მასპინძელს მუხეშებიდან მუხეშუში



გავყავით კვლავ. შემდეგ მივიწვივა კუნთულ ლიდის დასათ-
კლარებლად, შემდეგ თეატრში, ფრანგულ ბალეტზე...

შუალამე ვადასული იყო როცა კუნძულ ლიდთან ვენცი-
ში დაბრუნდით. ჩვენი კატერი სწრაფად აკვეთდა ტბის
კალტებს და პირდაპირ ქალაქისკენ მიმართებოდა. წინ,
ჩოგურ ზღაპრული ბროლის ციხე იმ აღმართულიყო ნა-
რჩურად განათებული დიდების სახახლე. მოწონებულები
მეკვირით ამ დიდებულ, განუმორებელ სანახაობას. მასსოფს
ჩოგურ ლევადა პიერი. მის პოეტურ სულს არ შეეძლო სათა-
ნდოდ არ შეეგრძნო ჩვენს წინ აღმართული სურათის მთელი
დიდებულება. იგი ჭაბუკივით აღტაცებული იყო.

გზაში, მოგზაურობაში, უცხო მხარეში ადამიანის ხასიათის
ოცებანი განსაკუთრებულს სიხვედრე ვლინდებოდა. უცნაუ-
რ, მიუხევედლო ყოველდღიურების პირობებში, ერთად ცხოვ-
რების ვითარებაში უფრო მეტდროდ იგრძნობა ადამიანის ბუ-
ნების როგორც უსწორმასწორო რელიეფი, ასევე ის კარგი,
რაც მასში ცოცხლობს.

პიერს მხოლოდ კარგის თქმა თუ შეიძლება. იგი ფრიად
სასაოგონო კაცი იყო მოგზაურობისას. როგორც ერთგულ მე-
ობართან მასთან ყოფნა იყო საიმედო და სახალისო. მე არ
მასსოფს არცერთი, თვით სრულიად უმნიშვნელო წვრილმანი,
რომელიც თუნდ ერთის წამით მას რამე ჩრდილს მიაყენებდა.
ყოველ მის ნაბიჯში, მის ყოველ მოქცევაში იმდენი ტაქტი,
კეთილშობილი ადამიანურება, ჭკუმიპირი რაინდობა და
ავსაზიანობა სტეკოდა, რომ შეუძლებელი იყო არ გვადიარე-
ხინათ. მოგზაურობის პირველივე დღიდან პიერი საყოველთაო
სიყვარულის საგნად იქცა. და ყოველთვის ამ მოგზაურობისთან,
მოზიბლავ იტალიასთან, მის მესუნებაზე, მწველ მუსხანა, ნა-
რჩიხის ზღვასთან და ასევე ნარინჯისფერ ცასთან, ხელოვნების
დიად ძეგლთან დაკავშირებული ჩემი მოგონებანი გადაწე-
ლა მხარულ პიერთან, მის ადამიანურ სიწმინდესთან და
მწვენიერებით ტკბობის დაუცხრომელ წყურვილთან.



პიერ კობახიძეს თავისი განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა
და ქართულ თეატრში. მას ჰქონდა „თავისი“ როლები და
თავისი განსაკუთრებული დამოკიდებულება მათთან. შიპა-
კოსის დარად მას შიპანდა, რომ თეატრი არა უბრალო ამ-
ჩუღავი სარკვა, არამედ გამადიდებელი მინა. მისთვის ორგა-
ნულად უცხო იყო ყოფითი სიძარბო. მას უყვარდა ყოფილი-
ყო თეატრული, სცენაზე უყვარდა პოეტობა. და იგი დი-
ვი იყო ამ მიდრეკილებებში.

პიერ კობახიძეს არასოდეს არ აკლდა როლები. უფრო მე-
ტიც, იგი ყოველთვის დებოდა საპასუხისმგებლო, მთავარ
როლებს. მის როლებს შორის ბევრი ისეთია, რომელზედაც ყო-
ველ მსახიბის მხოლოდ ოცნება თუ შეეძლოა: ურიელი, ფერ-
დნანდი, არმან დევილი, პარატოვი, პეტრუჩიო, ანტონიუ-
სი. როლების თვით ეს არასრული ჩამოთვლა განასაზღვრავს
მის ადგილს თეატრში, მის მსახიბურ მიდრეკილებებს ე. წ.
„პირი შეყვარებულების“ ამპლიუაჟენ, და უკვე ანგვარი
ეთარება თეატრში უცილობად წარმოშობს რაღაც განსა-
კუთრებულ დიანტრესებსა, ჰქმნის დიდების განსაკუთრებულ
ზარანდებს.

თავის სიცოცხლეში კობახიძემ იწვინა ამ საშური და მსა-
დური ამპლუის ყველა სივითე. მან გამოსცადა მაყურებლის
გგზალტირება და მას არასოდეს, არც სიჭკბუის ტაში, არც
სიმწიფის წლებში ბოროტად არ უსარგებლია მაღალი
მდგომარეობის მსახიბის უფლებებით. იგი ხედვდა და ჩი-
ნებულად ესმოდა იმ წინააღმდეგობისა, რომელიც არსებობს
ამ როლების ობიექტური მინიჭების მაკერებუნებასა და
იმ არსებით სიმძნელეთა შორის, რომელთა გადალახვა ყველა
მსახიბის რობი ძალუბა.

პიერ კობახიძე მედრად მიდიოდა ამ სიმძნელეთა გადა-
სალახვად. იგი გულმოდგინედ, კეთილსინდისიერად, გონი-
რად აკვეთდა მხატვრულ სახეებს, ღრმად ესმოდა მათი
გრძნობათა სამყარო და საკუთარ ძალთა შესაძლებლობა.

უმწველო სილამაზის თვალსაზრისით ცხოვრებაში პიერ
კობახიძეს ვერ ვუწოდებდით ლამაზს. სამაგიეროდ სცენაზე
მწვენიერი იყო. დიბა, იგი დიდად ზრუნავდა გრომსა და კოს-
ტუმებზე, სურდა და არც ეშინოდა ყოფილიყო ლამაზი, ელე-
განტური, გამორჩეული. სურდა და აღწევდა კიდევ ამას.

კობახიძე არასოდეს არ იჩრდილებოდა სცენაზე. იგი გა-
მოდოდა მაყურებელთან შესახვედრად და უშალ ავებდა სცე-
ნურ სივრცეს, ყოველთვის თვალსაჩინო ფიგურას წარმოად-
გენდა. მას ახასიათებდა მოზიბლავი იმპოზანტურობა, ტან-
წყობა და რაინდული სინაუკე.

ეს რაინდული საწყისი მასში მაგრად იყო ფსევგადმული.
ის მისი მსახიბური ტემპერამენტის ბუნებაში იყო გამკდა-
რი. ხოლო კობახიძე სწორედ ტემპერამენტის, ვნების მსახი-
ბი იყო. მის გიბრებს შეეძლოთ სიყვარულიც და სიძულვილიც
რადაც განუმორებელი სიციფითი, ცეცხლით, თავდავიწყებით,
მაგრამ ყოველთვის ინარჩუნებდნენ რაინდულ ღირსებასა და
შინაგან კეთილშობილებას. ამ საპირისპირო სულთა ხმების
შერწყმა ბაგებდა მისი მსახიბური ინდივიდუალობის თავი-
სებურებას, მისი თამაშის ამაღლებულ სტილს.

პ. კობახიძის არ უყვარდა თავისი როლების გარანდა,
როგორც ამბობენ „როლის მაქმანი“ ჭიოვა. სცენური სახის
შექმნაში იგი აღიარებდა გარგვენული ფორმის მიმსვენლობას,
მაგრამ თითქმის არასოდეს სურავდა ამ ფორმის ცალკეული
„აკორდული“ მიგნებები, არ ცდილობდა ამ მიგნებების და-
ნაწევრებას მის შემადგენელ ნატებებად, რომლებიც როლის
განიტარების ყოველ მონაკვეთში ამართლებენ მხატვრული
სახის შინაგან არსს. პიერ კობახიძე ფორმის აღიქვამდა მთლი-
ანობაში, მის ერთიანობაში. გიბრის ხასიათს, სახის შინაგან
ნახატს იგი ჰქმნიდა არა გრაფიკული, არა აკავარელის საშუალო-
ბებით, ხასიათის თვისებებს ეძებდა არა ცალკეულ ფსიქოლო-
გიურ ნიუანსებში, არა მთლიანის დანაწევრებაში, არამედ კომ-
პლექსურობაში. ფორმისა და შინაარსის ძიებისას იგი მიმარ-
თავდა არა კრძობს, არამედ ზოგადს. მას მოუხმობდა საყო-
ველთაო ნიშნები, იგი მისწავლიდა დიდებულებისაკენ, თვით
საზემო სტილისაკენაც ე. წ. კობახიძე ცდილობდა ერთის
საფეხურით მაღლა ასულიყო იმასთან შედარებით რასაც
მოითხოვდა დრამატურული მასალა. მას უყვარდა მსახიბ-
ური შესრულების ამაღლებული სტილი. და იქ, სადაც ამაღ-
ლებული ხელს უწყობდა გიბრთა ხასიათებში ეგვან საკუ-
თარ „მე“-სთან დამაკავშირებელი კონტაქტები, იქ, სადაც და-



ლის პათეტიკა, რაც პ. კობახიძის სტიქია იყო, შეპირობებუ-
ლი იყო შინაგანი განცდის სიმდიდრით, ანდა ეფინებოდა მის
ფიქტურ ტემპერამენტს ამ ძალზე მიდრეკილებებს, იგი კპო-
ვედა განარჯევას, იქნადა აუცილებელ მხატვრულ პარამონი-
ულობას. ყველაზე ნათლად ეს პარამონიულობა მის ურიელში
გამოვლინდა.

ეს იყო რადიკალი გათანადული და ამავე დროს გალანტიური
ურიელი. რა იყო იგი ბოლოსამებოლს — შიშობრუნე? ფი-
ლოსოფოსი? გულფიციხი სატრფო? ცალცალკე ამ კითხვებზე
პასუხის გაცემა ერთბაშად შეუძლებელია. პ. კობახიძე თავის ურიელში
აერთიანებდა ამ არსებით თვისებებს და არ ცდილობდა რო-
მელიში მათგანის ცალკეულ აქცენტირებას. მას სურდა ერთ-
ბაშად მოეცა ურიელის ხასიათი მთელ მოღანიანობაში, მიე-
ლის სიგრძე-სიგანით და უკიდვგანით სივრცეანობით.

ამ სახის წვდომის სირთულე სავეტილი ნათელი იყო პიერ
კობახიძისთვის. გმირის ხასიათის რთულსა და მტანჯველ ძი-
ებებს, მისი არსის ყოველმხრივი გაჯერების სინძელს თან ერ-
თობდა პასუხისმგებლობის დიდი გრძნობაც. მას ხომ უშანგი
ჩნებოდა თან უწევდა შემოქმედებითი შეჯიბრების გამართვა.
ყველაზე გაბედულს თუ შეუძლია ამგვარ ასპარეზზე გასვლა.
ასეთი კაცო შეიძლება იყოს ფანატისი, რომლისთვისაც სხვა
მსახიობთან არასასარბიელი შედარების შესაძლებლობა არა-
ფერია როლის თამაშის გახელებულ სურვილთან შედარებით.
ასე დაიწყო ბრძოლა ურიელისათვის, იმის უფლებებისათვის,
რომ იგი კვლავ ყოფილიყო ქართულ სინაზეზე, ჩვენს სპექ-
ტაკლში, რომელსაც დღემდე მაღალი არა ჰყავს ქართულ საბ-
ჭოთა თეატრში და რომელიც ოქროს ასოებითაა ჩაწერილი
ჩვენი ქვეყნის თეატრალურ ანალებში. და პიერ კობახიძე იბრ-
ძობდა ამისათვის. ებრძოდა სტილის მაღალყოფნადასთან,
ფრანსის რიტორიულობას, თანდათანობით და დაგვიანით მი-
იწვედა მხატვრული სახის ურთულესი მრავალპლანიანობის
წვდომისაკენ, ეძებდა არსებითი მომენტების დამკვიდრების
გასაღებს და ამ დროს, როგორც ითქვას, მიიწვედა საერთო-სა-
კენ, ერთიანის მოღანიანობისაკენ. და მაშინ მის ღერძად იქცა
ეს თავდადებულება.

პიერ კობახიძის ურიელი ფანატისი იყო. ფანატისი
იყო ყველაფერი — სიყვარულსა და სიძულვილით, თავისი
იდებებისათვის ბრძოლაში და თავისი მტრების იდებების უარ-
ყოფაშიც. მას ამ დროს ახლდა ძალა შინაგანი რწმუნისა.
თვით სულიერი მერყეობის წინებშიც კი არ შეივარდობოდა
სისუსტე ანდა მისი ბუნების რაიმე მოტყობისა. თითქოსდა
ეს მერყეობაც გაპირობებული იყო მის მიერ მიღებული გა-
დაწვევებით, იმის რწმუნით, რომ სწორედ ამგვარად უნდა
მოქმედებოდა იგი.

გაუბედავად, უნდადა როდ უყვარდა მას იველით. პო-
ეზიას და ლირიკას მან შინაგანა ვაჟაკურ გრძნობათა ემოცი-
ონალურება. მისი ურიელის სიყვარულში ისევე როგორც შო-
წინააღმდეგეობთან გააფორმებულ ბრძოლაში, ცოცხლობდა ძა-
ლა პათეტიკისა, ამიტომაც პ. კობახიძე-ურიელის თვით ხასი-
ათი ამ იყო მკვეთრი გადასვლები ლირიკულობიდან, მსუბუ-
ჭი წამღერებელი ინტონაციებიდან სინაგოგის სცენებში აღმო-
ხეობდა ბუნებრივ განწყობილებებზე. ურიელ-კობახიძის ამ-
ბოხი, მისი გახელება ბნელეთის მოციქულთა წინააღმდეგ ლო-

გიკური შედეგი იყო მისი დაუდგომლობის, ამბოხის, მისი
რომანტიზმისა. ასევე ლოგიკური და განსაზღვრული იყო
ამ ურიელისათვის ტრაგიკული აღსასრული — სატრფო-
ხითი სიკვდილი. ამ სიკვდილში არ იგრძნობოდა ბედის უკუ-
მართობასთან ადამიანის მორჩილი შეგუება. თვით ურიელ-კო-
ბახიძის სიკვდილი იყო გამოწვევა, მებრძოლი ადამიანის გა-
უტყებლობა, სიმართლისათვის მებრძოლი კაცის, უკომპრომი-
სო და თავგანწირული რაინდის მაღალი პრინციპულობა.

ერთხელ რეჟისორმა ვახტანგ ტაბლაიშვილმა, რომელსაც
პიერთან ერთად ხშირად უშუაგანია სცენურ სახეებზე, თქვა
რომ ამ მსახიობის შემოქმედებით იერში, მე გბედავო იმ ნიშ-
ნებას და ხერხებს, რაც მას სახეულანტოში ფრანგ მსახიობ
მუნე-სიულთან ანათესავებს. თუ ამას ღრმად ჩაუფიქრებ-
ბით, ტექნარტიკის საწყისს აღმოვაჩინებ. თანდაყოლილი გნ-
ბა ყოველგვარი თეატრალიობისა, უაღრესად გამოვლენულ
მგრძობილობა და ტექნიკური სრულქმნა ასევე ახასიათებს
პიერ კობახიძესაც. რასაკვირველია ყველაფერი ეს მისი ინდი-
ვიდუალური თვისებებისა და მსახიობური გაქანების საზღ-
ვრებში თავსდება.

შესაძლოა არავის ქართულ თეატრში არ ახასიათებდა
კლასიკის იმგვარი შეგრძნება, როგორც პიერ კობახიძეს. იგი
როგორღაც თავისებურად გრძნობდა მის ხასიათ დიდებულ სიბ-
კაცრეს, მის გრავიულ სინტაქსს და სახეობი დიდებულე-
ბას. ამიტომ ხომ არ ანიჭებდა იგი ესოდენ დიდ მნიშვნელო-
ბას სიტყვას, მხატვრული სახის ფრანკულიზაციურ, ინტონაცი-
ურ შეფერვლებას? მას ჰქონდა დახვეწილი დიქცია, ჩინებუ-
ლი ფეხობდა ხმას და ამით ძერწავდა სიტყვას, ჰქონდა მეტ-
ყველების რბილ მდინარეებსა და არამყველებრივად ფაქიზად
ფერობდა ფრანსის პლასტიკურ სისუსტეს. პიერ კობახიძის
შემოქმედებაში სიტყვა ყოველთვის იქნება რადეც განსაკუ-
რებულ, პროფესიულ აზრს. და შემთხვევითი არ იყო, რომ მას
ასე რიგად იზიდავდა მხატვრული კითხვის ხელოვნება, სადა
სიტყვის დახვეწილობას, ხმასა და დიქციას ასე არსებით
მნიშვნელობა აქვს.

პიერ კობახიძის რეპერტუარში კლასიკა მტკიცედ დაშ-
კვიდრდა. ჯერ კიდევ უკდაათიან წლებში ითამაშა მან ფერ-
დინანდი ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარულიში“. და ითა-
მამა მგზნებარედ, მორთოვარედ, აღტკინებით, როგორც ამას
მოითხოვს შილერის პათოსი, დიდი მსახიობური ტემპერამენ-
ტით, გაქანებით, ტრაგედიის ამაღლებული სტილის შეგრძნე-
ბით.

მღელვარე და ვნებიანი იყო პ. კობახიძის შესრულები
ონის ყაზბეგის „მოღვარში“. მაყურებლის მესხიერებაში
სამუდამოდ აღიბეჭდა სახე მთიელისა, რომელიც ერთ დროს
თემის სიამაყე იყო და შემდეგ რომ გაქცილიყო აღმოჩნდა.
მაგრამ ამ დაცემის ვაშაყე ონისე-კობახიძე როდი ემსახურებო-
და ცრემლიან დიაცს, რომელიც შეწყალებას თხოვს. პირი-
ქით, მას შეგნებული ჰქონდა თავისი დანაშაული, რისხვად
თავს მაცვალას მიკვლის გამო და ამაყად, დიმილითაც კი უწ-
ვერად მკერდს ხაწავდა, მოთხოვრება დაესაჯათ და თვით გა-
დაცვებდა საკუთარ თავს თემის სასჯელისად. და გელას ხელი
განგრძობული იყო კვდებოდა მწველი და სიკვდილს ხელებო-
და როგორც დამსახურებულ სასჯელს.

პ. კობახიძე ჩინებულად გრძობდა მთიელის ბუნებას. ვაგა ფშაველას „მოკვეთილი“ იგი თამაშობდა ჩინთას და ყოველ წამს გამოკვეთდა მის კეთილშობილურ ხასიათს, ხალხის ინტერესებისათვის მის თავგანწირულობას და ერთგულებას. იმ წლებში პ. კობახიძის რომანტიზმი გამოვლინდა თითქმის ისეთ ყოფით სახეში, როგორც იყო სიმონა („ნიინო-შელოს გურია“).

პირველსაწლებში იგი ლიტერატურული მასალის გაგლეხას განიხილდა და ვარაუდობდა სიმონას გამოსასახავად უეჭველად ზახუ გაეხა მისი სილამაქისათვის, უპირველესად უაღრესად გამარტივებული, უკიდურესად ჩამოწეული კოსტუმის მეშვეობით. მსახიობის ამ ჩანაფიქრზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული: გარეგნულ სივლახეს, საერთო სურათის საგანგებო დამბადებას არ შეიძლება გაგლეხა არ მოეხდინა გმირის შინაგანი თვისებების სათანადო გახსნაზე. ძნელი სათქმელია თუ სადამდე მივიდოდა მსახიობი ერთხელ რომ მხატვარ დაეითკაბა, სპექტაკლის გამომრეხებელს, მისთვის არ გაეზიარებინა საოცრად ზუსტი და მახვილი აზრი, რომელმაც ბევრი რამ განასაზღვრა პ. კობახიძის გმირის შემდგომ ბედ-ილაღლში. და კაკაბტემ უთხრა მას, რომ სიმონასანაირი გლეხი არ იგლის ბინებში, რომ იგი ყველგან და ყოველთვის ეცდება იყოს შემართული, ჩაუჭი, რომ თვით ტანსაცმელი, რომელსაც იგი ალბათ ეუღლი ქსოვილისაგან შეიკვრავს, ყოველთვის იქნება კოსტა და ისე მარჯვედ გამოყვანილი, როგორც თავადების სახლისი. ტანსაცმელს იგი ელევანტურად უნდა ატარებდესო.

პირ კობახიძემ ამ აზრს ჩაეკიდა. ასეთი გააზრება ხომ მის მსახიობურ ბუნებას შეეფარდებოდა, პასუხობდა თეატრის მიხედვლად გაგებს. ეს ყველაფრის სათავე აღმოჩნდა — გაცოცხლები სიმონა, შეთანამდენენ მისი კუნთები, აელვარდენ თვალები, ელვარდენი გახდა მისი მოძრაობა. სცენაზე შემოდიოდა შემართული, ჩამოსხმული, როგორც იმპოზანტური კაცი, რომელიც მამარ ამ მოქცევა სილამაქის, სივალაღად და მუშაბრებამ და ვერ ჩაჰკლა მასში ადამიანური სიამაყე. ეს იყო ამაყი შურისმაგებელი შეგინებული ღირსების გამო, რომელიც თამაზად მიაბიჯებს თავის ტრაგიკულ ბედთან შესახვედრად.

რომანტიკოსი პირ კობახიძე ზალისით და ხშირად ქმნიდა თავის სახეებს, მისი სიცილი სცენაზე გადადებები იყო, იგი იცინოდა მკეუხარედ ძალუმად, მთელის ხმით. და ყოველთვის ამ სიცილი იყო სიჯანსაღის სიკაცსავე, ძალა და ჭაბუკური მხნობა.

შეიძლება უცნაურად მოგვიჩვენოთ, მაგრამ სწორედ ამ სიმხნვეს, სიჭაბუკისა და ძალის შთაბეჭდილებას სტოვებდა მისი ანტირონიუმი („ანტირონიუმი და კლოპატრა“) სცენაზე პირველ გამოჩინებისთანავე. ეს ფიციული სატრო სცენაზე შემოდიოდა ვითარცა თავის ძალაში დაჯერებული და გულმამაცი გმირი, თავს მდგომარეობის ბატონ-პატრონად გრძობდა, არ ეჩივებდა სიყვარულში და იყო ნამდვილი ხელისუფალი. ანტირონიუს — პ. კობახიძის უყვარდა არა მხოლოდ კლოპატრა, არამედ მთელი სიციცხლე. მის ძლიერ და მტკიცე ნაბიჯში, მის უღარდელ, ძალუმ სიცილში, ამაღლებულ ცნობებისეულ ტრანსში გამოხატული იყო ყოველისმომცველი, უნაპირო ტკბობა სიციცხლით. და რაც უფრო ძლიერ გახაზავდა მსახიობი თავის გმირის ამ თვისებებს, მით უფრო ნათელი ხდებოდა



„ტირელ კოსტა“. ტრიელი — პ. კობახიძე

კონტრასტი ანტირონიუსის თანდათანობით მზარდ სიანწლესთან, მის ახოვრეკულ ეჭვიანობასთან, მის ტრაგიკულ ფინალთან, სადაც, მიუხედავად ანტირონიუსის დამარცხებისა, კობახიძემ მაინც იყვარა მის ღირსებებს, მის კეთილშობილად, რაინდულ სიჩაუქეს და შინაგან სილაშაქეს.

მაგრამ თუ ეპიკურელი ანტირონიუსის უღარდელი, წკრილა სიცილი ობიექტურ მიზეზთა გამო უნდა ჩანს მხოლოდ იყო, თუ მისი სიციცხლის სიყვარული და ძლევამოსილი სახეიშო ნაბიჯი, ტრაგედული ჟანრის ფარგლებში, ადგილს უთმობდა ტრაგიკულ აღსასრულს, სამეგობრად პეტრუჩიოს მხატვრულ სახეში („ჰორეგული ცოლის მორაქვება“) გმირის ეს თვისებანი გამომდინარობდენენ თვით შექსპირული სიცილის ბუნებისაგან და ორგანულად ერწყმოდენენ შექსპირის კომედიების საერთო მხატვრულ სტილს.

მაგრამ უღარდელი, რობროსა და ფიცი პეტრუჩიო — პ. კობახიძის შესრულებით არ იყო უბრალოდ უსაქმური, ოხოუჯი, ტრაბასა ქარხეგტა. კომიკური სიმსუბუქე მსახიობისათვის არ ჰქვეულა გარეგნული კომიკურობის „თავდასაძვრენად“. ეს არც შეეფერებოდა მის მსახიობურ ბუნებას. მისი პეტრუჩიო იყო ურეკულოდ მიწერი, შექსპირულ გმირი. შექსპირის კომედიურობის ბუნებას მსახიობი ერთის წუთითაც ვერ ან სცვლიდა საერთო კომედიურობით. მან შესანიშნავად იცოდა, რომ საქმე შექსპირთან ჰქონდა და კომედიურობის ძიებისას იგი გამოდიოდა ცხოვრების სისრულის შეგრძნებინად, იმის იყვარდინად, რათა მოეცვა იგი მთლიანად მის მრბ-



ვალფერონებისა და საზეიმო ამაღლებულ განწყობილებებში. პეტრუჩიო-კობახიძეს უყვარდა ცხოვრებით ტკობა. უყვარდა მზიარულება და შეეძლო უსაზღვრო სიყვარული — ძალეზად, ფიცხად, მწველად. იგი ბრწყინავდა სისარულით, მსუყე, შურყენელი საღისიანობით. მასში ცოცხლობდა საცვებით მიწიერი სიმჭკვრე და სიმსუბუქე (რაც აუცილებელია ყოველი მომთავინერებისათვის), შემტევი სიფიტეც, რომლის გარეშე ასევე წარმოუდგენელია ისეთი კაცის არებობა, როგორც პეტრუჩიო. მასში ფთქდა ცხოვრების მწველი წყურვილი, მისი სიღამაზით მინიჭებული სიტკობება, საკუთარი ძალების გრძნობა და ცხოვრების საკუთარ უფლებათა შეგნება.

უნდა ითქვას, რომ პიერ კობახიძის გმირებს საერთოდ ახასიათებთ ამ ძალის შეგრძნება. ეს გმირები გაჭირვების ჟამს იცრემლებიან, არ ტკებიან თავისი სულიერი სისუსტით, ძნელბედობის ჟამს ინარჩუნებენ მხნეობას, არ ჰკარგავენ თავიანთ ღირსებებს. დრამატული პიერ კობახიძისეულ ბუნებაში, როგორც ითქვა, იგრძნობა ვენებიანი პათეტური ამაღლებულობა და კეთილშობილი, ვაგაცური დამკვიდრება ცხოვრებისა.

დაიხ, პიერ კობახიძე გაზღდათ ცხოვრების დამამკვიდრებელი ხელოვანი და ამ აზრით რომანტიკოსი. მისი ურიელი

„მღნევი ილაპარაკენა“. იუხისკიელი — პ. კობახიძე



კვებოდა როგორც სამართლიანობისათვის მებრძოლი და მისი სიკვდილი აღიჭმებოდა როგორც ნათელის ბნელზე-გამაყვანება. მისი არამა დიუვალი — თუმც ბედის უკუღმართობის გამო დამცირებული და განადგურებული — მაყურებელთა მესხიერებაში რჩებოდა, როგორც კეთილშობილი, წმინდა და უცემპრობისო მარტირიკა გოტესადმი თავის ყოვლისშინამტყმელ სიყვარულში. მისი ინიყე — თვით სულსეგამყინავი ტანჯვების დროსაც — ბოლომდე რჩებოდა რაყო გოტიკა თავისი შურისგების სიმართლემი დაჯერებული ანუი სიიელი. მისი ფრედინანდი სატრფოს ფერხითი კვებოდა როგორც კეთილშობილი და შუპოვარი რაინდი და თავის მრისხანე გამოწვევას უთვლიდა ბოროტების, ძალადობისა და ვერაკობის სამყაროს.

ასე იყო ყოველთვის. პიერ კობახიძეს თითქოს ამინებდა იმის თვით უციარესი შესაძლებლობაც კი, რომ თავისი გმირების შინაგანი სისუსტეების მიოლების, შაით უბედურებისა და შაებედითობის მიზეზთა და საბათა სკრუპლოზური, რაციონალისტური ანალიზით დაემცირებინა ისინი. იგი ახედნდა მოვლენათა და ფაქტების კონსტატირების და მათგან საყვებით ნათელი და კონკრეტული დასკვნები გამოქონდა.

კლასიკურ გმირთა სახეები კობახიძეს არ წარმოედგინა ვითარცა ქანდაკებასავით გაშუშებული, საზეიმო ამაღლებულნი. იგი ეწეოდა კლასიკის რომანტიზირებას, ანიჭებდა მას ამაღლებულ მგრძნობელობას და სადაც ეს შესაძლებელი იყო, ცდილობდა ხაზი გაეყვა ამაღლებული იდელებისადმი გმირის მისწრაფებისათვის.

თუმცა ისიც ხდებოდა, რომ ამაღლებულის ხარისხი თავის მაცდუნებელ, სწრაფი სრბოლით ზოგჯერ გაიტაცებდა ხოლმე პ. კობახიძეს. და მასში მსახიობის უდაჯერება საფრთხე დეკლამაციურობაში გადავარდნისა. როგორც წესი ასეთი რამ მას ემართებოდა მისთვის ორგანულად ეცხო როლებში, სადაც ძნელი იყო შინაგანი კონტაქტების გამოძებნა სცენარ ცხოვრებასთან, ადამიანებთან, საკუთარ შეხედულებებსა და მის „მეს“ შორის. მას საკუთარი თავის მიმართ შეეძლო მიესადაგებინა კ. სტანისლავსკის სიტყვები: „თქვენ ვერასოდეს ვერ შესძლებთ კარგად ითამაშოთ ის როლები, რომელთათვის საჭირო გრძნობები არ გაგაჩნიათ...“ რაოდენი სიმართლეა ამ სიტყვებში! და როგორ უდგება იგი პიერს! პ. კობახიძე ხომ სწორედ ის მსახიობი იყო, რომლისთვისაც პირადი „მეს“ მნიშვნელობა სახეზე მუშაობის დროს ღრიალ დიდი იყო. შესაძლოა ამის გამოც ვერ შესძლო შესისხლბორცეობა ისეთ უსიამო პერსონაჟს, როგორც იყო იაზონი ვერიბიდეს „მედაში“. მაღალ რეგისტრში, მაგრამ უსულოდ, გმირის ბედისადმი შინაგანი დამოყიდებულების გარეშე ითამაშა მან ეს როლი.

გარკვეული თვალსაზრისით იგივე შეგვიძლია გავიმოვროთ მისი რჩინარ III მიმართ. პიერ კობახიძის რჩინარდ არ იყო ბოროტეულისა და ეშმაკეულის მოციქული. მსახიობი არ ცდილობდა შექსპირული გმირი მარტოოდენ შავი საღებავით დაეხატა. გარეწულად იგი მომზილავიც კი იყო, როგორც პიერის სხვა გმირები. რჩინარ III დასახასიათებლად და უმთავრესის გამოსავლენად მსახიობმა მიმართა მწვიდ-მწველებულ რიტმს. მსახიობი-კობახიძე და კობახიძე-რჩინარდი არ

ქრობდნენ. პირველი არ ჩქარობდა იმიტომ, რომ შეუღლე-
ლი იყო რიჩარდის ტიტანური დანაშაულით, მეორე კი —
ფიქრობდა საკუთარ ბოროტსაქმეთა ჯაჭვზე და როგორღაც
შინაგანდ ამბობდა თავის მისწრაფებებს. მაგრამ მთლიან-
ად მზახობსა და მხატვრულ სახეს შორის არ დამყარდა
საპირველი კონტრაქტი. იმისათვის, რომ ბოლომდე და უკომ-
პრომიზოდ განეკიცხა რიჩარდი, მსახიობისათვის აუცილებელი
იყო რიჩარდთან „ერთად“ გახლებულიყო ადამიანების წი-
ნაღმდეგ, ხოლო შემდეგ განმარტოვებოდა მხატვრულ სახეს
და როგორც მსახიობ-მოქალაქეს თავისი განაწინი წარმოეთ-
ქა.

ადამიანთა წინააღმდეგ სწორედ ეს გახლებუდა აკლდა პი-
ერ კობახიძეს. ხოლო რიჩარდის წინააღმდეგ გახლებუბას არ
ქონდა პირველადი საფუძველი და რამდენადმე განყენებუ-
ლად ვლერდა.

ზემოთქმული სრულიად არ გულისხმობს იმას, თითქოს
პიერ კობახიძე იყო მარტოოდენ პოზიციური თემის მსახიობი,
რომ ე. წ. უარყოფითი გმირების მხატვრული სახეები მისთვის
მუწოდებოდა იყო. განა ისეთი სახეები, როგორც იყო პარა-
ტოვი (ა. ოსტროვსკის „უმზითვი“), ფუშე (სარდუს და შო-
რის „მადამ სან-ენი“), ლორე ბერლეი (შილერის „მარიამ
სტიუარტი“) ანდა ტუნი დაშინანი (კ. ლორთქიფანიძის
„კოლხეთის ცისკარი“) მისი ხელოვნების სრულყოფის გზაზე
არ იქნენ მნიშვნელოვან მიჯნებად?

ამ სახეებს პიერ კობახიძე ორგავარი გზით ქმნიდა. ან წი-
ნაწარგანზრახვით უარყოფდა თავისი გმირების სწორანზომ-
რივი, შიშველი განეკიცხვის გზას და მისწრაფოდა მათი
ქვევების რთული გააზრებისაკენ (თუმც ამ დროს არ მოშობ-
და ეწევენინა მათი გარეგნული მიმოხედვლობაც), ანდა თა-
მამდ და მტკიცედ იღვწოდა თავისი მსახიობური თვისებების
დაძლიერებისათვის და ჭეშმარიტად სცენურ გარდასახვას აღწევ-
და.

პირველ გზას იგი პარატოვის როლის შესრულებისას და-
ადგა. იგი ერთის წელითაც არ ამართლებდა პარატოს, ყოველ-
თვის ახსოვდა მალა იმ მამხილებელი პათოსისა, რითაც
ეკიდებოდა დრამატურგი ამ გმირს და ამავე დროს ქმნიდა გა-
რკვეულად ფრიად მოშიზობლავ ადამიანის სახეს.

კ. კობახიძის-პარატოვი ლამაზი მამაკაცი იყო. მას ნათე-
ლი, პიერისეული თვალები ჰქონდა. ეს თვალები გიზიდავდ-
ნენ, აფრევდნენ ალერსს და ნდობით ალგავებდნენ. თვით
პარატოვიც კი გიზიდავდათ. მასში იმდენი ზრდილი იმპო-
ნანტრობა, ღირსება და რაინდობა იყო, რომ პირდაპირ შე-
უძლებელი იყო არ შეეყვარებოდათ.

ასე გაამართლა მსახიობმა ლარისას სიყვარული. ასე გა-
ნამტკიცებდა იგი პარატოვის თავისებურ უფლებას ამ სიყვა-
რულზე. საქმეტკიცის ფინალიში იგი ამხელდა პარატოს,
ამიწვებდა მის ნამდვილ სახეს და ამით კობახიძემ ამტკი-
ცებდა სრულიად უბრალო ჭეშმარიტებას: დანაშავე მარტო
პარატოვი როდი; დანაშავეა ის სამყარო, სადაც იშვა და
ცოცხლობს იგი. ასეთი პარატოვი სხვა დროს რომ დაბადებუ-
ლიყო, სხვა სამყაროში რომ აღზრდილიყო, თავისი ბუნებრივი
ჩანასახის მეშობით იგი სულ სხვა კაცი იქნებოდა. პარატოვის
სახის ინტერპრეტაციის ამ მოულოდნელ შემობრუნებაში



„მოძღვარა“. ონისე — პ. კობახიძე

ელდდა ღრმად დრამატული ინტონაციები, პიერ კობახიძი-
სათვის ვგზომ დამახასიათებელი ინტონაციები, რომლის გა-
რეშე მის უბრალოდ არ შეეძლო სცენაზე გამოსვლა.

სრულიად სხვაგვარიად თამაშობდა იგი ფუშეს. აქ მან ხი-
საძაგლის წვდომის მეორე გზა აირჩია.

ამ სახეს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს
მსახიობის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. უფრო ზუსტად რომ
ვთქვათ მის სცენურ ქმნილებათა რიგში ეს სახე დგას სულ
სხვა სიმაღლეზე.

ამ სახის შემწინას მან შესაძლოდ სცნო დამორებოდა
თავის ჩვეულ მსახიობურ ხერხებს და გამოეყენებინა მსუფე
დეტალთა ხერხი, შთამბეჭდავი გარეგნული მტრისები და
ფერები, რის მეშობითაც მკვეთრად და თამაზად გამოეღინდა
სახის ნიშან-თვისებანი.

კ. კობახიძის-ფუშე — მოკუსული, დაჩაიებული ხანი-
ლეული მოხუცი — პირველად სამრეცხაოში ჩნდებოდა. ხელში
ეჭირა ქოლგა, რომელსაც მარჯვედ იყენებდა ყოველთვის. მას
არა მარტო საყრდენად ხმარობდა, არამედ იგი ამავე დროს
იყო საწყალი, ბუნავი ადამიანის სიმბოლოც, რომლითაც გვა-
ნიშნებდა, რომ მისი პატრონი აბსოლუტურად არ ეკარება გა-
რე სამყაროს საქმეებს და მთლიანად ყოფა-ცხოვრების
წერილმანებშია ჩაფულული.

და თანდათანობით ეს „ყოფითი“ მოხუცი ამ სამრეცხაო-მიწვე შლიდა თავის ფრთებს. თურმე იგი სრულიადაც არ ყოფილა ბერავი მოხუცი. მაყურებელთა თვალწინ ეს ადამიანი იქცეოდა უძლიერეს ხელისუფლად, სახელმწიფოს ბედ-იღბლის განგებულად. მაგრამ ამ სიძლიერეში არ იყო ჩვეულებრივი პიერისეული სილამაზე და კეთილშობილი რაინდულობა. ამჯერად მსახიობი პირამაზე და ამბობდა უარს საკუთარ თვისებებზე, სთურგნიდა თავის სცენურ მონაცემებს. ფუმე-კობახიძის ემშაკურად, ცხივრად მოჭუტული თვალები, შუბლზე ჩამოფარცხნილი და მიკრული თმის ბასრი, კუთხოვანი მონახაზი, ასე ჰარმონიულად რომ ერწყმოდა ამ თვალებს, ამომწურავად გამოხატავდნენ ამ მოქნილი, ჭკვიანი, მელასავით გაიჭვრა და ძლიერი კაცის შინაგან ბუნებას, რომელიც შეუდრეკელი იყო თავის პოლიტიკურ ინტრიგებში და ერთგვარად იმპოზანტურიც კი თავის ამ ვერაგულ გამოვლინებებში.

თავისი ცხოვრების დასასრულს პიერ კობახიძე კვლავ მიუბრუნდა იმ ზეზნებს, რითაც მან შექმნა ფუმეს მხატვრული სახე. ეს მან გააკეთა უკვე საბჭოთა ავტორის პიესაში, სულ სხვა „საგულისხმოდ ვითარებაში“, სხვა მხატვრულ-იდეურ ატმოსფეროში.

პიერ კობახიძემ კ. ლორთქიფანიძის ინსცენირებულ რო-

„კოლხეთის ცისკარი“. ტუნა დაშინიანი — პ. კობახიძე



მანში — „კოლხეთის ცისკარი“ აღმასკომის თავმჯდომარის ტუნა დაშინიანის როლი ითამაშა. ისევე როგორც ფუმეს მიჯაჭვ ნათელად გვაგრძობობინებდა ხასიათს... წინააღმდეგობა ბუბს, მაგრამ არ ეშვებოდა ყოფითობაში. ტუნა დაშინიანი, ისევე როგორც ფუმე, მსახიობის მიერ შემოხაზული იყო მსუყვად, გარკვეულად. გროტესკულადაც კი. არარეველებრივი სითამაშით იყო მიჩვენული გვირის გარკვეული იერი. ჩლუნგი, მაგრამ თვითგამოყოფებით გამოიზიარალი თვალები, ფართე ცხვირი, წინ გამოიჩინალი ქვედა ტუჩი, ზეაწიკაული, აბრებილი ჰუსარული უღვაშები, ფაფახი და პორტუკი — ვითარცა დამატაციკელები მისი ძალისა და ჩაუჭობის — ეფილადურეს ერთად აღებული ჭქმინდა ურეულოდ კოლორიტულ სახეს ადამიანისას, რომელიც ძირს დაეშვა და ხალხს მოსწყვდა. ამ როლში პიერ კობახიძის ცნობა შეუძლებელი იყო. ეს იყო მსახიობის დიდი გამარჯვება, მისი შემოქმედებითი პროფილის მოულოდნელი რაკურსი.

იმ დღეებში დასტამბულ ერთ საგაზეთო რეცენზიაში მსახიობის მიმართ გამოთქმული იყო კეთილი სურვილი, რათა მას გაეგრძელებინა თავისი ძიებანი ამ მიმართულებით, რათა დამეგრძელებინა მსუყე და მკვირად ჩამოქნილი თეატრალურ როლში.

ამ კეთილ სურვილს თურმე აღსრულება არ ეწეოდა...

პიერ კობახიძეს ჰქონდა კრიალა, სულში ჩამწვდომი თვალები. ისინი ვადმოსცემდნენ მისი სულიერი მჭქვარების მდიდარ გამმას. მისი თვალები ხან მრისხანებით აუღვარდებოდნენ ხოლმე. მასში არცკლილი იყო თავგანწირვა და სინაზე, ნებისყოფა და გნება.

მაგრამ ყველაზე უკეთ მაშინ ბრწყინავდნენ პიერის თვალები, როცა სიკეთესა და ნათელი აზრის ცეცხლს ასხივებდნენ. მაშინ ისინი იქცეოდნენ მისი შინაგანი სამყაროს ჭქმ-მარტ სარკედ და იძენდნენ მის ბუნებასთან ჰარმონიულ მთლიანობას. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ასეთი რამ ხდებოდა დადებითი თვისებებით დაჯილდოებულ გვირათა როლებში, უპირველესად კი თანამედროვე დადებით გვირათა როლებში.

მსახიობის შემოქმედებით ბიოგრაფიაში ამ როლებს არსებით ადგილ უჭირავთ. მსახიობის შეეყოლი მათი აღწვა ჩვენი დროის დღეთა სიდიადის პოზიციებიდან და თავისებურად გადატეხავდა ხოლმე მათში თავისი თამაშის პათეტიკურად მღელვარე სტილს. თანამედროვე გვირათა როლების თამაშისას რეალისტი პიერ კობახიძე მისწრაფოდა ბუნებრივობისა და ცხოვრებისეული სიზარტლისაკენ, არ ცდილობდა რაიმეს დამატებას, სურდა ხაზი გაესვა თავისი გვირების პოზიტიური თვისებების ჩვეულებრივობისა და ნამდვილობისათვის.

რომანტიკოს — პ. კობახიძეს თავისი გვირები კვარცხლბეზე აჭყავდა. იგი ანიჭებდა მათ ექსპრესიულობის ნიშნებს, ახდენდა მათი კეთილშობილური გარეგნობის რომანტიზირებას, სტატეოდა მათი ნაჰალი მორალური თვისებებით, განამტკიცებდა მათს უპირატესობას ირგვლივ მყოფთზე. პ. კობახიძე ცდილობდა თანამედროვე გვირები ისე გამოესახა, როგორის ხილავს მას სინამდვილეში სურდა. მსახიობი ადამიანის იდეალს ამკვიდრებდა. და უნდა ითქვას, რომ რომანტიკოსი პიერ კობახიძე გამარჯვებული გამოდიოდა ამ საქმეში.



3. კობახიძეს გმირები თანამედროვე პიესებში ოდნავ ამალღებული, ოდნავ ლამაზი და, ცხადია, უფრო პათეტიკური და ამალღებული იყვნენ ვიდრე თითო და პიესებში.

სრულიად ახალგაზრდა იყო იგი როცა ითამაშა ყაზახი კიშბაევის როლი ა. აფინოგენოვის პიესაში „შიში“. კიშბაევი მას არ უცქევია ჩვეულებრივ ყოფით კაცად, ეროვნულ თავისუბურებაში ნიშნების გახსნაში არ ეძიებდა მისი ხასიათის ნიშან-თვისებებს, თუმცა ამ როლის ინტონაციურ მღერადობას მარჯვედ და სახიერად გამოგვიყენდა.

3. კობახიძისათვის კიშბაევი გახლდა ერთი ის ხალისიანი კაცი, რომელიც მის წინ გადაშლილ ახალ სამყაროს ნდობით უცქერდა, შეპყრობილი იყო ამ ახლის წვდომისა და შეუძლების წყურვილით და შეყვარებულ იყო სიცოცხლეში. მასში ცოცხლობდა რაღაც საოცარი ულტოვან სიფრთხილეს, მას შეეძლო გატაცებით ეოცნება, შეეძლო ჩაებნება ადამიანის სულში და დღინებით ენა მასში მისთვის უცნობი და გაუგებარი ამბების სასუბი.

კობახიძის-კიშბაევი იყო რომანტიკოსი, აღტკინებული და მითროლავი. რომელიც ამ ქვეყნად იმისთვის მოვიდა, რათა ჩარდაქმნა და ეშენებია იგი. და შესაძლოა ამ ინტერპრეტაციას კიშბაევი იძინდა რაღაც ახალ, ცხოვრებაზე ამალღებულ ნიშნებს. იგი უფრო მნიშვნელოვანი იყო ვიდრე ეს დრამატურგს ეწადა.

მწვენიერისა და ამალღებულის დამამკვიდრებელმა მსახიობმა პიერ კობახიძემ სიტამაზის იმავე წლებში ითამაშა ჩრხოლევიონერ იცკა რიჩინაშვილის როლი გერცელ ბაზაოვის ახვე სახელწოდების პიესაში.

3. კობახიძემ შექმნა გმირის მრავალმხრივი სახე. იგი მიისრულდა ამ როლში აესახა არა განსაზღვრული იდეების დადამიანის სწორხაზობრიობა, არამედ მის მიერ წინააღმდეგობა გადალახვის პროცესი, სიზარტლის ძიებისა და წვდომის, მისი გააზრების თანმიმდევრობა.

იცკა რიჩინაშვილის როლში შესისხლხორცებული იყო პიერ კობახიძის მსახიობური ინდივიდუალობისათვის დამახასიათებელი თვისებები. იგი იყო ფიცი სიყვარულში, გულისხმიერი და ნაზი შობობის მიმართ, შემტკევი პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისადმი, თავგანწირული ბრძოლაში. და როცა გადაცემულა და ნიღაბ ამოფარებულ იცკას ქურდულად ქლავდნენ მეფის ტანდარმერის აგენტები, კობახიძე კლავავითი რჩებობდა თავისი თავისა და ამ სცენას ამ აქცენტად თავისი გმირის კლნიკურ ტანჯავათა ფსიქოლოგიურად სრულულურად დამუშავებულ სურათად. იცკა კვებობდა სტოიკურად სიმაართლისათვის ბრძოლაში გარდუვალი მსხვერპლთა შეჩირვის რაღაც შინაგანი შეგნებით, კეთილშობილურად, თავაჭირილი დღრსებით. და ამაში არ ყოფილა არც ჰობა, არც რაიმე წარმოჩინება ვინაიდან ღირსება და კეთილშობილება, გმირის პოტენციური ძალის შეგნება შეადგენდა კობახიძის აქტიურული ინდივიდუალობის ორგავალ ნაწილს.

მსახიობის შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის იცკა რიჩინაშვილის როლს ღრმად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მან არა მარტო ბვეერი რამ განსაზღვრა მის იდეურ-პოლიტიკურ ფორმირებაში, არამედ მის წინ გადაშლილა ღრმად დრამატული ხასიათის წვდომის შესაძლებლობანი, მიუხედავ-

ვა იგი თეატრში ამალღებულის, ექსპრესულის, ზეაწველი საწყისების გავგებს, ასწავლა არა მფორმარისხივანის ბრძოლ უშთავრების, არსებობის, მხატვრულ-იდეური მნიშვნელობის მომჭერების გარჩევა და პოვნა.

მაგრამ მოხდა ისე, რომ პიერ კობახიძემ წინასწარგანზრახებით უარი სთქვა პათეტიკაზე და სწორედ იმ დროს, როცა ეს პათეტიკა უცილოდ გარდუვალი სჩანდა.

5. პოეტიკის პიესაში „კრემლის კურანტები“ პიერ კობახიძემ შექმნა ლენინის სახე. და თითქოს რაღაც შინაგანმა ხმამ (ეფულოდ ამას მხატვრის ტაქტიკა უკარნახობს, რომ სწორედ აქ, სწორედ ამ შემთხვევაში, პათეტიკა შეიძლება იქცეს მაღალფარდოვან, ყალბ პათოსად, ჰობად, რაც ასე რიგად არ შეესაბამება ბელადის სახეს).

აქ კობახიძემ უკან დაიხია. მან ლავამი ამოსდო თავის დაუოცებელ ტემპერამენტს, მოულოო პათეტიკასაც. შესაძლოა ამის გამოც ზოგჯერ საყვედურობდნენ, რომ მისი ეს სახე რამდენადმე შერალი და სტატიურიაო. მაგრამ საოცარია ერთი რამ: არავის არასოდეს არ აღუწინავეს მის ლენინზე ერთი თვისება — მისი შეოცნებება, დაფიქრება. ლენინი — კობახიძე ყოველთვის ფიქრობდა. ოცნება, და მის კვლად, როგორც მისი ლოგიკური გაგრძელება — გატაცება ელავდა მის ოდნავ მოჭუტულ თვლებში. ამის გამოც ეს სახე იყო ქმედითი, ადამიანური, ცოცხალი, შინაგანად გაიცისკრონებული, რომანტიკოსის ნიშნებით აღსავსე.

და რა საოცრად იციონდა 3. კობახიძე — ლენინი! სიცილის შეჭარბების თვლი ძალა, რაც ასე რიგად ახასიათებდა პიერს ცხოვრებაში და სცენაზე, საოცარის ორგანულობით ერწყმოდა ბელადის სახის მხატვრულ ჩანაფიქრს. რაღაც ბავშვური იყო ამ აღტაცებისა და სიხარულის უუალო გამოვლენებში. და ეს არა მარტო დიდებული იყო, არამედ სახილავი. და ეს პიერს ეკუთვნოდა.

პიერ კობახიძის დაღებით გმირებს ახასიათებდა რაღაც შინაგანი წესიერება. იგი უხდმიწვებით ფლობდა ზომიერ „შვიდ“ ინტონაციებს და მან შეიციო საერთოდ ზომიერების ხარისხი; მხოლოდ იგი არასოდეს არ ეცილობდა ყოფილიყო გაუბრალოებული, არ ეშვებოდა ყოფითი სიმაართლის დონეზე. ეს მის ხასიათს არ შეეფერებოდა. თვით სახეებით ჩვეულებრივ სიტუაციებში მას შეეძლო თავისებურად ეთამაშნა. მისი საშვიდე თვისებური იყო, იგი ყოველთვის შეიცავდა დინრ-საზემოე თვლიენტებს.

გავისენით თუ გნებავთ მისი პარი სმიტი (კ. სიმონოვის „რუსეთის საკითხი“), მამაცი და პრინციპული კაცი, სხვა კონტინენტის შვილი, ამერიკელი, რომელიც იბრძვის იმ უფლებისათვის, რათა თანამედროვე ამერიკაში პატისამ ადამიანად დარჩეს. რა მწვავედ გრძობდა მსახიობი თავისი გმირის შინაგან წესიერებას, მის ჭირთომომთმელობასა და კეთილშობილურ სიმედრეს. იგი იყო მედგარი ყველაფერში — მუშაობაშიც, ადამიანთა მიმართ ურთიერთობაშიც, ჯვისსადმი სიყვარულშიც.

სმიტი-კობახიძე ერთდროულად იყო ზეხივლი რეალისტიკა და რომანტიკულად მეოცნებე. მან ამ ქვეყნად ბვეერი რამ ნახა, და ბვეერი რამისა დაწამდა კიდევ. მას სულდა ამერიკის აწმყო და თავდაფიყვებით უყვარდა საკუთარ ცენებაში წარ-



მოსახლე მომავალი. იგი რეალურად აფასებდა ვითარებას და ენთუზიად, როცა ფიქრობდა იდეალის წვდომის შესაძლებლობაზე კი. ჯვისისთან დამორებას იგი ღებულობდა როგორც რაღაც რეალურად გარდუვალს და ამიტომაც მიდიოდა ასე თამამად და განუხრელად ამ კონფლიქტის შესახებდრად და პირადული განცდების დაძლევისას ვაგლხანად როდი ბეჭავდებოდა.

ამგვარი სიტყვის მიერ წარმოთქმული საფინანსო სიტყვა ეტყობა ვეკაცურად, დამარწმუნებლად, განსაკუთრებულად, და საზიგომოდაც, ვითარცა ფიცი.

დიდი სამამულო ომის დღეებში იგი თამაშობდა სამხედრო თემისადმი მიძღვნილ პიესებში და ეს მისთვის განსაკუთრებით ამაღლებველი იყო. ომის გმირთა სახეთა შორის ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებდა მისი შოთა (გ. შატბერაშვილის „ფიქრის გორა“).

ეს სახე თავის შინაგანი წყობით ახლოებული იყო პიერ კობახიძისათვის. მან წარმოგიდგინა მხატვარი, რომელმაც გმირობა ჩაიდინა, გადაიტანა დიდი სულიერი დრამა. მას შეეძლო ეოცნება, უყვარდა მშენებრება და ამავე დროს ომში დაეცაყველები მხედარი. აი აქ კი დიდი ასპარეზი იყო იმისათვის, რომ მეოცნებე და რაინდ პიერ კობახიძეს ფრთები გაეშალა და ლაღად ეთამაშა.

შოთას სახის შექმნისას მას ყოველთვის ახსოვდა ამ როლის ორპლანიანობა, ახსოვდა ისიც, რომ ომმა სამუდამოდ ჩაუხშო მხატვარს ყოფილიყო ის, რაზედაც ოცნებობდა და დაუტოვა მხოლოდ მტანჯველი ფიქრები ფრონტზე მიღებულ საშინელ ტრავმათა გამო.

მაგრამ პიერ კობახიძე იყო ცხოვრებისა და ძალის დამამკვიდრებელი მსახიობი და იგი არ დასდგომია გმირის ტანჯვების წარმოჩინებას. მას მშენებრებად ესმოდა, რომ სახის ამგვარ ტრაქტიკას არ შეეძლო გაეხსნა საბჭოთა მებრძოლის, კომუნისტური სულისკვეთების ადამიანის ჭეშმარიტი და ამავე დროს ტიპიური ნიშნები. მეორეს მხრივ მსახიობის ალლომ და უბრალო ადამიანურმა ალლომ მას უკარნახეს, რომ არ არსებობს უმცირესი საფუძველი ყოფილიობის, ქადილის და მხიარული, სხივმილილი ზეიმისა. როლის ამგვარი გადაწყვეტა უცილობლად მიიყვანდა მას ხელოვნრობამდე, სიყალბემდე და მხატვრულ სიცრემდე.

და მაშინ პიერ კობახიძემ მესამე გზა აირჩია. იგი არ მალავდა შოთას ტანჯვებს, არ ცდილობდა რაიმეს შერბილებას, ლაკირებას და დაფარვას. მაგრამ ამ ტანჯვებს მან მიანიჭა მკაცრი ვეკაცურობა მებრძოლისა, რომელიც ომში ცოტა არ იყოს გაუხშედა, გულჩახვეული გახდა, მაგრამ არ დაუკარგავს თავისი ადამიანური ღირსებანი, ქედი არ მოუდრეკია, არ დაეცემა.

ამაში იყო ცხოვრებისეული დამარწმუნებლობა: და; ქრადაც განსაკუთრებული მკაცრი ზეიმურობა. ამასმეცხადი სოციალური სიმართლე, რის გამობატგამეც ყოველთვის ძლიერი იყო პიერ კობახიძე — ჩვენი თანამედროვე. ასე მწვავედ რომ გრძნობდა წინმავალი ეპოქის იმპულსებს, საბჭოთა ეპოქის პათოსს. ამ გრძნობამ შეუწყო სწორედ ხელი იმგვარი სახეების შემგნში, როგორებიც იყო იცა და კიმაბევი, პარტიზანი რომანოვი (კირშიონის „უბრი“) და ჯემალ ვარშანიც (ი. ვაკულას „ურბი“), ავიანდელი რატკინა (გ. პატარაიას „სანაპიროზე“) და შოთა, როგორიც იყო ანდრო ვამაძე (ი. მოსაშვილის „მისი ვარკველავი“), რომლის შესრულებისთვისაც მას სახელწოდებო პრემიის ლაურეატობა მიენიჭა. ამ გრძნობამ წამოსწია იგი — კოტე მარჯანიშვილის ერთ-ერთი მოწაფეთაგანი — მოწინავე სოციალისტური ხელოვნების, მისი მაღალიდურობისა და ჭეშმარიტი ხალხურობისათვის მებრძოლთა წინა რიგებში.

* * *

ასე მიდიოდა პიერ კობახიძე თავისი ურიელისაკენ, რომელიც მან სიცოცხლის დასასრულს, თავის უკანასკნელ სპექტაკლებზე, შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის ეამს შექმნა. ეს როლი ითამაშა იგი, სხვა დროს რომ არ უთამაშნია. თითქოს გრძნობდა, რომ სიცოცხლის სულ მცირე დღეებში დაიწყო, რომ ბევრი რამის თქმა უნდა მოესწოროს მაყურებლისათვის და სამარადისოდ აღებუტა თავისი სხოვანა.

ჭეშმარიტად, ამ დღეებში პიერ კობახიძე მარადისობისათვის ემზადდა სახეებს. სასიკედილოდ ავადმყოფი იყო და იგი თამაშობდა მსუბუქად და ძლიერად, სრულის თვითშეწირვით, ყოვლისმომცველი გულგახსნილობით. მაყურებლები და მეგობრები აღტაცებულნი იყვნენ მისი თამაშით, გაოცებულნი იყვნენ ამ უჩვეულო შემოქმედებითი აღმფრენით და ლაბარაკობდნენ მსახიობის სრულქმნილ ხელოვნებაზე. მაშინ არავის არ მოსვლია აზრად თუ რა ხიფათი ემუქრებოდა მას. მაშინ არავინ არ ფიქრობდა, რომ მათ თვალწინ გმირობა ხდებოდა.

გმირობას რაინდი სწადიოდა. ქართული სცენის რაინდი, რომელიც ამგვამდ კვდებოდა მაყურებელთა თვალწინ თავისი ურიელის სახით და ამ გმირის მსგავსად არაფერს სთმობდა. კვდებოდა თავისი ძალების გაფურჩქვნის ეამს და ვერ მოასწორო ვერც დაბეჭება, ვერც თავისი ძალების დახარჯვა. კვდებოდა თავაყვეული, ხელთ ჩაწეა გაყრა, და ჩვენ გულეებში სამუდამოდ სტოვებდა სხონას — ეს ნაიელი კაცი, საზოგადო მოღვაწე და მოქალაქე, შრომელი მსახიობი, გმირთა შთელი გალერეის შემქმნელი, გმირებისა, რომელთა სცენური ცხოვრება სამუდამოდაა დაკავშირებული მის სახელთან.



რუსული წიგნის 400 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება საქ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კვლუმში. 1964 წლის 6 მარტი.

რუსული წიგნის ოთხასი წელი

ნიკოლოზ აკერმანი

თხმა საუყუნემ განვლო მას შემდეგ, რაც გამოვიდა ზუსტად დოკუმენტული პირველი რუსული ნაბეჭდი წიგნი „სამოცაქული“ — „Аностроа“. ეს თარიღი — 1564 წლის 1 მარტი, ტეშმარიტად დიდი მოვლენაა ხალხის კულტურის ისტორიაში.

წიგნის ბეჭედა, რომლის გამოკონება კ. მაჩკს ბურუჯაიუ-ლი საზოგადოების განვითარების დიდ და აუცილებელ წინაპირობად მიიჩნედა, მე-18 საუკუნის დასაწყისისათვის უკვე გავრცელებული იყო მთელ რუსეთში. რუსეთში კი მისი დაგვიანებით შემოსვლა აიხსნება იმ სასტიკი წინააღმდეგობით, რომელსაც მას უწყევდა რეაქციული სამღვდლეობა და მსხვილი ბოიარები, აგრეთვე მრავალრიცხოვანი არმია ბერებისა და ხელისაწადამწერლებისა, რომელთაც საარსებო წყაროს დაკარგვისა ეშინოდათ. მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ხელნაწერი წიგ-

ნები ვერ აშაოფილებდა ეპოქის გარდაღილ მოთხოვნილებებს, ვერც ტექნიკური და ვერც პოლიტიკური თვალსაზრისით. წიგნის ბეჭდვის შემოდგომის აუცილებლობა ნაკარნახევი იყო ისტორიული გარემოებითაც. ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა სახელმწიფო, მრავალდებოდა ქალაქთა რაოდენობა, ეთარდებოდა ვაჭრობა და ხელისნობა, იზრდებოდა მწიგნობართა რიცხვი, მტკიცდებოდა ურთიერთობა დასავლეთთან.

ამგვარად, მრავალმა მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა და კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის გარემოებამ, ბიჭი მისცა მოსკოვის მთავრობას, რათა საფუძველი ჩაეროდა წიგნის ბეჭდვას. საგულისხმოა, რომ დასავლეთის ბევრი ქვეყნისაგან განსხვავებით წიგნის ბეჭედა რუსეთში დაიწყო არა ცალკეულ პირთა და კერძო მწერარმთა, არამედ თვით სახელმწიფოს ინიციატივით. ივანე მრისხანემ გადაწვიტა საკუთარი ძალებით მოგვეყარებინა ეს საქმე. ამი-

ივანე ფეოდოროვის ძეგლი მოსკოვში



ტომაც მან უარი განაცხადა უცხოელების დახმარებაზე და ივანე ფეოდოროვისა და მისი თანაშემწე პეტრე მსტიგლიაცვის შვითურიობით მოსკოვში თავი მოუყარა რუს ხელისნების მოსაშუადგებელი მუშაობა სტამბის მოსაწყობად მთელი ათი წელი მიმდინარეობდა. და აი, 1564 წლის 19 აპრილს ი. ფეოდოროვმა დაიწყო „სამოციქულოს“ ბეჭდვა, რომელიც აონებევრი ივის შემდეგ ე. ი 1564 წლის 1 მაისს დაამთავრა. ეს პირველი რუსული ნაბეჭდი წიგნი დღესაც განაცოცხლებს შრიფტისა და მოხატულობის სილამაზით, ნაბეჭდის სიბრძნით.

სამწუხაროდ, ი. ფეოდოროვის შესახებ ძველი ცნობები შემორჩენილი. იგი მოსკოვის სასწავლომომქმედ ნიკოლოზ გოსტურნელის ეკლესიის დეაკონი ყოფილა. ოცდაათი წლის ასაკში დაქვრივებულა და როგორც წესი, ბერად უნდა შემდგარიყო, რათა არ დეკარგა დევისმსახურების უფლება, მაგრამ მან ცხოვრების სხვა გზა აირჩია და სიყვადლის უაზარსად დღემდე წიგნის ბეჭდვის უეთოდ-შობილზე სამუშაო ემსახურა. როგორც იჩვენება, ი. ფეოდოროვე მოსკოვის სტამბაში ერთდროულად ასრულებდა ამოკვეთის, მერქუბრითის, ლიტერების ჩამოსხმებისა და ჯერვლის მოვალეობას. მუშაობდა, როგორც ამწუხარ, მბეჭდავი და კორექტორი. რაც შეეხება მის მიერ დაწერილ ბოლოსიტყვაობებს, მათში შედარებითა ავტორის დედა წიგნი და განათლება.

ახსენიწვევია, რომ „სამოციქულის“ გარდა ი. ფეოდოროვს 1574 წელს ქ. ლეფოვი გამოვიდა პირველი რუსული ნაბეჭდი სახელმწიფანელი „წყებასი“. თვით „სამოციქული“ კი შეიკაეს 281 დანომრად და 6 დანომრავ გვირდეს. ამასთან 2 გვერდი უკუთარა ბოლოსიტყვაობას, სადაც მოქალაქე მოხარობილი წიგნის შექმნის ისტორია და რუსეთში წიგნის ბეჭდვის შემოღებისთან დაკავშირებით ზობდა შესხმული მეფე ივანე მეოთხისათვის. შესანიწნავ გარცხვლად გაფორმებამან ერთად, წიგნი გულმოდგინედ რედაქტირებულია, ტექსტი განათარგმნებულია მოწველებული და არასლტერათი გამოქმენებისა და ქვეყნისაგან. მას თავისუფლად შეუძლია კონკრეტული გაეცა დასავლეთი ევროპის პოლიგრაფიული ხელღუნების საუკეთესო ნიმუშებისათვის.

ისტორიკოსები გადმოგვცემენ: რაცა ივანე მისიხნისათვის მი-

ურთმევაით „სამოციქული“, მას მესხვე შეუდარებია იგი უცხოური გამოქმენებისათვის და უთქვამს — რუსი ისტატისტნი წინდეს გზებე-ღუნებზე ნაყლებად რადი ბეჭდვით. „იგი გვიხმარებდა“ „სამოციქულ-რუნდა იგი ზოიარტეს — რომ ჩვენსშიც გამოჩნდებთან წიგნის ბეჭდვის ხელმარტვე ოსტატები მეოქი. შეხედეთ, აი, ისინიც“.

ი. ფეოდოროვმა მოსკოვის სტამბაში კიდევ მოასწორა ერთი წიგნის დაბეჭდვა (ტანია, 1565 წ.), რადგან რეაქციული სახელღუნელებისა და მსხვილი ზოიარტების მკაცრობის წყალობით, პეტრე მსტიგლიაცვისთან ერთად იძულებული გახდა ადიტოვებინა სამოსლლო. მაგრამ სავერდილი საქმისათვის მანაც არ მიუწინებებია თავი. იგი ვერ ლტენავი დასახლდა. შემდეგ კი ლეფოვი, სადაც სიღარბეში აღმოხდა სულ 1565 წელს.

ი. ფეოდოროვის შემდეგ წიგნის ბეჭდვა მოსკოვში. რამდენჯერამე განაზღვდა. საერთოდ, მე-16 საუკუნეში სულ 17 წიგნი გამოიცა. უზოვრესად ეს იყო სასულიერო ხასიათისა. სტამბები მოსკოვის გარდა განსად კიევში, ზერინოვში და სხვ. მათში მოღვაწეობდნენ: პეტრე ფეოდორი, იოსებ კრილოვი, კონსტანტე ივანოვი და სხვ. წიგნის ბეჭდვა განსაკუთრებით გაიზარდა პეტრე პირველის დროს, როცა პოლიტკურთი, სამეცნიერო, ტექნიკური და ზოგად სამწმანა-ღუნელო წიგნების ბეჭდვა დაიწეს. სწორედ პეტრე პირველმა შემოიღო ახალი შრიფტი ე. წ. „სამოციქული“ („მედიტალი“), რომლითაც ჩვენ დღემდე ვსარგებლობთ. 1708 წელს ამ შრიფტით დაბეჭდა პირველი წიგნი „Геометрия“, 1702 წელს კი გამოვიდა პირველი რუსული გაზუთი „Ведомости“.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა ცნობილი რუსი გამოქმენელი და განმანათლებელი ნ. ი. ნოვიკოვი. იგი ცდილობდა რაც შეიძლებოდა დაეხალხოებინა წიგნი ხალხისათვის, იგი იყო პირველი უფასო ბიბლიოთეკისა და ამ სტამბის ორგანიზატორი, რომელშიც ხალხისათვის ხელმისაწვდომი წიგნები იბეჭდებოდა. მეფის შიარტისა მკაცრად ვაუწყრად ამ თავად ცდილებულ მანულოშელს, 15 წლის პატიარობა მოეხსენა. შობილღურტის ციხეში, სადაცაც მძიმე ავადღუფი გამოვიდა და მალე გარდაიცვალა. არანაყლებ ტარავიული იყო ა. ნ. რადევიგის ბედი. მის ცნობილ წიგნ „მოგზაურობა პეტრეპეტრეზისა მოსკოვში“, საკუთარილი ბრძანებულა, დაწვა მიწასჯა, ავტორის კი სასჯელღული განაჩენი გამოუტანეს, რომელიც შემდეგ ცომიბრში ათი წლის ვადასახლებით შეუტყაფეს.

დეკაბრისტების დიდი ვაგუნმა მოახდინეს პეტრევის, გრიბოდოვის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის შემოქმედებაზე. ამვე დროს მათ „გამოაღვიქეს ვერცენა“, რომელმაც ლონდონში „კოლოკოლის“ გამოცემა დაიწყო. ლენინის, ომბროლუბოვის, ზერინოშვესკის ზგუნებარე რევოლუციური სტატეტიბი და მხატვრული ნაწარმოებები შორინავე იდებეს ქადაგებებდა. ეურნალი „სოცრემენიკი“ და ზერინოშვესკის რომანი „რა ვაქეთოში“ რევოლუციონრ-დემოკრატეების დროსად იქცა. ვაქტურდრა არღუნეარული რევოლუციური ბეხისა და რევოლუციური ლიტერატურის საიდუმლო ციხელოიდებენ, რომელთა შექმნაში დიდი როლი ითამაშა დიდა ლენინმა და მისმა გენიაღურმა ნაწარმოებმა. ამ დროისათვის ქვეუნდება ლენინის „არანი არანი ხალხის ცხოვრებით და როგორ იბრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატეების წინააღმდეგ“. უმღებროვის „ისტორიაწი მოწმისტერი შებეღუნებლის საკითხისათვის“ და სხვ. 1872 წელს გამოვიდა მარქსის „კაპიტალის“ პირველი რუსული გამოცემა.

წიგნმა უღედისი როლი შესრულა კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნისა და შეცინიერული აზროვნების ვადაცემის საქმეში. წიგნი — ამბობდა ვერცენი — ეს არანი ერთი თარბის ანდრბა მეორე თარბისაღმდეგ. კაპიტალიზმის მოვილი ცხოვრება თანღუნეობით აღიბეჭდებოდა ხოლმე წიგნში. ტომებო, ადამიანები, სახელმწიფოები ქრებოდა, მაგრამ წიგნი რჩებოდა...

წიგნის ნაშეფილი მოყარვლები ივენენ მარქსი, ენგელსი, ლენინი. ისინი დიდ შეფასებას აძლენენ წიგნს, როგორც დიდი იდეების პროპაგანდისტს. წიგნი ეჭა მათი ცხოვრების ერთღუნე თანამგზარდად. შეიკოვტვე „თქვენი სავერდილი საქმე“, მარქსმა უთქვამა „...წიგნებში ქვეყა“. მარქსი „კაპიტალისათვის“ მან 1500-ზე მეტი წიგნი დაამუშავა და დააკონსტატა.

დენინი პატარაობიდანვე დაუწყებობდა წიგნს. შეუძლებელია მის მერ წაქიხნულ წიგნთა რაოდენობის აღნიშვნა მაგრამ უკვედ შემოხვევაში ეს ცხელი განისაზღვრება ათასობით. სადაც არ უნდა ყოფილიყო დენინი, წიგნი მუდამ იყო მისი განუტყრელი მეგობარი.

პეტერბურგის ციხის სიჩუმის ზნობად არაღებდა თავისებური ხსენები: დერეფანში ჯერ იატაკზე მთარავედნენ წიგნები სავსე ღიდ კალაოებს. პეტერბურგმა უკვე ოკუპირენ, რომ ეს წიგნები მამკინდით № 193 საყანში, სადაც მარტობლა პატრობაში იმყოფებოდა ვლადიმერ ულიანოვი. ეს იყო 1894 წ. „მე კარვად ვიცოდა, რომ ამ წიგნების შთანთქმელი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ვლადიმერ ილიჩი“ — იკონებდა შემდგომში ამავე ციხის ყოფილი ტუსად გ. მ. კრეტიანოვსკი.

წიგნი და ცხოვრება იყო გორკისათვის ნამდვილი „უნივერსიტეტი“. თითქმის არც ერთ მწერალს არ მოუძღვინა იმდენი კებაოა კება წიგნისათვის, როგორც მას. „მე მივეარს წიგნები: თითოეული მათგანი მე სასიკეთეს მგონია, ხოლო მწერალი ჯადოქარი. მე არ შემიძლია უდიდესი მძღვარებისა და ენათმეცნიერების გაჩემვი ვილანარაკი წიგნებზე“ — წერდა გორკი. სწორედ ამიტომაც იგი მრავალი გამოცემის ინიციატორი იყო („სამოქალაქო იმის ისტორია“, „სოცეტის ზილიოთაყა“, გამოჩინულ ადამიანთა ცხოვრება“). ბევრ სახელგანთქმულ მეცნიერს სწორედ წიგნის კითხვამ გაუკვლია გზა ცხოვრებაში. დიდი ფსიქოლოგი ი. პ. პავლოვი ამბობდა, რომ ბუნების შესწავლის საქმეში პირველი ზიგეა დ. პისარევისა და სტენდოვის წიგნებმა მოიქცესო, ხოლო კ. ციოლკოვსკი ერთხელ გამოტედა, რომ იცნება სახელანდაშორისი მოჯაურობის შესახებ პირველად თიულ ვერნის წიგნის „ზარბაზნიდან შივარტზე“ წაქიხვის შემდეგ დასეხადია.

ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების უველა ტეპზე წიგნი იყო ერთგული კულტურის მკვეთრი განმარტებელი, ხალხის ცხოვრების, მისი სულიერი სიმდიდრის და სიღიადის სარკე. საქართველოს წიგნი უძველესი დროიდან სარგებლობს საყოველთაო სუვენარულითა და პატვიანტეობი. ქალთშვილებს შიითვიან ერთად წიგნისმერს წიგნები შიქონდა, უძებნებდნენ რუსთაველის ენალიური პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ეს იყო ოჯახის კულტურისა და შრომულების განაღებების მარევენელი.

რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ღრმა და მეტიდრო იყო ეს ურთიერთობა მეღვლითი სიტყვის საქმეშიც. სავროდოდ, ქართული წიგნის ბეღევა პირველად უცხოეთში დაწყო. პირველი ქართული ნაბეღევი წიგნი „ქართული-რადიული ლექსიონი“ 1629 წელს გამოვიდა რომში. 1686 წელს პოლტავური ვითარების გამო რუსეთში გადახვეწილი საქართველოს მუღე არილი მიეჭეს მოსკოვში იწეებს ატიტორ პოლკარაიული მოღვაწეობას. 1705 წელს, დიდი ხნის შივადილი შემდეგ, მოსკოვის სინოდის სტამბასთან მის მიერ მოწეულად საბეღედანი მან დასტამბა „დავილინი“. როგორც ირკვევს, ამ საქმეში, მისთვის დიდი დამხარება აღმოუჩენია რუსული პერიოდიკის პოინერს შ. ა. გილოვანს.

პირველი ქართული სტამბა თბილისში 1709 წელს დაარსდა სწორედ ამ დაბეღევი პირველად „ვეფხისტყაოსანი“ 1712 წელს, მაგრამ სტამბამ მალე შეწყვიტა მუშეობა უცხოელი დამკვეთების შრომისთვის გამო. 1737-44 წ.წ. ქართული წიგნის ბეღევა მოსკოვსა და პეტერბურგში გაგრძელებდა. მოსკოვი ამ ხნის განმავლობაში სწინადა გამოვიდა 11 ქართული წიგნი. პეტერბურგში რუსულ-ქართული ანალიდი ლექსებიითიერი და სხვ. ქართული წიგნების გამოცემა მოსკოვსა და პეტერბურგში მე-19 საუკუნეშიც გრძელდებოდა. რუსუ შეტება საქართველოში სტამბის აღდგენას. იგი 1749 წელს შივადი რუსული მეორისა და ანტონ პირველის დედალავი შრომის შედგენად. ეს იყო დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი. ქართული ბეღეღიოი სიტუაციის განვითარება განსაკუთრებით სწრაფდებოდა წიგნი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა სტამბა



პირველი რუსული სტამბა

ბა, ბეღევა, წიგნი საყოველთაო სივენარულისა და ზრუნვის საყანი გახდა. გაწეო „დროიკის“ 10 წლის თავზე დიმიტრი უფთიანი ამბობდა — „რა არის ახლა და ვინ არის ახლანდელს ჩვენს წიგნობლევაში ჩვენი წინამორბედი, ჩვენი დამომღებებელი, ჩვენი მეგობარი და მიწინა — ეს არის სტამბა, ეს არის ბეღევა“.

განუწილად გავარტეობდა ქართული წიგნის ბეღევა დიდი ოტიტომბრის რევოლუციის შემდეგ. თუ პირველი ქართული წიგნის აღბეღვის რევიტეტი ე. ი. 300 წლის მანძილზე გამოცემული იყო სულ ექვსი ათასამდე წიგნი, 1921 წლიდან დღემდე გამოვიდა 40 ათასზე მეტი.

ჩვენი დიდი ქვეყანა დიდი ხანია გადააქცა საყოველთაო წიგნიერების ქვეყნად, სადაც უველა კითხვების წიგნებს, უწარმოდებს, გაზეთებს. წიგნების გამოშვებაში ჩვენს მსოფლიოში პირველი ადგილი ვკავიათ. 1913 წელთან შედარებით წიგნების ტირაჟი გადიდა 12,6 ჯერ, ხოლო გაზეთების ერთჯერადი ტირაჟი თითქმის 24-ჯერ და 79 მილიონ ეგზემპლიარს მიღწედა. მნიშვნელოვანად გადიდა აგრეთვე უწარმოდების რაოდენობაც. 1962 წელს, ჩვენში გამოვიდა დაახლოებით 80 ათასი წიგნი და ბროშურა, რომლებსა სავროთ ტირაჟი მილიარდზე მეტია.

დიდი შემოქმედებითი მუშეობას ეწევიან ჩვენი ქვეყნის მრავალი რესურსიანი მიზლიოთეები, რომლებიც წიგნების მუშეობარე პრაკანდისტებში არიან. საბჭოთა კავრებას დიდი ხანია გაუსწრო კამიტალიტურ ქვეყნების გამოშვებაში ჩვენს ორგანიზაციასო. ჩვენში ახლა 400 ათასი მიზლიოთეყა და 40 ათასზე მეტი წიგნის მუშეობა.

წიგნი — ადამიანის გენის დიდი კმინდება, ჩვენს ხალხს მეცნიერული ცოდნითა და გამოცდილებით აიარალებს, აფარტობს მათ პოლიტიკურ და კულტურულ მორჩილებს, ხელს უწყობს მათში კომუნისტური საჯავადების მშენებლის მაღალი მორალური თვისებების ჩამოყალიბებას.

დღეს, როცა ასე ფართოდ აღინიშნება რუსული წიგნის ბეღევის 400 წლისთავი, საბჭოთა ადამიანები მაღლიერების გრძობით იკონებენ წიგნის პირველ ბეღევაებს, რომელთაც ჩვენ, თავიანი შიანთა მომავლებს, ასეიო ფსახედებელი სურჯე ვკავიდებტეს.



ჩვენ შევეცადეთ, ზუსტად და სწორად წერა აღნიშნული წარმოდგენის შინაარსი.

მოქმედი გმირნი:

1. პირველი დედა
2. მისი ვაჟი
3. ამ ვაჟის ცოლი
4. მეორე დედა
5. მისი ვაჟი
6. ამ ვაჟის ცოლი
7. ბჭე (მოსამართლე)

ჩაცმულობა — დედებს აცვიათ ძველის-ძველი, ჩვრადქცეული პალტოები, შებუღნული არიან დაკონკილი ხაზლის თავმოსახვევებით, წალბეში ტერფები უჩანთ, ხელში პატარ-პატარა ფუთა უჭირავთ. დანარჩენ მოქმედ გმირთა ტანსაცმელი თითქმის ჩვეულებრივია.

შპის გადახრისას, როცა მთელი სოფელი ღხინობდა და მხიარულობდა, ორმა დედაცაქცმა ჩუმად მიატოვა თავთავისი ოჯახი, განაწყენებული გაქცენენ თავიანთ შვილებსა და რძლებს. როცა საკმაო მანძილი გააარეს და მახლობელ მთაზე ავიდნენ, მათმა შვილებმა გაიგეს ეს ამბავი, შესხდნენ ცხენებზე, გამოედევნენ და გაქცეულნი უკან დააბრუნეს. დედები გზადაგზა ცდილობდნენ კვლავ გაქცევას, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. ისინი თითქოს შვიერები იყვნენ და სიარული აღარ შეეძლოთ, წამდაუწყებ მირს ვარდებოდნენ, იწყველებოდნენ, იმდურებოდნენ, იგრიბებოდნენ, რაც ხალხში სიცილს იწვევდა.

ჩამოვიდნენ რა სოფლის შუაგულში, შვილები და დედები რძლებთან ერთად ბჭეთა წინაშე წარსდგნენ. ბჭობა ანუ სასამართლო ასე მიმდინარეობდა (ვიცავთ თუშურ დიალექტს):

ბჭე — რად გარბიხართ, გან ვერ იცით ემაგთა ქცევით სოფელს თავს სჭირთ?!

პირველი დედა — მეტის ატანა აღარ შეიძლება, კაცი მეტს ვედარ მითმენს.

მისი ვაჟი — (დედას) რა დაგიშვეთ იაგთაი?!

ამ ვაჟის ცოლი — (ქმარს) რად დააბრუნეთ, საბალახოდ მიდიოდეს!

ხ ა ლ ხ უ რ ი დ რ ა მ ი ს ე რ თ ი ნ ი მ უ შ ი

ნოდარ შამანძე



თათუშეთში 1961 წელს იმყოფებოდა ფოლკლორული ექსპედიცია პრაფესორ მ. ჩიქოვანის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის მონაწილენი სოფელ ფარსმაში დავესწარით დღეობას, რომელსაც ათნივენობას უწოდებენ და წმ. გიორგის კულტს უკავშირდებიან. ამ დღეობაზე დასწრებამ დაგვარწმუნა, რომ დღეს წარმართული ხასიათის საკულტო სამლოცველოები მივიწყებან ეძლევა და დღეობები გასართობად ტარდება.

მასპინძლებმა მრავალი საინტერესო სანახაობა გვიჩვენეს. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებო იყო „დედების გაქცევა“, რომელსაც შეიძლება ხალხური თეატრალური წარმოდგენა ეწოდოს. იგი სრულდება ერთხელვე დანერგილი ჩვეულებითა და თანმიმდევრობით, ოღონდ, როგორც ჩანს, სიტყვიერი მასალა განიცდის არაარსებით ცვლილებებს, იმისდა მიხედვით, თუ როგორი ენამეტყველი იმპროვიზატორია ესა თუ ის შემსრულებელი.



შეორე დედის რძალი —
მისოდენ და მოვიდოდეს!
პირველი დედის რძალი —
ცხვრებსავეთ ხომ არ დიაკარგედის?

პირველი დედა — ხალხს,
ეასრ დავეცინიან ეს ღვთისკარ და-
სახშობს...

შეორე დედა — ეგ ბაღლებ
ურესს გვიშვრებია!

პირველი დედა — ყველაფერ-
ში თვითონ უფროსობენ!

შეორე დედა — ჩხირისო-
დენს არ გვეკითხებიან!

პირველი დედა — თავად
ერთ-კვრებს სჭამენ, ჩვენ კი ფუთს
ამარაი ვყრივართ (გახსნის ადუხის,
რომელშიც საქონლის ფუნე და პუ-
რის გამხმარი ნატეხებია. ხალხი
იციან).

შეორე დედა — (ხალხს) შე-
ხედეთ! რავეერთა ტანსაცმელი
გვაქვი, ნამუსს ვეღარ გუფარავს
(ხელს ირტყამს კაბის ქვედა ნაწილ-
ზე. ხალხი იციან).

პირველი დედა — თითის-
ტრის ტრიალით თვალები გამა-
წყალად და კაბა ვეღარ გამოვიყვალ.

პირველი რძალი — შეხე-
დით! ამის ხსინიად ახალ-უხალნი
ეახლა მუნდეს.

შეორე რძალი — ყვიან (ქუ-
მელის) ჭამით დაბერდეს და ეხლა
გვემღერონ, მწეადეს რად არ ვაჭ-
მევათ. (ხალხში წამოძახილება: მე-
ხიმე დაეყარეთ ასეთ შვილებს! არის
სიცილი. ვიღაც ბავშვებს მიმართავს:
ეგათ სირცხვილ, თუ შობილებს არ
დაფასებენ).

ბუქ — (ხალხს) დაჩუბდით, სმენა
იყოს და გაკონებია! ეს უარისი შვი-
ლები ღირს არიან ეასრ დავსაყოთ:
შველან უკრიკაბზე და წინ ქალები
გაუძღვენ (განაჩენი მართლაც შეს-
რულდება, რაც ხალხის საყოველთაო
სიყვლად და გრიაბულს იწვევს).

ამ პატარა ხალხური დრამის თე-
ატრალური განსახიერების ნახვამ
რამდენიმე კითხვა აღვიძირა: 1. რა-
დის და რა პირობებში უნდა წარმო-
შობილიყო იგი? 2. აქვს თუ არა მას
მნიშვნელობა ქართული ხალხური სა-
ნახაობრივი კულტურის ისტორიისა-

თვის? 3. რა სიახლე გააჩნია მას სხვა
ქართულ ხალხურ სანახაობებთან შე-
დარებით?

„დედების გაქცევა“ ფარსმაში ჩვენ-
ი ყოფნის დროს შემთხვევით არ
შესრულდა და მას დიდი ხნის ისტო-
რია გააჩნია, ამის დასადასტურებ-
ლად, უპირველეს ყოვლისა, აღნიშ-
ნული სოფლის მცხოვრებთ უნდა მივ-
მართოთ. სამოყვლათხუმებრი წლის
მოსე იგანეს ძე ქააძე მოგვითხრობს,
რომ ამ „ხუმრობის“ შესახებ თავისი
პაპისაგან გაუკონია: ჩვენ უკეთ ვას-
რულვდებითო. ასეთივე აზრს გამო-
თქვამენ სოფლის სხვა ბერიკაცებიც:
ბუქეძეძე დეო, ქააძე ვაბო და სხვ.

საყურადღებოა, რომ ხალხი აღნიშ-
ნულ სანახაობას „ხუმრობას“ უწო-
დებენ. ეს ტერმინი ძველისძველია.
„ხუმრას“ სინონიმს „მასხარას“
სულხან-საბა ასე განმარტავს: „სხვა-
თა ენა, ხუმრა ჰქვიან“. როგორც
აკადემიკოსი კ. კეკელიძე შენიშნავს,
„მასხარა“ არაბული სიტყვაა და იგი,
ისევე როგორც მასხარადი, უნდა შე-
მოსულიყო არაბთა პატრონის
დროს, ე. ი. მეშვიდე საუკუნიდან.¹
„მასხარა“ გვხვდება იოანე ოქროპო-
რის სიტყვაში „სახიობაზე“, რომე-
ლიც მეთუე საუკუნეში ითარგმნა.²
აკ. წერეთლის პოემის „თორნიკე
ერისთავის“ მიხედვით მასხარა ჰყავს
დავით კუროპალატს. აღნიშნული სა-
ნახაობა სიტყვა „მასხარას“ გავრცე-
ლების შემდეგ რომ შექმნილიყო,
მას მასხარაობა დაერქმეოდა და არა
ხუმრობა. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ,
რომ ეს სანახაობა ისევე ძველია, რო-
გორც სიტყვა „ხუმრა“.

„დედების გაქცევა“ უძველეს სა-
ნახაობათა რიცხვს რომ ეკუთვნის,
ამას ისიც ამტკიცებს, რომ იგი წარ-
მართობის დროინდელ დღეობას
უკავშირდება. მის სიძველეს მე-
ტყველებს ავრთვე ბუქთა გამოტან-
ილი განაჩენი, რომლის ძალითაც
დამხმარე შვილებს უკრიკაბზე სვა-
მენ. ეს დეტალი გვხვდება ისეთ უძვე-
ლეს ქართულ ხალხურ სანახაობაში,
როგორიც არის „ბერიკაობა“.

დამხმარე შვილებს სახედავრე³ და
ხალხში ჩამოტარება ძველ ნაჭერ-
თვლოში ფართოდ გავრცელებული
ჩვეულება ყოფილა. შეეძქსე საუკუ-
ნის ისტორიულ წყაროებში მოიხრო-
ბილია, რომ მეთუე გუნების მცველო-
ბაში მონაწილენი „შესხეს უკრიბზე
და ისე ჩაატარეს ქუჩებში“⁴.

როცა „დედების გაქცევის“ ვუსე-
რებდით, უპირველეს ყოვლისა,
თვალში გვხვდებოდა მისი კომედიუ-
რი ხასიათი. მრავალრიცხოვან ქარ-
თულ ხალხურ სანახაობებში არ მო-
ვესებებოდა ერთი სხვა სანახაობა, რო-
მელიც დედებისა და შვილების
ურთიერთობაზე იყოს გაშლილი და
მას კომედიური სიტუაციები ახასია-
შებდეს. უფრო მეტიც: ქართულ
ფოლკლორში არ გვეხვება ნაწარ-
მოები, რომელშიც დედა კომედიულად
იყოს წარმოდგენილი. მართალია,
ჩვენ გვაქვს ქართული ხალხური სა-
ნახობის ფართოდ გავრცელებული
ნიმუში, „რძალღედამთილიანს“ სა-
ხელწოდებით, მაგრამ ეს სულ სხვა
ამბავია. აქ სამოქმედო ასპარეზზე
მხოლოდ რძალი და დედამთილი გა-
მოიან, ამ უკანასკნელის შვილი არ
ჩანს. „დედების გაქცევაში“ კი დე-
დები შვილებზე უფრო არიან განა-
წყენებული, ვიდრე რძალებზე — ეგ
ბაღლებ უარეს გვიშვრებია“⁵ —
აცხადებენ ისინი.

რით უნდა აიხსნას აღნიშნული სა-
ნახაობის კომედიური ხასიათი? ხომ
არ შეგვიძლია მასში ვივლითხმით
უძველესი ეპოქის რაიმე დანაშრევი?
ამ კითხვას პასუხი რომ გავცეთ, გა-
ვიხსენოთ სანახაობა. დედების პირ-
ველი სამღეროელო შვილებისადმი ესაა:
ყველაფერში თვითონ უფროსობენო.
სწორედ ეს პატარა დეტალი უნდა
შეიკავდეს უძველესი ეპოქის და-
ნაშრევის, მეტად მკრთალ გადმო-
ნაშის. ჩვენი აზრით, „დედების გაქ-
ცევაში“ მოცემულია ანარეკლი აღ-
ნიშნული საზოგადოების განვითარების
უხსოვარი დროისა, როცა მატრიარ-
ქატი დამშლილია და მისი ადგილი
მტკიცედ უპირავს პატრიარქატს.

¹ კ. კეკელიძე, „ეტიმოლოგია“ I, გვ. 155.
² ბ. რუხია, ძველი ქართული თეატრი
და დრამატურგია, 1949 წ.

³ ს. ყუბინივილი, ბიზანტიელი მწერლები
ის ცნობები საქართველოს შესახებ, თბი-
ლისი, 1938 წ., ტ. III, გვ. 153.



პროფ. მ. ჩიქოვანის აზრით, „ამირანის ეპოსის გაფორმების მაღალ საფეხურზე მატრიარქატი იშლება და დედის უფლებმა საფრთხეშია“⁴. „დედების გაქცევა“ კი ამირანის ეპოსის გაფორმების შემდგომი დროის გადმონათობა, როცა მატრიარქატი მთლიანად დაშლილია და კომიკურ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. აღსანიშნავია, რომ ბერძნულ მითოლოგიაში მატრიარქატსა და პატრიარქატს შორის ბრძოლა ტრაგიკული სურათებითაა გადმოცემული. ამ მხრივ საინტერესო თქმულება არსებობს აგამემონზე, რომლის სიუჟეტიც გამოყენებული აქვს პომპროსს, სტესიქორეს, ჯანდარეს და სხვ. მებუთე საუკუნის (ჩვ.წ-მდე) უდიდესმა დრამატურგმა ესტილემ ამ თემაზე შექმნა ტრილოგია „ორესტა“⁵.

ჩვენ აზრით, რაც აგამემონის მითში და შემდეგ ესტილეს ტრილოგიაში დამატებულია, მაღალმატერულად, ამაღლებული ტრაგიკული სურათებითა და ფართო დიამახორის გამოიხატა, ქართულ ხალხურ სანახაობაში უბრალო კომედიური დიალოგებით და მინიშნებებით ჰმოვა გამოხატვით. როცა ამას ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს დედინდელი სურათი აღნიშნული სანახაობისა, რომელიც ადრეულ ეპოქებში, რა თქმა უნდა, უფრო მითური იქნებოდა.

უნდა შევნიშნოთ, რომ მითიური ელემენტი დღესაც შეიმჩნევა ამ სანახაობაში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ერთ-ერთი დედის ნათქვამი შეიღებუ: ხალხო, ესარ დაგვეცინოს ეს ღვთისკარ დასახშობნიო. რას ნიშნავს ღვთის კარის დახშობა? ეს რომ გავარკვეოთ, გავისწავლოთ ქართველი

ტომების ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის შემადგენლობა. „აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების რელიგიური რწმუნების მიხედვით, მათ ორი რიგის ღვთაებები ჰყავდათ: უფროსი ანუ უმაღლესი და ადგილობრივი. უმაღლესს თუ უფროს ღვთაებებად მიანძნავენ ღმერთი ანუ შორეულ ღმერთი, ქალ-ღვთაება მზე, იგივე მზექალი ანუ დღე დღე-სინდელი და კვირა“⁶.

მთიელთა რწმენით, უმაღლესი ღვთაების საბრძანებელი ცაში იყო. ამ საბრძანებელს კარი ჰქონდა, რომელსაც ღვთის კარი ერქვა. ამრიგად, ცაში იყო უმაღლესი ღვთაების კარი. გარდა ამისა, იყვნენ სატომო და სათემო ღვთაებანიც, რომლებიც, უმაღლესი ღვთაების განსხვავებით, დედამიწაზე იმყოფებოდნენ. მათი სალოცავი ნაკვებობანი შესაბამისი ღვთაების კარსაც შეიცავდა⁷.

ჩვენ აზრით, დედის ზემოთ აღნიშნულ სიტყვებში რომელიმე ამ ღვთაებრივი კარის დახშობაზე უნდა იყოს ლაპარაკი.

ერთი შეხედვით, უბრალო ხალხურ სანახაობაში ისეთ შორეულ საზოგადოებათა ურთიერთობის დანახვა, როგორც მატრიარქატი და პატრიარქატი იყო, შეიძლება, უჩვეულოდ მოვეყვანოთ. მაგრამ ერთი რამ უნდა გვანსოვდეს: ყველა მკვლევარი, ვინც კი თუშების წარსულს ეხება, საკანგებოდ უსვამს ხაზს, რომ ამ ხალხის ცხოვრებაში უკანასკნელ დრომდე შემორჩა უხსოვარი დროის საზოგადოებრივი ურთიერთობათა დე რელიგიური შეხედულებათა გადმონათობა.

აკად. ი. ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორიის ზოგიერთი საკითხის გასარკვევად თუშური ხალხური შე-

მოქმედების მასალებსაც იყენებს: „მოვიტანო ორ მაგალითს“⁸ „ჩუჭუტის სიტყვის „სადიაცო მერხის“ საფუძველზე ადგენს „ვარძის“ შორეულ წარმოშობას, საიდანაც გვაქვს „სავარძლი“⁹.

ჩვენ შორეული წინაპრები, რომ წილწადს ერთობის 183 დღით განსაზღვრავდნენ, ამის დამაბტკიველად ი. ჯავახიშვილი იმორწმუნებს საქალაქის დაკლის წინ წარმოსათქმელ ერთ-ერთ ლოცვას⁹.

ჩვენს საცდელ სანახაობას დროთა განმავლობაში დიდი ცვლილებები განუცვლია, მაგრამ კომედიური საწყისი მისიც შემორჩენია. ამას ხელს უწყობს რძალთა პერსონაჟების გამოჩენა, რაც შედარებით გვიანი დროის ამბავი უნდა იყოს.

თუ ქართულ ხალხურ სანახაობათა უმრავლესობას დღეს უშთავრესად განსართობი ხასიათი აქვს, „დედების გაქცევას“ დიდი აღმზრდელობით მნიშვნელობა ენიჭება. მასში დიდაქტივა მყვირალა ფრაზებით კი არ არის მოცემული, არამედ მოქმედებაში, გმირთა ურთიერთობაში პოულობს გამოხატულებას. ჩვენ მოწმე ვიყავით, მასურებელთა როგორ უარყოფით რეაგირებას იწყებდა უღრისი „შვილებისა“ და „ძრლების“ საქციელი. დამსწრეთა უმრავლესობას კი ბავშვები და ახალგაზრდები შეადგენდნენ. ისინი ცხადად ხედავდნენ, რომ შშობლებიანადმი უპატიველო მოსაყრობა წარუბოცელი სირცხვილია, „თავისმომტრელი“ მოქმედებაა. ამდენად, ამ უძველეს ქართულ ხალხურ სანახაობას ერთგვარი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. იგი შემდგომი დაკვირვებისა და დრამად შესწავლის ღირსია.

⁴ მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, წიგნი 1, 1959 წ., გვ. 46.
⁵ ს. უიბრიშვილი, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, 1961 წ., გვ. 160.

⁶ ი. ჯავახიშვილი, „ქართველი ტომების ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის ერთი საფუძვლიანი“, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 1939 წ., X, გვ. 166.
⁷ იქვე.

⁸ ი. ჯავახიშვილი, საქართველოს კაცობისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, 1950 წ., გვ. 166.
⁹ იქვე, გვ. 161.



ვენეცია ლამით

შვეიცარული შთაბეჭდილებანი

ვახტანგ დავითაია

ვინც საქართველოს იცნობს, ადვილად შეამჩნევს იმ საერთოსა და განმასხვავებულებასაც, რაც ამ ორი ქვეყნის ბუნების შორისაა. შვეიცარიის მთები თავისი მწვეანე სამოსით შთაბეჭდილად და უაღრესად მიწიდიველია, მარად თოვლიანი კავკასიონის სიზვიადეს კი ჰქმნაბრეტად შეგფერის ლეგენდა ამირანზე. შვეიცარიის 1400 ტბა, შემოსაზღვრული ნისღადაკრული მაღალი მთებითა და ხასხასა მოლით დაფარული ბორცვებით მყუდროებისთვის განაწყოთ. შავი ზღვის მზიანი სანაპირო კი ხალისიანი და განუსაზღვრელად სიფრცობრივია და თითქოს უსასრულოდ ზრდის საქართველოს საზღვრებს დასავლეთით. მთლიან სიმწვეანეს ერთიან პარმონიაში მოჰყავს შვეიცარია. ქართული ბუნების მშვენიერებას კი უპირველეს ყოვლისა, მისი მრავალსახეობა და მრავალფეროვნობა განსაზღვრავს. ქართლის შედარებით ერთფეროვანი პეიზაჟი შესანიშნავი მოსამზადებელი მონაკვეთია, რათა დასავლეთით და სამხრეთით მიმავალმა ადამიანმა სისასვით აღიქვას ბორჯომის ხეობისა და ლიხის იქითა პეიზაჟების მშვენიერება. ყოველ შემთხვევაში, შვეიცარიაში ძნელია ისეთი მკვეთრი კონტრასტების ხილვა, როგორცაა სვანეთი — მთებს შორის აღმართული მთვლემარე კომპლექტითა და აფხაზეთი — თავისი სუბტროპიკული სირბილით, მთის წვერზე გადმომდგარი შატლი და სამეგრელოს კოწწია ეზოები, აჭარა და ალაზნის ველი — ყველა ამ კუთხის მცხოვრებთათვის დამახასიათებელი, საოცრად ერთიანი და ამასთან შესამჩნევად განსხვავებული ხასიათით.

ვენიდან შვეიცარიისკენ მიმავალი მატარებელი მთელ დამს ივლის ავსტრიის ალპებში, გამთენიისას ჩამოიტოვებს ინსბრუკს და სულ რამდენიმე წუთში გადასერავს ლიხტენშტეინის სამთავროს, რომლის პროტექტორს საგარეო საქმეებში შვეიცარია წარმოადგენს. (ლიხტენშტეინს ჩვეულებ-



რ ცდებიან ადამიანები, როდესაც „შვეიცარიას“ სილამაზის სინონიმად ხმარობენ. ქართველი კაციც, ასე განებეიერებული საკუთარი ქვეყნის მშვენიერებით, „შვეიცარიას ჰგავს“. შვეიცარიის ერთობ გახმაურებულ სილამაზეს მისი კრიალა, მარადმწვეანე მთები, კეთილმოწყობილი სათხილამურო-ტურისტული კლუბები, საბაგირო გზები და აურაცხელი ტბები განაპირობებს, ბუნების მშვენიერება და თავისებური კლიმატი ზაფხულსა თუ ზამთარში უამრავ ტურისტს იზიდავს და სამართლიანად აქცევს მას მუდმივი ტურიზმის ქვეყნად.



შილონის ციხე



ვის. ციურისში ცალიბდება აზრი შვეიცარიის მხარეში სამინაო და საერთაშორისო საკითხებზე, და ეს აზრი უსწრესად ავტორიტეტულია ბერნისა და ვენეციისათვის.


შვეიცარიის 3500 ბანკიდან უდიდესი და უმრავლესი სწორედ ციურისშია განლაგებული, აქეთ უხიდეებიან თავიანთი კაპიტალს მილიონერები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, რათა საიმედო სახანო მიუჩინონ თავიანთ „დანაშოვას“. ოდნავი სავეუო ვადანა საერთაშორისო ამინდის ბარომეტრისა და შვეიცარიის ბანკებში უჩვეულო გამოცოცხლება იწყება შემოდის ახალი კაპიტალი, ამერიკული და ინგლისური, დასავლეთ გერმანული და ესპანური. ზოგიერთი ქირაობს ცალკე საკნებს და საიდუმლოდ ინახავს თავის კაპიტალს. უცხოური კაპიტალის მოზღვავებამ მეორე მსოფლიო ომის დროს ფანტასტიკურ საზღვრებს მიაღწია და მრავალი საკანი ახლაც ელოდება თავისი მფლობელის გამორჩენას. ამოდ... როგორც ამბობენ, შვეიცარიის მთავრობა მალე მოახდენს ნაციონალიზაციას იმ უპატრონოდ დარჩენილი კაპიტალისა, რომლის მფლობელები მეორე მსოფლიო ომმა იმსხვერპლა.

ციურის 2000 წლის ისტორია აქვს, დღეს კი უდიდესია შვეიცარიის ქალაქებს შორის. დასავლეთ ნაწილში ქალაქის საწარმოთა შორის განლაგებული მუშათა უბნებია, აღმოსავლეთით — ბურჟუაზია მდიდრული ვილები, ბანკოფშტრასეს უხარმაზარი საფაქრო, საბანკო და სხვა საქმიანი დაწესებულებანი და ძველი ქალაქის ნახევრად ბნელი ქუჩები ააშკარავენ თანამედროვე შვეიცარიის სოციალურ კონტრასტებს.

იმ დროს ციურისის ხალხმრავალი ქუჩები ინგლისური განწყობილებით ცხოვრობდა, შვეიცარიაში დიდი ბრიტანეთის კვირეულთან დაკავშირებით. ოფიციალური დაწესებულებებისა და სასტუმროების შესასვლელთან აღმართული იყო შვეიცარიისა და დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ალმები. ციურისის ქუჩებისათვის გაუთავისუფლებული, სპეციალურად ჩამოტანილი ინგლისური ორსართულიანი ავტობუსები ძივს მიიკვლევდნენ გზას, მათ ბავშვები და ბავშვიანი მოქალაქეები ეტანებოდნენ უპირატესად. მუსიკა და ინგლისური ენა შეფობდა ციურისის ცენტრალურ ქუჩებში, მაგრამ ტურისტებს ხომ ქალაქის სიძველენიც აინტერესებთ და ჩვენც დაეკვივი ციურისის შუასაუკუნეების ვიწრო ქუჩებს, რომლებსაც სიძველე და გამი მხოლოდ პირველ სართულს ზემოთ ეტყობა, ქვემოთ, როგორც წესი, ყველაველი რეკონსტრუირებულია თანამედროვეობის შესაფერისად და მალაზიებისა თუ სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების სათესობების განათებული ინტერიერები უბოდიშოდ არღვევენ შუასაუკუნეობრივ რიტმს და შემოაქვთ XX საუკუნის პრეტენციოზული პარადულა.

რევი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი არცერთი პირობა არ გაჩანია. არის თავისთვის, რამდენადაც შეუძლია, ამარაგებს მსოფლიოს საფოსტო ნიშნებითა და ზელოვნური კბილებით). შემდეგ ჩაუვლით ვალენსისა და ციურისის ტბებს და მიაღდებთ შვეიცარიის არაოფიციალურ დედაქალაქს ციურისს. ციურისი შვეიცარიის ნიუ-იორკიაო — ამბობენ შვეიცარიელები. აქ თავს იყრიან მთელი მსოფლიოს საქმისნები, წარმოებს მოლაპარაკება და ვალდებულებათა გაფორმება, გარიგებანი და საქმიანი შეხვედრები. აქ ეშვება საერთაშორისო ტრასებზე მავალი თვითმფრინავები წუთიერი შესვენებისათ-

სანჩქერი რეინზე — რეინვალდი



თითქმის 150 წელი გავიდა შვეიცარიის ნეიტრალიტეტის აღიარებიდან, კანტონთა გაერთიანებისა და შვეიცარიის კონფედერაციის შექმნიდან, იმ დროიდან, როდესაც კანტონები ერთმანეთთან არც თუ ისე კეთილშეზობლურ დამოკიდებულებაში მყოფ თითქმის ცალკეულ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ და საკუთარ ბაჟსაც კი აწესებდნენ. ეს იყო იმ დროიდან, როდესაც შვეიცარიაში სივრცის 60, თხევად ნივთიერებათა 80 და მარცვლეულის 90 საზომი არსებობდა.



საგანმანათლებლო მეცნიერებათა სამინისტრო

არ იქნება სწორი, თუ შევიცარიას წარმოვიდგინო მხოლოდ ლამაზი მიწებისა და ტბების, კომფორტაბელური სასტუმროებისა და დასასვენებელი ადგილების ქვეყნად. შევიცარია ცენტრალური ევროპის უაღრესად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყანა, რომელსაც აქვს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ყველა წინააღმდეგობანი, აშკარად გამოკვეთილი კლასობრივი და ინდივიდუალური ევოლუზია.

შევიცარია მავსიმალურად გამოიყენა ნეიტრალიტეტით მინიჭებული უპირატესობანი და ისტორიულად მოკლე ვადაში გადაიტაცა განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოდ, რომელიც დღეს დიდ როლს ასრულებს მსოფლიოს ეკონომიურ ცხოვრებაში. მაგრამ მისი ნეიტრალიტეტი არ არის ერთგვაროვანი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში. იგი ძირითადად ელენდება ომისა და მშვიდობის საკითხებში — სამხედრო კოალიციების გარეშე უფნაში და ერთობ განსხვავებულია სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულებაში. შევიცარია ბლოკშია დასავლეთის სახელმწიფოებთან: დასავლეთ გერმანიასთან, საფრანგეთთან, ინგლისთან, ბელგიასთან და სხვებთან, როგორც სავაჭრო ვაჭრობით და კულტურული ურთიერთობით, ისევე იდეოლოგიური მიწარაფებებით.

მეორე მსოფლიო ომის წლებში შევიცარია ახლო კავშირში ფაშისტურ გერმანიასთან და განსაკუთრებული თანაგრძობითა და გულისყურით ასრულებს მის სამხედრო მნიშვნელობის დავლებებს. საჭიროების შემთხვევაში შევიცარია უარს არ ამბობს ანტიფაშისტურ კოალიციასთან თანამშრომლობაზე. მაქიმიალურად იყენებს შექმნილ სიტუაციას და ნეიტრალიტეტით მინიჭებულ უფლებებს საკუთარი ინტერესებისათვის.

ომისშემდგომ პერიოდში შევიცარიის რეაქციული წრეები გამოდიან საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ. დევნიან პროგრესულ ორგანიზაციებსა და დემოკრატიულ მოღვაწეებს, ნეკატურ პოზიციას იჭერენ სოციალისტურ ქვეყნებთან კულტურული და სავაჭრო ურთიერთობის გაუმჯობესების საკითხში.


შევიცარიელ მშრომლებს მშვენივრად ესმით თავიანთი ქვეყნის ნეიტრალიტეტის ფასი, რამაც ისინი ააშორა სისხლისმღერელ ომებს და კანტონების დაქვემდებარებული ქვეყანა ეკონომიური კეთილდღეობის ერთ-ერთ მაღალ საფეხურზე აიყვანა. ვასაკვირი არ არის, რომ როდესაც 1958 წელს მთავრობამ განიზრახა შევიცარიის არმიის ატომური იარაღით შეიარაღება, აღსდგა ხალხი და აღსდგა ისეთიანირად, რომ ეს განიზრახვა დღემდე მხოლოდ განიზრახვად დარჩა.

შევიცარიელები რიტუალების მოყვარული ხალხია და მათთვის პატარა საბაზიც საკმარისია, რათა მოისხან ერთგულ სამოსი და მუსიკის თანხლებით შემოიარონ ქალაქის ქუჩები — გვითხრეს დამხედურებმა. ამაში დაერწმუნდი გერმანული შევიცარიის ერთ-ერთ უძველეს და უაღრესად კოლორიტულ ქალაქ შუაგაუზენში ჩასვლისას. იმ დღეს ქალაქი ზეიმობდა მონადირეთა დღეს. დილიდანვე ქალაქის ქუჩებში იატაკ ეროვნულ კოსტუმებში გამოწყობილმა კარგად შეიარა-

ღებულმა მონადირე-მამაკაცებმა, რომლებიც ქალაქის ერთ-ერთი მოედნისკენ გაემართნენ. სამჯერ ჩამბერეს ზეგს და დემონსტრაცია ერთმართა და ქოქოთით დაიძრა... ჩვენ არავითარი ობიექტური მონაცემები არ გვაქვს მათ „პროფესიულ“ მიღწევებზე. მაგრამ თუ გარკვევს ბრწყინვალეების მივიღებთ რაიმე საზომად, მაშინ არც მეორე მხარე არ უნდა იყოს ცუდი. ყოველ შემთხვევაში, მონადირეთა ამ ფორუმზე არაოფიციალურად დაჯამდა ყოველი მათგანის წლიური „ნამოღვაწარი“ და ალბათ დაიხარჯა სიკრუსის საგნით დროაც, როგორც მონადირეთა ყოველი მეგობრული შეგრიბლობის აუცილებელი კომპონენტი.

შუაგაუზენს მრავალი ცხოველბატული ადგილი აკრავს. მათ შორის ულამაზესია ჩანჩქერი რეინზე-რეინფოლდი, რომელიც უამრავ ტურისტს იზიდავს და დასვენების საუკეთესო ადგილს წარმოადგენს.

„გერმანული შევიცარია“ ქვეყნის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს მოიცავს და დასახლებულია V საუკუნეში გამოხეული გერმანული ტომების ალემანების და ოსტგუთების შთამომავლობით. ისინი შევიცარიის მთლიანი მოსახლეობის 72% შეადგენენ და ლაპარაკობენ გერმანული ენის ალემონდური ჯგუფის დიალექტზე. (ფრანგულ ენაზე ლაპარაკობს მოსახლეობის 21%, იტალიურზე — 6%, რეტრომანულზე — 1%) . ქვეყნის მთელი მოსახლეობის 6-7% შეადგენს უცხოელი მოსახლეობები, გარდა ამისა, ყოველ დღე შევიცარიის საზღვრებს კვეთს დასავლეთ გერმანიიდან, ავსტრიიდან, საფრანგეთიდან და იტალიიდან შემოსული ათასობით მუშა, რომლებიც დაკავებული არიან შევიცარიის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში.



ზედა ლარნოზე სიმეტის მიილა



შვეიცარიის კონფედერაციის დედაქალაქ ბერნს გააჩნია მეტად გამოკვეთილი თავისებური სახე, რომლის მიმსგავსება შეუძლებელია მსოფლიოს სხვა რომელიმე ქალაქთან. ქალაქის უძველეს ნაწილს სამხრეთ უელის წყალუბვი მდინარე-არე, რომელიც ქმნის მადალ, კლდოვან ნაპირებთან ნახევარკუნძულს, რაც ძირითადად განაპირობებს ბერნის უძველესი ნაწილის დავიწყარების ხასიათს.

ქ. ბერნის სიმშობლია დათვი, რომლისგანაც წარმოსდგება თვით მისი სახელი. დათვებს ქალაქის ერთ-ერთ ნაწილში, მდინარე არეს ნაპირას განსაკუთრებული ადგილსამყოფელი აქვთ მიჩნეული და ეს „განსწავლული“ უსარმაზარი ცხოველები მრავალფეროვანი ილეთებითა და მოულოდნელი „გონებასხვილობით“ მშვენიერად ათობენ ქალაქის პატარა მოქალაქებს და მოზრდილ ტურისტებსაც კი.

შვეიცარიის ისტორიის არა ერთი საგულისხმო ფურცელია დაკავშირებული უძველეს ქალაქ ბაზელთან, რომელიც სიდიდით მეორეა და მდებარეობს ქვეყნის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, დასავლეთ გერმანიისა და საფრანგეთის საზღვარ-

თან. (ქალაქის განაპირის გადის ამ სამი ჰაზელმწიფის ხაზდარი). აქ განლაგებული უდიდესი ქიმიური ფირმა — „სიბა“, „გეიგი“ და „სანდოსი“ ქმნიან ე. წ. ბაზელის ქიმიურ კვებს და მას შვეიცარიის ქიმიურ-ფარმაცეპტულ ცენტრად ხდიან.

ბაზელის ქუჩებში გასივრების შემდეგ შვეიცალით ეწვიოთ უნივერსიტეტს, ხელოვნების მუზეუმს ან ზოოპარკს. პირველი მათგანი ერთ-ერთი უძველესია ევროპაში, მეორე ერთ-ერთი უმდიდრესი, ხოლო მესამე საკუთესო ადგილი ბავშვებისათვის და ევსოტიკის მოყვარულთათვის.

ბაზელის ხელოვნების მუზეუმის კურდონერში ღია ცის ქვეშ დგას როდენის „კალეს მოქალაქეების“ ბრინჯაოს ერთ-ერთი პირი. მის მახლობლად კუთხეში რამდენიმე თანამედროვე ქანდაკება განლაგებული და ეს სახელდახელო კონტრასტი მკვეთრად უსვამს ხაზს შხატურული აზრის და ესთეტიკური იდეალების იმ უსწრაფეს ცვალებადობას, რომელიც აგრე რიგად ახასიათებს ჩვენს ეპოქას და რომელიც უფრო მრავალფეროვნად და გენვალოგურადა წარმოდგენილი თვით მუზეუმის დარბაზებში. XII საუკუნის ფრესკებიდან დაწვებული, თანამედროვე მხატვრის ჯერ კიდევ შეუშრალი ტოლოებით დამთავრებული, ნაწარმოებები შვეიცალით იხილოთ ამ მუზეუმის საგანგებოდ გადუღებავ ნაცრისფერ დარბაზებში.

თანამედროვე ადამიანის დღევანდლობისადმი ინტერესი საარსებო სასიცოცხლო პირობებითაა განპირობებული და აღბათ ამ ინტერესითაა გამოწვეული ის ხალხმრავლობა, რაც იმპრესიონისტებისა და უახლესი პერიოდის ხელოვნების დარბაზებშია. შეიძლება ითქვას, რომ ბაზელის მუზეუმის იმპრესიონისტული კოლექცია არ ჩამოუვარდება პარიზის—იმპრესიონიზმის ამ სატახტო ქალაქის — მოდერნისტული მუზეუმის კოლექციას არც გამოფენილ ნაწარმოებთა მნიშვნელობით, არც რაოდენობით. განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი პოსტიმპრესიონისტები ვან გოგი, სუზანი, მატისი, დერაინი. ამ მუზეუმს ამშვენებს გოგენის „ბაზარი“ და „როდის გათხოვდები?“ პარკისა და პიკასოს ადრინდელი და უახლესი პერიოდის ნამუშევრები.

ბაზელის მუზეუმში განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი დასავლეთის თანამედროვე ხელოვნება. ამ დარბაზებშიც ირავა ხალხი, რომელთა სახეებზე სულ სხვადასხვა ემოციებისა აღბეჭდილი, გაკვირებისა და გაუგებრობის, გაოცებისა და მოჩვენებითი თანაგრძობის. ზოგს ისტერიული მოუხვეწრობა ეტყობა, ზოგნიც მხარს იჩქევენ დღეს დასავლეთში ერთობ პოპულარული მონდრიანის, კანდინსკის, კლვის, შავალის, მალევიჩის, პოლოაკის, ხუან მიროს და სხვათა ნამუშევრების წინაშე. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ნამუშევარი ლამაზთა თავისთავად, შინაარსისაგან მოწყვეტით, დეკორაციული ქიოვილის ან იმ კენჭისა თუ ტოტის მსგავსად, რომელსაც აღუღებული ზღვა გამოირიყავს ხოლმე, ან ლამაზი იმ თვითმყოფადი საგნების მსგავსად, რომელიც უამრავია ბუნების წიაღში, იმ განსხვავებით, რომ პირველს ადამიანის ხელი ეტყობა, მეორენი კი ბუნების ნამოღვაწარია.

„მხატვრის შინაგანი პირობები განაპირობებენ ყოველივე იმას, რაც ამ სურათებშია მოცემული“ — გააკეთა აქ გამოფე-

სტენდი წოდელი ჯერის სიუბილყო გამოფენიდან „შვეიცალია ბაზელში“



ნლი სურათებივით ერთობ პირობითი განცხადება მუზეუმის
გაღმა.

ბაზელიდან ჩვენი ზუსტ დასავლეთით ფრანგული შვეიცარი-
ისკენ მიმართება, ხაზს ეუბნებოდა „გერმანულ“, „ფრანგულ“
და „იტალიურ“ — შვეიცარიას, ვინაიდან სწორედ ამ სამი
ნაწილისაგან შედგება მთლიანი შვეიცარია. თვითველ მათგანს
საკმაოდ გამოყველილი თვითმყოფადი სახე გააჩნია და მათ-
თვის დამახასიათებელი ეროვნული ელფერით, ყოფის წესითა
და ტემპერამენტით გერმანიის, საფრანგეთისა თუ იტალიის
თავისებურ ფილიალებს მოგაკონებთ. მაგრამ შვეიცარიელს მი-
სი ეროვნული წარმოშობის დასადგენად ნურსადროს შეჰკად-
რებთ ამგვარ კითხვას: გერმანელი ხართ? ფრანგი ხართ? იგი
საკმაოდ განაწევრებული გიპასუხებთ: „შვეიცარიელი გერმანე-
ლი“ ან „შვეიცარიელი ფრანგი“ ვართ, თითქოს ხაზს უსვამს
ფრანგია და ამასთან შვეიცარიელი, ან იტალიელიცა და
შვეიცარიელიც. შვეიცარიაში სამივე ენა აღიარებულია სა-
ხელმწიფო ენად, ხოლო კანტონებისთვის ძირითადია ის,
რომლის ტერიტორიაზედაც იგი მდებარეობს.

ლა-შო-დეფონი ფრანგული შვეიცარიის ერთ-ერთი დიდი
სამრწევლო მუშათა ქალაქია, რომელსაც მეტსახელად „წი-
თელ ქალაქსაც“ უწოდებენ იქ მთავრობის მიერ 1940 წელს
აქრძალული შვეიცარიის კომუნისტური პარტიისა და სოცია-
ლისტთა მემარტხენე ფრთის საფუძველზე აღმოცენებული
„წირობის პარტიის“ დიდი გაყვების გამო. ლა-შო-დეფონში
შეიქმნა „წირობის პარტიის“ წარმომადგენლებს, მოვიხმი-
ნეთ თანამედროვე შვეიცარიის წინააღმდეგობრივ განვითარე-
ბაზე, რომელიც ასე ისტატიურადაა შეღამაზებული ქალაქის
ქუჩებში და ერთობ ძნელი აღსაქმელია მოკლე დროით ჩასულ
მოგზურთათვის.

ლა შო-დეფონი, ლე-ლოკლი, ბილი, ზოლოტნი შვეიცა-
რიის სახაათო მრეწველობის ძირითადი ცენტრებია, რომელ-
შიც დაკავებულია შვეიცარიის მუშათა 10%-ზე მეტი. ისინი
წელიწადში 40 მილიონამდე სხვადასხვა ტიპის საათებს ამ-
ზადებენ. სახაათო მრეწველობის 97% ექსპორტისთვისაა გან-
კუთვნილი, ნახევარზე მეტი კი აშშ-ზე მოდის. შვეიცარიაში
1400-მდე სახაათო საწარმოა, თუ არ ჩავთვლით იმ მრავალ-
რიცხოვან კერძო პირებს, რომლებიც სახელში ამზადებენ
ამ თუ იმ დეტალს, აწყოზენ და აბარებენ საწარმოსთან წი-
ნასწარი გარიგების საფუძველზე. მესაათებმა შვეიცარიაში
უძველესი ტრადიციია, რასაც შესანიშნავად ასახავს ლე-ლოკ-
ლის საათების მუზეუმის ექსპოზიცია, სადაც უნატიფევი
გემოვნებითაა გამოფენილი ნიმუშები XII საუკუნის პრი-
მიტიული საათებიდან დღევანდელ უნიკალურ საათე-
ბამდე.

ლა-შო-დეფონთან დაკავშირებულია თანამედროვეობის
უდიდესი არქიტექტორის ლე-კორბუზიეს სახელი, რომლის
ტალანტმა და შემოქმედებითმა გააჩანებამ დიდად განაპირობა
XX საუკუნის არქიტექტურის ხასიათი და ახალი იდეებით
ასულდგმულა მსოფლიოს არა ერთი არქიტექტორი. აქ სახა-
ათო საწარმოებში იგი ფუტლიარებზე ვენჩილესს ხატავდა და
გრაფიკის ხელოვნებაში ჩაწვდილია მისი უცნობობა. დღეს კორ-
ბუზიე უაღრესად რთული და მრავალმხრივი შემოქმედებითი
ფიგურაა, რომელმაც ჩვენი ეპოქა გაამდიდრა არა მარტო შესა-



ლუკარნო. სასტუმრო „კარლდა“

ნიშნავი ნაგებობებით, არამედ მრავალი თეორიული ნაშრომი-
თაც. ფერწერული ტილოებით, ჭანდაკებითა და საოცრად ლი-
რიკული პოეზიით.

„იტალიური შვეიცარია“ ერთ-ერთი უღამაზესი კუთხეა
ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, სადაც თავმოყრილია შვეიცარიის
საუკეთესო დასასვენებელი დაწესებულებები. მაჯორეს ტბის
სანაპირო, რომლის ძირითადი ნაწილი იტალიის ტერიტორი-
აზეა და შვეიცარიაში მხოლოდ თავი აქვს შემოყოფილი,
მრავალ კურორტსა და პლიაჟს იტყვს. მათგან უმნიშვნელოვან-
ესია ლოკარნო, მერატო და ასკონა. უფრო სამხრეთით კი,
ლუგანოს ტბის სანაპიროზე, მდებარეობს ცნობილი კურორტი
ლუგანო. აქ კურორტისათვის ხელსაყრელ რბილ ჰაერს ემატე-
ბა ადგილობრივი მკვიდრთა — იტალიელ შვეიცარიელთა მზი-
რული განწყობილება და მიდრეკილება ცეკვა-სიმღერისაკენ,
რაც არანაკლებ სასურველია მდიდარ დამსვენებელთათვის.

შვეიცარია ყოველწლიურად მრავალ ტურისტს, ოფიცია-
ლურ და საქმოსან სტუმარს მასპინძლობს, მაგრამ ამ უკანას-
კნელი ათი წლის მანძილზე მათი რიცხვი საგრძობლად შემე-
ცირდა, რამაც დიდ გასაჭირში მთავოდ რესტორნებისა და

სამრეკლო შაფხაუნენში





სასტუმროთა მფლობელი, ამიტომ კავებები, სასტუმროების თუ სხვა დაწესებულებების ყოველი მებატონე ცდილობს, ორიგინალური და განსაკუთრებული იყოს. ამისათვის თვითონ სხვადასხვა მეთოდი აურჩევია. ზოგს თავისი კაფეტრირებისათვის ცენტრალურ ადგილი მოუპოვებია და ერთმანეთს ვეზოტკეური სახელიც უბოძებია, ზოგს დარბაზები XX საუკუნის საკადრისად, უახლესი ავეჯითა და თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებით მოუთავსა, ზოგს კი ეროვნული იერი შესწარმოებია. მაგრამ არა ნაკლებ შემოსავლიანია ის კაფეებიც, რომელთაც უსახსრობის თუ მებატონეთა კომერციული ინტუიციის წყალობით ამ საუკუნეში მხატვრისა და ხუროთმოძღვრის ხელი არ შეხებია და უცვლელად წარმოგივლიდნენ გასული საუკუნის ყოფით სურათებს. აქ ყველაფერი წარსულთანა დაკავშირებული: გრძელი მაგიდები და ჩამაგებული საკვარძოები, კედლებზე გამოფენილი მამა-პაპური დამაჩები და თოფები, ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების, ნაენონბი სამხედრო პირებისა და გამაგრებული ადამიანების გახუნებული ფოტოსურათები „ამშვენებენ“ ამ კაფეების უძველეს დარბაზთა კედლებს.



შვეიცარიის ერთ-ერთი ღირსშესანიშნოაბა გუთური არქიტექტურის თვალსაჩინო ძეგლი—მილონის ციხე, რომელიც ფენეის ტბის დასავლეთ ნაწილში ქ. მონტრედან 5-6 კმ-ზე მდებარეობს. არქიტექტორ პიერ მინიეს თავისი ტალანტი არ დაუზოგავს სათოვლ ქერცვლად ამ ერთ-ერთი რესტორნისის სრულყოფისათვის. ციხე-სასახლე შუასაუკუნეობრივი მიდაეწოთია და თავდაცვითი კომპლექსი ისე ორგანიზალად ერწყმის ბაკემის, რომ მისი არყოფნა ალბათ დიდად აუენება იქაურობას. „მისილება დარბაზიდან“, „სამეჯლისო დარბაზიდან“, „სასახლისო დარბაზიდან“ და სხვა მრავალ პარალელ დარბაზთა და სენაკთა სარკმელებიდან წარმატაცი ხედები იშლება ცენევის ტბაზე და მის მიდამოებზე, ხოლო ინტერიერები უფაქიჩუსად აღადგენენ წარსულს საუკუნეების ყოფით სურათებს.

მილონის დარბაზები მრავალრიცხოვან დამთავლიერებულს იზიდავს და დღესაც ვეზოტკეურ ადგილს წარმოადგენს შვეიცარიის მთავრობის დიდად პატივსაცემ სტუმართა ოფიციალური სადღეობისათვის.

მილონის ციხეს მრავალფეროვანი მნახველი სწევია, მაგრამ მათ შორის მოგონებს ერთზე განსაკუთრებული სიფაქიზით ინახავს მისი კედლები. ჯ. ბაირონი მას პირველად 1816 წელს ეწვია და შემდგომ ხშირი სტუმარი იყო ამ მიდამოებისა. იგი დიდხანს იჯდა მილონის ნესტიან სარდაფებში, გუთური კამარების ქვეშ, იმ სვეტთან, სადაც ექვსი წლის მანძილზე იტანჯებოდა ფრანსუა ბონიარი — „მილონის ტყვე“, რომლის თვალწინ მრავალ სიკვდილმისჯილი ჩაუვლია საკანის იმ კუთხისაკენ, საიდანაც ცოცხალი პაიანი მობრუნებულა. ბაირონმა ამავე ქვის სვეტზე ამოაწერა თავისი ავტობიოგრაფი, რომელიც დღეს სპეციალური ჩარჩო აქვს შემოკლებული და უფრთხილდებიან, როგორც ძვირფასი რეკვიზიტის.

ყენევაში პირველად ჩასულ კაცს, როგორც წესი, გააქანებენ ერების სახასილავს, რომელიც ცენევის ტბის სანაპირო პარკის ამღობულ ნაწილზე მდებარეობს. ყენევის „სა-

ერთაშორისო ქალაქად“ სწორედ ერების სასტუმროს ვერძენისის იქ არსებობა განაპირობებს და ჩვენს ახრცხვამს/მხრცხვლის ცველა ქალაქთა შორის განსაკუთრებულს ხდის. აქედან იშლება ულამაზესი ხედები ცენევის ტბაზე, ფრანგულ სიფენებზე და მონტანზე. ერების სახასილავი, სადაც ერთი წლის მანძილზე 230-მდე კონფერენცია, 3000-მდე სტუმარი და 14000-მდე სხვადასხვა შეხვედრა მიმდინარეობს, დღესაც სამუშაო ატმოსფერო სუფევს და სასახლის 1500 მუშეკი მომედგულია ამ შეხვედრათა მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. იმ 25 სამუშაო დარბაზიდან, რომელიც იქაა განლაგებული, უდიდესია მთავარი საკონფერენციო დარბაზი, რომლის კედლებს ამშვენებს ესპანელი მხატვრის ხსენ მარია სერდის მონუმენტური ფრესკები, რომლებიც ეძღვნება კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა მხარეს — ტექნიკურ, სოციალურ, ეთნიკურულ და მორალურ პროგრესს. ამ დარბაზში ჩატარდითხი სახელმწიფოს მთავრობათა შეხვედრების 1955 წლის თათბირი, აქვე მიმდინარეობდა თათბირები კორეისა და ლათსის საკითხებზე, აგრეთვე შეხვედრები განიარაღებისა და ეკონომიურ საკითხებზე.

ყენევა იკადლებდა ადამიანებს, რომელთაც თავიანთი პოლიტიკური რწმენისა თუ რევოლუციური მოღვაწეობის გამო საკუთარ ქვეყანაში არ ედგომებოდთ. აქეთ მოისწრაფოდნენ რევოლუციონერები იტალიიდან, საფრანგეთიდან, პოლონიიდან, რუსეთიდან, აქ ჩამოაყალიბა პლენსაბოგმა პირველი რუსული მარქსისტული „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი. ყენევაში, ბერნსა და ციურიხში ხანგრძლივად მოღვაწეობდა გ. ი. ლენინი, რომელმაც დიდი დხმარება გაუწია შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას. ლენინერ ადგილებს სათუთად და დიდი სიყვარულით ინახავს შვეიცარიის მუშათა კლასი.

ყენევისთან დაკავშირებულია ცხოვრება და მოღვაწეობა დიდი ფილოსოფოსებისა, მწერლებისა და განმანათლებლებისა — ვოლტერისა და რუსოსი.

ყენევა ძველ დიდდნეუ საპოლემიკოდ იკრიბებოდნენ პროტესტანტები და კათოლიკები. ბრძოლა მათ შორის იყო უსასტიკესი და შეურიგებელი. ცენევის მუზეო სახლებს დღესაც ეტყობა სართულთა გვიანდელი დანაშევი, გამოწვეული რელიგიურ ლტოლილთა მოზღვავებით.

„ტურისტთა მეტა“ — ყენევა მუდამ ცოცხალი და მხიარული ქალაქია, მრავალრიცხოვანი სასტუმროებითა და რესტორნებით, რომლებიც ძირითადად ტურისტებსა და მრავალრიცხოვან დიპლომატებს ემსახურება. ქუჩებში შევიძლიათ მიისმინოთ საუბარი მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე. ქალაქი რკალივით ეკვრის ცენევის ტბას, ხოლო მრავალრიცხოვანი ხიდეები მდინარე რონაზე აკავშირებენ ქალაქის ორ ნაწილს და ქმნიან ხიდეების ლამაზ რიგს. შადრევანი ცენევის ტბაზე უდიდესია მსოფლიოში, რომელიც 130 მეტრის სიმაღლეზე იჭრება ზეცაში და წარმოადგენს ქალაქის თავისებურ ორიენტს.

ყენევაში ორი მნიშვნელოვანი გამოფენა იყო გახსნილი: პიკასოს პერსონალური და წითელი ჯვრის 100 წლის საიუბილეო.



პიკასოს სახელი მითადა ქვეული თანამედროვე მსოფლიოში, მას მიაწერენ სასწაულებს ხელოვნებაში და სასწაულებრივად უნაზღაურებენ ყოველ მიწასში. პიკასოს ნაწარმოებთა ყალიბი პირების გაკეთება ერთობ ხშირად და აღვივლებს კანდიდების მოყვარული ყალბაბანდები ხშირად ამოყოფენ ხოლმე თავს ევროპის სხვადასხვა საყვარელი დღეში.

მხატვრის ყოველი ინდივიდუალური გამოფენა გაცილებით უფრო სრულ და ნათელ წარმოდგენას იძლევა მის შემოქმედებაზე, ვინემ სრულყოფილი რეპროდუქციები ან მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებში დაცული კოლექციების ხილვა ცალ-ცალკე, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მუზეუმი ცდილობს იზიაროს ამ ა თუ იმ მხატვრის საუკეთესო ნაწარმოებები.

აქ გამოფენილი ადრინდელი რეალისტური და პოსტიმპრესიონისტო ვაგონით შესრულებული ნამუშევრები, კუბისტური თუ 1962 წელს შესრულებული ტილოები ხაზს უსვამენ პიკასოსათვის დამახასიათებელ შემოქმედებით გარდაქმნებს და იღვთა ცვალებადობას. „პიკადორი“ და „კორიდა“ ებნობათ მთავარის ოსტატური დანახებით და მუხუბეი ლირიზმით, გრაფიკული ნამუშევრები გაიყრბობ ხაზების პლასტიკობით. მაგრამ ამ გამოფენაზე წარმოდგენილი ნაწარმოებნი არ არის ტოლფასი არც საერთო-საკაცობრიო მნიშვნელობით, არც მხატვრული ღირსებებით, ხოლო ბევრი მათგანი პირდაპირ ასოციაციას იწვევს პიკასოს მიერ ახალგაზრდობაში გამოთქმულ, საკმაოდ ავანტურისტულ სენტენციასთან: „თუ მენ წერ პეიზაჟს, ნუ დაიფიქვებ, — რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოგაგონებდეს თევზს, თუ მენ წერ პორტრეტს — მიათავსე ფეხი ცალკე, გვერდზე“, მიუხედავად ამისა, ტილოს კუბიზმი წარწერა „პიკასო“ აბსოლუტური გარანტიაა წარმატებისა და იმ არანაული ანაზღაურებისა, რომელსაც პიკასოს უბიან მდიდარი კოლექციონერები და სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმები.

პიკასოს ხიბლავს მანერები და მოულოდნელობანი. და აი, ომისმემდგომ იგი მოგვევლინა ვალორისიდან, კერამიკის სამყაროდან. მას მოჰყვა აურაცხელი ტურისტები, რათა შინ ჩასულთ ეტრებაზათ, ცოცხალი პიკასო ენახეთ. პიკასოს ვალორისში გამოჩენამ გამოაცოცხლა მივიწყებული მეჭოთხეთა სოფელი და სამუდამოდ მოუპოვა მას ლუკმაპური და დიდება.

პიკასო — კერამიკოსი, უპირველეს ყოვლისა, მხატვარია, რომელსაც ხიბლავს ხაზი და ფერი. მის მიერ თევზებსა და ლარნაკებზე მოხატულ ალგორიულ პორტრეტებს, სტილიზებულ ორნამენტს თუ აბსტრაქტულ ლაქებს დიდი დეკორაციული გამოშასხველობა და ადამიანზე ესთეტიკური ზემოქმედების განსაკუთრებული უნარი აქვთ.

ყოველი გამოფენა გარკვეულ პროპაგანდისტულ მიზნებს ისახავს და, შეიძლება ითქვას, რომ წითელი ჯვრის საიუბილეო გამოფენაც შესანიშნავად ორგანიზებული პროპაგანდა იყო ომის წინააღმდეგ, ადამიანის მიერ ადამიანის მოსპობისა და დამონების წინააღმდეგ. ოდნავ ბნულ დარბაზში ყუმბარების სკოდონისა და განწირულ ადამიანთა არეული ღრიანცელების ქვეშ ათვალიერებთ გამოფენას და გაგონდებთ პატარა ისტორია დიდი ენეველიისა — ანრე დიუნანისა, რომლის სახელთანაა დაკავშირებული ამ უკეთილშობილესი საერთაშორისო ორგანიზაციის დაარსება.

...1859 წლის 20 ივნისი. სოლფერინო. მიმდინარეობს სისხლისმღვრელი ბრძოლა ავსტრიელებისაგან განთავისუფლებისათვის. საფრანგეთ-იტალიის არმიას სთავაზუმი უდგას ნაპოლეონ III. მდიდარი ახალგაზრდა ქვეყელი ეან ანრე დიუნანი, რომელიც ოცნებობდა ნაპოლეონ III შეხედრებაზე, რათა მიეღო მისგან კონცესია მიწაზე, ალგირში წისკვილების ასაგებად, სამოქალაქო ტანსაცმელით შუა ბრძოლის ველზე დღომრდა. ბრძოლის სურათებმა შეზარეს დიუნანი და დაავიწყეს მისი მოსვლის მიზანიც: იგი დღეების განმავლობაში დასტრიალებდა დატორილებს და გამუდმებით იმეორებდა: „ყველა ადამიანი — ძმია“. აქვე დაიბადა იდეა, შექმნილიყო საზოგადოება დატორილათა დასახმარებლად.

გამოფენა წარმოადგენს თავისებურ ანგარიშს წითელი ჯვრის ორგანიზაციის კეთილშობილური საქმიანობისა ამ 100 წლის მანძილზე. აქ უჩვენებენ დოკუმენტურ ფილმებსა და ფრაგმენტებს, რომელიც აღადგენენ შეზარაც ვეიზოდებს განვლილი ომებიდან. გამოფენაში სხვადასხვა იარაღები, რომლებმაც შეხელი აიასობით ადამიანთა სიცოცხლე სოლფერინოსა და გეტისბერგში, ტრანსილივანიაში და პორტარტურში...

გამოდინართ გამოფენიდან უდიდესი შთაბეჭდილებით და თან მოგყვებათ კეთილშობილი და კაცთმოყვარე შევიცარიელის — ანრე დიუნანის სიტყვები „ყველა ადამიანი — ძმია“, რაც ასე ამალეებულად და ფაქიზად გამოიხატავს თანამედროვე პატიოსან ფეხიანთა მისწრაფებებსა და აზრებს.



ჯ. ბაირონის ავტოგრაფი-ლი შილონის ციხის ერთ-ერთ სვეტზე



ქორეოგრაფი გიორგი სალუქვაძე

სიმღერებს, ნახავდით გამოშახველ ცვეკვებს. მართონ უკრავდეს პატარა გიორგიც დიდი გატაცებით მღეროდნენ და უცვლელად მასი მუსიკალობა და ქორეოგრაფიული ტრანტი ყრმობიდანვე გამოჩვენდნენ. გიორგი წარჩინებით სწავლობდა ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში. ამავე დროს ადგილობრივი მხატვრული თეათომოქმედი ანსამბლის ერთ-ერთ მოწინავე და წამყვან მომღერალ-მოცეკვავედ ითვლებოდა. როგორც ამასაყვ და მეგობარი ყველას ძალიან უყვარდა. ტექნიკუმის დამოკიდებული სტუდენტების მონაწილეობით მუწონგურეთა ანსამბლს და მოცეკვავეთა წრეს აყალიბებს. 1935 წელს გამართულ მხატვრული თეათომოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მოცეკვავეთა ჯგუფმა ცეკვა „ხორუმის“ საუკეთესო შესრულებისათვის პირველი ადგილი მოიპოვა. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გ. სალუქვაძე საშუალო სკოლაში იწვეს მუშაობას პედაგოგად. აქაც აყალიბებს მოსწავლეთა თეათომოქმედ წრეს. 1937 წელს მას იწვევენ დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში სოლისტ-მოცეკვავედ და ცეკვის დამდგმელად. პარალელურად იგი ბუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მოცეკვავეთა წრის ხელმძღვანელაა, ხოლო 1939 წელს საქართველოს კომპინკავშირის სიმღერისა და ცეკვის თეათომოქმედი ანსამბლის ქორეოგრაფი.

1940 წლიდან გ. სალუქვაძე საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში სოლისტი-მოცეკვავეა. (ანსამბლის მოცეკვავეთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა ქორეოგრაფიული ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე — ჯანო ბაგრატიონი). სამაშულო ომის დროს იგი ალყაშემორტყმულ სევასტოპოლისსა და ქერჩის ბრძოლებში მონაწილეობდა. დიეი-ზიის სარდლობის დავალებით გ. სალუქვაძემ წითელარმიელთა სიმღერისა და ცეკვის 80-კაციანი ანსამბლი ჩამოაყალიბა. 1944 წლის თებერვალში თბილისში გამართულ ამიერკავკასიის

ინჟინერი, ქორეოგრაფი

გიორგი კოკელაძე



ქეტად შინაარსიან და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ატარებს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ქორეოგრაფი გიორგი სალუქვაძე. იგი პროფესიით ინჟინერია, მაგრამ თავისუფალ დროს ერთი წუთითაც არ იფიწყებს მისთვის საყვარელ და განუყრელ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას. თავისი უნაგარი და დაუცხრომელი მუშაობით იგი ენთუზიასტა მოწინავე რიგებშია.

გ. სალუქვაძე დაიბადა 1913 წლის 27 ივნისს მახარაძის რაიონის სოფელ უჩხუბში, მის ოჯახში ხშირად მოსმენილი მშობლებისა და მეზობლების შეწყობილ ქართულ ხალხურ

ფრონტის წითელარმიელთა თეათომოქმედების დათვალეირებაზე ანსამბლს პირველი ადგილი მიენიჭა.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ გ. სალუქვაძე კვლავ უბრუნდება საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს. პარალელურად მას იწვევენ სამტრედიის სიმღერისა და ცეკვის თეათომოქმედი ანსამბლის ქორეოგრაფად. 1946 წლის ნოემბერში ეს ანსამბლი, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო, მოსკოვში მხატვრული თეათომოქმედების საკავშირო დათვალეირებაზე გამოვიდა და დიდი წარმატება ხვდა: პირველი ადგილი და პირველი ხარისხის პრემია მიენიჭა. 1947 წლიდან

მას ნიშნავენ ტრესე, საქართველოს ჩაისი მახარადის № 1 ჩაის ფაბრიკის მთავარ ინჟინრად და პარალელურად იწვევენ მახარადის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის ქორეოგრაფად, სადაც დღემდე მუშაობს. გ. სალუქვაძე საშუალო სკოლის მოსწავლეებსაც არ ტოვებს უყურადღებოდ. 1947 წელს თბილისში გამართულ მოსწავლეთა თვითმოქმედ რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მახარადის რაიონის მოსწავლეთა ნაგებმა ანსამბლმა პირველი ადგილი დაიკავა, 1948 წელს ჩატარებულ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის მხატვრული თვითმოქმედების VI რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მახარადის რაიონის სოფ. ნატანების, მაკვანეთის და ურიანთას კოლმეურნეობების ნაგებმა ანსამბლმა პირველი ადგილი დაიმსახურა, მოცეკვავეთა ჯგუფს გ. სალუქვაძე ხელმძღვანელობდა. კიდევ მრავალი ჯილდო და გამარჯვება აქვთ მოპოვებული ამ კოლექტივებს ოლიმპიადებსა და ფესტივალებზე.

პროფესიით ინჟინერი, ამჟამად წარმოების ხელმძღვანელი გ. სალუქვაძე ამავე დროს ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების საუკეთესო მცოდნე და დიდი ენთუზიასტია. თვალსაჩინოა მისი დამსახურება ხალხური ცეკვის აღდგენისა და მისი ისტორიული წყაროების ღრმა შესწავლაში. ქორეოგრაფებმა და საერთოდ ამ დარგის მოღვაწეებმა იცინა, თუ რა დიდი შრომა და დაკვირვება ამისთვის საჭიროა.

1951 წელს საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების VII რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე შესრულდა გ. სალუქვაძის მიერ აღდგენილი ცეკვა „ფარცა-კაკუ“. 1954 წლის ოლიმპიადაზე — „კალმასობა“, ხოლო 1961 წელს — ცეკვა „ფუნდრუკი“. სამივე ცეკვა თავისი შინაარსითა და ფორმით მეტად თავისებურია და საინტერესოა. ზოგიერთ მათგანს იუმორის ელემენტებიც ახლავს. მათი შესრულება უმთავრესად მასხვილი რიტმით, სახალისო მოძრაობებითა და ნაირსახვანი ფერებით ხასიათდება.

გ. სალუქვაძის ნარკვევში მოტანილია ბევრი მავალითი, რომელიც მოწიბობს, თუ როგორი შესაწავლა და აღადგინა მან სამი ხალხური ცეკვა: „ფარცა-კაკუ“, „კალმასობა“ და „ფუნდრუკი“. „ბოსტანის კვლევაში მე და დედა მწვანისის ნორჩ ჩინოილებს ვგვავდით, — მოგიხიზრობს სალუქვაძე. ამ დროს მეზობლის მრავალ ქალმა ხუმრობით მოგაკახა: „რას დაკუკლებართ მაქანაი ფარცა-კაკუს ზომ არ თამაშობთო“. მე მას შევეციხე: — დედა, რა არის „ფარცა-კაკუ“? — ეს ძველებური ცეკვა იყო, ჩაბუჭვით ცეკვობდნენ. ვინც უფრო მეტხანს იცეკვებდა, განმარჯვებულიც ის იყოო. ამის შემდეგ ძალიან დაინტერესდი ამ ოდესღაც არსებული ცეკვით. თვალყურს ვადევნებდი, თუ კი ვინმეს ლაპარაკში წამოცდებოდა ეს სახელწოდება, ვეითხებოდი და პასუხიც ერთი იყო — „ძველი ცეკვა“, მოცეკვავეები ერთმანეთს ჩაბუჭვით ეჯიბრებოდნენო“.

ცნობილი საზოგადო მოღვაწის, დამსახურებული პედაგოგის გიგო შარაშიძის მიერ შედგენილ ლექსიკონის გურულ ნაწილში აღნიშნულია „ფარცაიკი“ — უცნაური, საოცარი. „ფარცა-კაკუ“ ძველებური ხალხური ცეკვაა, რომლის შესრულების დროს მღეროდნენ:

„ფარცა-კაკუ, ფარსადანა,
ყურას სისხლი რამ გადინა?
— ლაშქარს ვიყავ, დავიკოდე,
ყურას სისხლი მან მადინა“.

სულხან-საბა ორბელიანი თავის ქართულ ლექსიკონში ასე განმარტავს: „ფარცა კაკუ“ — კუილით ხლტომა — გვ. 353. (ქართული წიგნი 1928 წ. გამოცემა).

გიორგი სალუქვაძე შესრულა უამრავი ხალხური მასალა და წყარო. დიდი დაკვირვების შედეგად დამუშავა და გამოსცემული სახით აღადგინა ცეკვა „ფარცა-კაკუ“.

ასევე აღადგინა მან ცეკვა „კალმასობა“, ამის ირგვლივ მისი ჩანაწერიდან ვითვლივთ: — „აგვისტოს 18 რიცხვი საცულესიო დღესასწაულად ითვლებოდა. მას „ფერისცვალობას“ ეძახდნენ, ძველი ჩვეულების თანახმად ამ დღეს საიდლები თევზის კერძი უნდა მოეწადებინათ. როგორც სხვა საღვთსასწაულად დღეებში, „ფერისცვალობის“ დღეს, საიდლის შემდეგ, სოფლის თავმჯდომარე მოედანზე იმართებოდა გართობა სიმღერითა და ცეკვით. ძველი ხალხის გადმოცემით ამ დღეს გურიანში ასრულებდნენ საირტალო — შრომის პროცესის ამსახველ ცეკვას „კალმასურს“. ამის შესახებ სიმონ გუგუნავა აღნიშნავს, რომ ცეკვა-თამაშის დროს კაცები დამწკრივდებოდნენ ერთად, მოპირდაპირე მხარეს შეიქმნებოდა ქალების წყვილი. ყველა მღეროდა. კაცები ვითომც შეთევვეები იყვნენ, ქალებს ისე მიუცეკვებდნენ, თითქოს ბაღე გადააცვსო. ქალები ტანის ნახე შეზრვით კალმასებს ბაძავდნენ. წერილობითი წყაროებით თუ ზეპირი გადმოცემით დაფრუხდნი, რომ შრომითი სახაიათის ასეთი საირტალო ცეკვა „კალმასური“ ნამდვილად არსებულა. მე მომიხდა ყველა ამ მასალის თავის მიყრა და ამასთანავე ბუნების წიაღში ჩანჭქერებას თუ მორევებით მოყურავე კალმასებსა და ორგავებზე ნაგნძორება დაკვირვება, შემდგომ კი ქართულ ხალხურ ილიეთებზე დაყრდნობით მათი საცეკვაოდ ამეტყველება“.

გიორგი სალუქვაძემ ცეკვა „კალმასობის“ შემსრულებელ-მოცეკვავეთათვის შექმნა კალმასის ლამაზ ფერთა შეზამებით გაფორმებული ტანსაცმელი. რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლილი გვარამაძე 1955 წლის ეურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მეორე ნომერში მალღ შესახებს აძღვებს ამ ცეკვას და ჩაცმულობის შესახებ აღნიშნავს შემდეგს: „დამდგმულმა აიღო რა ქართული ეროვნული ტანსაცმელის უაღრესად ტიპური შტრიხები და მოახდინა რა მათი სტილიზაცია, შექმნა მეტად ფერადი, ორიგინალური საცეკვაო კოსტუმები“.

გ. სალუქვაძემ ცეკვა „კალმასობის“ მისამღერი ტექსტიც თვითონვე დაწერა.

განსაკუთრებით მინდა შევერდე ცეკვა „ფუნდრუკის“ შინაარსის, მისი აღდგენისა და დამუშავების ზოგიერთ საკითხზე.

ცეკვების „ფარცა-კაკუს“ და „კალმასობის“ მასალების ხალხში ძიების დროს გიორგი სალუქვაძე კრებდა ცეკვა „ფუნდრუკის“ და „ხუნტრუკის“ ელემენტებს. ზეპირიტყვაობაში და ლიტერატურულ წყაროებში მოცემული მასალების, მე-17, მე-18 საუკუნეების ჩაცმა-დახურვისა და თევასწმულობის ელემენტების დადგენის, საკომპანემენტო ძველი ხალხური მელოდებისა და სასიმღერო ლექსების შეგროვების გზით.



მისივე ინიციატივით და რაიონული ხელმძღვანელობის მხარდაჭერით მოწვეულ იქნენ მახარაძის რაიონის უზუცესი ადამიანები, მოხდა მათთან გასაუბრება წარსული ამბების გარშემო, კერძოდ ხალხური ზნე-ჩვეულებების, რიტუალის, სიმღერების და ცეკვების შესახებ, რომლებიც ჭამთა სვლის გამო დაიწყებდას მიეცა. გიორგი სალუქვაძე მათ ნაამბობს გულდასმით იწერდა. აი, ზოგიერთი მათგანი:

გიორგი მენაბდე — მახარაძის რაიონის სოფ. ლაშუს მცხოვრები — 110 წლის.

„ჩემი აბალგაზრდობის დროს მინახავს, რამდენიმე კაცი გამოვიდოდა საცეკვაოდ, გააკეთებდნენ წრეს, მერე ერთი მოასწრებდა სხვებს, გააკეთებდა წიკუნტალას (იატაკზე-მიწაზე თავდაყირა გადაბრუნება) მას სხვებიც მიყვებოდნენ და აკეთებდნენ წიკუნტალებს, მერე შეჯდებოდნენ ერთმანეთს ზურგზე, ცეკვობდნენ, იყო ერთი სიცილი, მხიარულება“.

ლევქიან დრე მენაბდე — მახარაძის რაიონის სოფ. ლაშუს მცხოვრები 103 წლის.

„მე რომ პაპა ვიყავი, ლხინში მინახავს, რომ ცეკვობდნენ, ხანდახან ცალ ხელზე დაყუდებოდნენ. მერე ისევ იცეკვებდნენ და ასე რამოდენიმეჯერ. ხნეში შესული კაცები ივანე და სიკა ბურჭულაძეები მინახავს ცეკვობდნენ ბუქას“.

ვიქტორ ტყეშელაშვილი — მახარაძის რაიონის სოფ. ხერხეულიძის მცხოვრები — 88 წლის.

„მეც ბევრჯერ მინახავს დღესასწაულში ხელებზე ცეკვობდნენ. ხანდახან ერთი კაცი შეისვამდა მხრებზე მეორეს და ცეკვით დაატარებდა, მაღლა კაციც ვითომ ცეკვობდა“.

თომას შარაშენიძე — მახარაძის რაიონის სოფ. გაღმა დვამბუს მცხოვრები — 80 წლის.

იმისთანა მინახავს ცეკვის დროს ფრინავდნენ, იმისანას დაქარავდნენ და გადაბრუნდებოდნენ (იგულისხმება თავდაყირა — გ. ს.) სარივით დაერჭობოდნენ მეორე კედაროს“.

ვარლამ ლომთაძე — მახარაძის რაიონის სოფ. ვაკიჯვრის მცხოვრები — 78 წლის.

„ჩემს მახსოვრობაშიც ბევრჯერ მინახავს ქალები და კაცები ერთად ცეკვობდნენ. ერთმანეთს ეთამაშებოდნენ. მაგრამ კაცები ძალიან ძნელ რამეებს აკეთებდნენ, ერთმანეთს მხარზე შეჯდებოდნენ, დამაჩნებს გაისრადნენ, ხელებზე დგებოდნენ, ცეკვობდნენ სულითა და გულით“.

აკაკი ცხომელიძე — მახარაძის რაიონის სოფ. ცხმელისხიდის მცხოვრები — 65 წლის.

„ჩემი წინაპრებიდან მე გამიგონია ცეკვა „სიკატა-სიკატა“ გიორგი ჩანს ძალიან ძნელი შესასრულებელ ცეკვად. ცხელი ვიცი, რაცა პატარა ბავშვი პირველად ფეხის ადგმას დაიწყებდა, ხელს მოსკიდებდნენ უფროსები, ფეხს გადადგმევიებდნენ და ეტყობდნენ. „სიკატა ნენა“, ე. ი. კარგად ვესწავლის მოძრაობა, „სიკატას“ ცეკვა შეგძლებოდადეს“.

იმისათვის, რომ სუფთაი დარბი არ გამოსულიყო, გიორგი სალუქვაძემ ცეკვა „ფუნდრუკში“ გააერთიანა ცეკვა „სუნტრუცი“.

სიტყვა „ფუნდრუკსა“ და „სუნტრუცს“ დღესაც გაიგონებთ გურიაში. მაგალითად. ბიჭების მიმართ ასე იტყვიან: „რას დაფუნდრუკობენ ეს ბიჭები მთელი დღე, სახლი დააიწყესდა?“ ან კიდევ გოგონების მიმართაც ასეთ გაფრთხილებას გაიგონებთ: — „ქალო, იგი გოგო რომ აგიშვია და დასუნტრუცობს, მიხედე სანამ გვიან არ არის, თორემ!“

ამ მოკლე მასალიდანაც კი თვალნათლივ ჩანს, თუ რა დიდი მუშაობა ჩატარება ქორეოგრაფ გიორგი სალუქვაძის მოცეკვავეთა ჩაცმა-მოცაზმულობის, საცეკვაო მელოდისა და სასიმღერო ლექსის შერჩევის, დადგენისა და დამუშავებისათვის. მას შემთხვევით რომ აღუღია ძელი ხალხური სიმღერის ძირითადი მოტივი „იავრანაშა“, რომელიც საუცხოოდ აქვს შეხამებულია და შერწყმული ცეკვა „ფუნდრუკის“ მოძრაობების ხასიათთან. სიმღერა „იავრანაშა“ დამუშავებული იყო ჩონგურების საუკეთესო შეწყობით და გუნდთან ერთად ოსტატურად ასრულებდნენ მეჩონგურე ქალები. გიორგი სალუქვაძემ ალადგინა და სამულის შესრულებით ტკბილად ააზმოვანა ძველად არსებული ხალხური ჩასაბერი საყარავი „სონიარი“, რომელიც მან „ფუნდრუკში“ მქოინარგო ცეკვის სურათის შესრულების დროს გამოიყენა. ქორეოგრაფიული ხელოვნების ნამდვილი შემოქმედი აუცილებლად უნდა იყოს მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული, ცეკვა ხომ მუსიკის გარეშე არ არსებობს! მასასადამე ქორეოგრაფისათვისაც აუცილებელია ზოგად-მუსიკალური განათლება, მას უნდა შესწავდეს უნარი თავისუფლად შეარჩოს და დაადგინოს ყველა კუთხისა და ხასიათის საცეკვაო მელოდები.

მდიდარი შემოქმედებითი უნარით არის დაჯილდოებული გიორგი სალუქვაძე. იგი ხალხური სიმღერების საუკეთესო მცოდნე და შემსრულებელია. ჩინებულად უკრავს ჩონგურზე და ფუნდრუკზე. მის ოჯახში დღესაც ტკბილად ჟღერს მაღალი გემოვნებით შესრულებული ნაირფეროვანი ქართული ჰანგები.



ალექსანდრა თოიძე

გ ზ ა ს რ ო მ გ ა ხ ე ღ ა ვ

ნადევდა შალუტაშვილი

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

მრავალჯერ ნათამაშვეი სცენური სახეების დახვეწაზე, სრულყოფაზე, თავდავიწყებით უბრუნდებოდა ყოველი უმნიშვნელო დეტალის ყოველი შტრიხისა და ნიუანსის ხელახლა დამუშავებას. მისთვის არ არსებობდა დალღა, უგუნებობა, ავადმყოფობა. იგი ყოველთვის მზად იყო ეთამაშნა სპექტაკლში, მაშინაც, როდესაც მოულოდნელად უბდებოდა შესულა ახალ როლში ძველ, მრავალჯერ დადგმულ წარმოდგენაში, აქაც იგი სწრაფად ერკვეოდა სცენურ ვითარებაში, ორისაში რეპეტიციის შემდეგ გაბედულად გამოდიოდა სცენაზე და არასოდეს დამარცხებულა.

ა. თოიძის შემოქმედებითი პოტენცია საშუაბაროდ ბოლომდე ვერ ამოსწურა თეატრმა. რეჟისორებს ხიზლავდა მისი კეთილშობილური ნატიფი გარეგნობა, ცოცხალი მშვენიერი თვალები, ქალური სინაზე, ისინი მასში ხშირად მხოლოდ ლირიკულ გმირ ქალს ხედავდნენ, უმეტესად პაეროვან, პოეტურ ქალებს ათამაშებდნენ მაშინ, როდესაც მისი შემოქმედებითი დიაპაზონის ტონალობა მნიშვნელოვნად უფრო ფართო და მაღალი იყო, ამას ამტკიცებდნენ მის მიერ დიდის ოსტატობით შესრულებული მკვეთრად სახასიათო როლები, რომლებშიაც ცხოვრებაზე დაკვირვების უნარი გამოსჭვივის.

ალ. თოიძის ცხოვრება ხელოვნებაში საინტერესოდ დაიწყო. ბავშვობიდანვე იგი ხელოვნებაში შეყვარებულ ადამიანთა წრეში იზრდებოდა.

თოიძეების სახლში იკრიბებოდნენ ცნობილი ჭარბველი მწერლები, თეატრისა და ხელოვნების მოღვაწენი... გოგონა

ს

ამდენიმე ათეული წელია რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე ნაყოფიერად მოღვაწეობს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ალექსანდრა მისეს ასული თოიძე.

ამ თეატრთან ერთად მან რთული და შემოქმედებითად საინტერესო გზა გაანვლო. როგორც შემოქმედი, მოქალაქე იგი მოწმე და მონაწილეა მისი დიდი ტრიუმფებისა და მასთან ერთად განიცდიდა ჩაყარდნებს. მაღალი პროფესიონალიზმი, დიდი ადამიანური ტაქტი და საოცარი სიყვარული სცენისადმი უკარნახებდა ემუშავა, ემრომა თუნდაც ძველი,



„ოტელი“. ოტელი — ავ. ზორაძე, დეზდემონა — ალ. თოიძე

საქართველოს
საზოგადოებრივი
მემორიალი

ეჭირა, ყოყმანობდა და ჯერ ვერ მოენახა მიზანი და აღმოჩნდა ცხოვრებაში...

1925 წელი იყო... თბილისში კინოსურათის „ძინა-ძაძუს“ გადასაღებად ჩამოვიდა რუსეთის მუხათი კინოს ცნობილი ოსტატი ი. ფელიაბუტსკი. რეჟისორი მომიბოძა ალექსანდრა თოიძის შესანიშნავმა გარეგნობამ და, რაც მთავარია, მისმა უშუალოდ და მიმზიდველობამ ფილმში სულ ახალგაზრდა ქალიშვილმა შექმნა თავისუფლებისმოყვარე მამაცი ბუნების შვილის, სვანი ქალის უაღრესად რომანტიკული სახე.

პირველმა წარმატებამ აღაფრთოვანა ახალგაზრდა მსახიობი, მაგრამ მასთან ერთად გაიზარდა მისი მომთხოვნელობაც. იგი ამ წლებში ბევრს მუშაობს, ვუფლება სამსახიობო ხელოვნების კანონებს. 1927 წელს ალ. თოიძე თბილისის კინოსტუდიაში გადაიღეს ახალგაზრდა რეჟოთეორიული ქალის მაროს როლში... ამ როლს მოჰყვა საბჭოთა დედის, სამშობლოსადმი თავდადებული ქალის სახე ფილმში „ქალაქში შესვლა არ შეიძლება“, შემდეგ კი მაცურებლებმა იგი ნახეს გრიბოედოვის მეუღლის ნინო ჭავჭავაძის როლში — „მოგზაურობა არზრუშში“ (1937 წ.). კატო — „ბაკრაში“ (1930), და ექურთა რეჟისორ ს. ფალავანდიშვილის ფილმში „ეჭურნას შიზიფი“ (1934) და სხვა...

მიუხედავად წარმატებებისა, კინომატორგრაფი მაინც არ აკმაყოფილებდა ახალგაზრდა მსახიობს. 1937 წელს ალექსანდრა თოიძე შევიდა რუსთაველის თეატრის სახელმწიფო-ტელ დასში. ასე დაიწყო მისი ცხოვრება თეატრში და სამუდამოდ უანგაროდ შეიყვარა სცენა.

როდესაც ალ. თოიძემ რუსთაველის თეატრში დაიწყო მუშაობა, თეატრი მოსკოვში წარმატებით გასტროლების შემდეგ დიდ შემოქმედებით აღმავლობას განიცდიდა, ერთმანეთს მიძევდა ისეთი სპექტაკლები, როგორც იყო „ოტელი“, „უდანაშაულო დამნაშავენი“, „თოფანი კაცი“, „ბოჯან ხმელნიცი“ და სხვ. რუსთაველის თეატრი აქტიურად იბრძოდა თანამედროვე რეპერტუარის შესაქმნელად, დიდ მუშაობას ეწეოდა დამატურგებთან, ცდილობდა გამომსარებლობა ყოველივე ახალს, აქტუალურს, ამ პერიოდის ნაწარმოებთა გიორგი მდიფინის პიესა „ალკაზარი“, რომელშიც შედგა ახალგაზრდა მსახიობის ალ. თოიძის დებიუტი, მისი ესპანელი ქალის, მარიანა სანქესის როლში.

თეატრის წამყვანმა ოსტატებმა — ნინო ჩხეიძემ, გიორგი და ნინო დავითაშვილებმა, ხორავამ, ვასაძემ დიდი როლი ითამაშეს ახალგაზრდა მსახიობის ცხოვრებაში. რჩევა-დარიცხვებით ისინი ყოველნაირად ეხმარებოდნენ და გზას უკაფადდნენ მას. მარიანა სანქესის პატარა ეპიზოდურ როლს მოჰყვა დიდი, მეტად მნიშვნელოვანი მსუშვეარი — დეზდემონა, რომელსაც ალ. თოიძის შემოქმედებით ბიოგრაფიამ განსაკუთრებული ადგილი უკავია. სპექტაკლში მისი უცვლელი პარტნიორობი იყვნენ საბჭოთა სცენის სახელმწიფოებრივი კორიფეები — ზორავა — ოტელი, ვასაძე — იაგო. სამ ათეულ წელზე მეტს თამაშობდა ალ. თოიძე ამ შესანიშნავ აქტიორულ სპექტაკლში და მასხარებულ წარმატებაც მოიპოვა.

ალ. თოიძის დიდი მუშაობა მოუხდა როლზე, რათა რენე-სანსის ეპოქის ტალიული ქალი ეჩვენებია, გადმოეცა მი-

ხარბად ითვისებდა გაგონილს, ბევრს კითხულობდა, ფიქრობდა, ხშირად საათობით, სულგაკმენდილი გავაციკვებით ადევნებდა თვალს მამის — მოსე თოიძის ფუნჯის ყოველ მოძრაობას და ხდებოდა მოწმე იმისა, როგორი საოცარის ძალით სუფთა ტილოზე იქნებოდა ცოცხალი სახეები, მშობლიური ქვეყნის პეიზაჟები... ამ ოჯახში ხატავდა ყველა — მამა, ძმები, ოთახებში ყვავილების სურნელებას ზეთის საღებავების სუნს სჭარბობდა... ალექსანდრაც გაიტაცა ხელოვნებამ, სწორედ მაშინ ეზიარა იგი მის სასწაულმოქმედ ძალას, მის მომაჯადოებელ სუნთქვას... იგი თვითონაც ხატავდა, ძურწავდა... დღესაც მის ოთახს, მამისა და ძმების შესანიშნავი ნამუშევრების გვერდით, მისი საკუთარი ეტიუდები ამ-შეივნიან...

ალექსანდრა თოიძე ბავშვობაში საშინაო წარმოდგენებშიაც მონაწილეობდა, რეჟისრობდა კიდევაც ამ წარმოდგენებს, მაგრამ რატომღაც მსახიობობაზე არ უფიქრია, ოჯახის მშობლები და მათ რიცხვში დიდი პართევილი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, დაიკნინებოდა ურჩევდნენ ნაზ და ლამაზ ქალიშვილს სცენაზე წასულიყო, მაგრამ გოგონას თავი შორს



ხი ხასიათის სიმტკიცე, შზადყოფნა ყოველთვის და ყველგან დაეცვა თავისი დიდი სიყვარული.

აღ. თოიძის დეზდემონა მოკლებული იყო ტრადიციულ სენტიმენტალობას. მსახიობმა ამ სახეს მეტყველი დეტალები მოუწანა, რათა სცენაზე განსახიერებია არა სუსტი, ნაზი არ-სება, არამედ შექმნა სახე, ხასიათი. პირველ აქტში ლირი-კული მუსიკის პანგების ფონზე იგი ვენეციის სენატრთა წი-ნაშე ჩნდებოდა, როგორც ოცნების განსახიერება. გულმართლად მიმლოდობი, კვიმამოსილი, კეთილშობილური ყოველ თავის მოძრაობაში; მისი შექმენი შავი თვალები ოტელისაკენ იყო მიპყრობილი, მთელი სხეული თითქოს უხილავის ძალით მის-კენ მიიწვედა. თოიძის — დეზდემონას ხმა სავეს იყო რწმე-ნი, მან გაბედულად გადალახა რასობრივი ჯებირი „უღალა-ტა ბუნებას“ და შეიყვარა შავი მავრი იმისთვის, რომ მასში დაინახა მშვენიერება სულისა და ჭეშმარიტი პიროვნების მა-ღალი კუმანირობა.

უპასუფრო სვედითა და წუბილით იყო სავეს დეზდემონა — თოიძის რეჩიტატივი — სიმღერა საშინელი სიკვდილის წინ, თითქოს წინათვრნობით შეპყრობილი გულდაწყვარი ეთხო-ვებოდა სიცოცხლეს და თუ ენაწებოდა ისიც მხოლოდ იმი-ტომ, რომ ოტელის უნდა დასცილებოდა...

აღ. თოიძის წარმატებამ დეზდემონას როლში მოსკოვში გასტროლების დროს, ბევრს დააწერინა ჭების სტრიქონები, მას ძველ იტალიელ ოსტატთა მიერ დახატულ ქალთა ცნობილ ტილოებს ადარებდნენ. როგორც კრიტიკოსი ვ. ზალესკი წერ-და, მსახიობმა შესძლო შექაპირის გვირი ქალის ხასიათში გადმოეცა ყოველივე ის, რისთვისაც შეუყვარდა იგი ოტელის: „ხასიათის სიმტკიცე, ინდივიდუალობა, ღირსების შერძინე-ბა“...

უფრო გვიან აღ. თოიძე შექაპირს შეხვდა კიდევ ორ კლა-სიკურ როლში — ეს იყო კორდელია — „მეფე ლირში“ და ჭერტრუდა — „ჰამლეტში“. ვერც ერთმა და ვერც მეორე სპექტაკლმა ვერ გაამართლა მასყურებლის იმედები, ცალკე-ული აქტიორული წარმატებების მიუხედავად, დიდხანს ვერ შეინარჩუნეს სცენური სიცოცხლე.

აღ. თოიძე დიდი კულტურის მქონე შემოქმედია, იგი კარგად იცნობს რუსეთისა და დასავლეთის კლასიკას, თანა-მედროვე ლიტერატურას, მხატვრობას, მუსიკას. ანალიზის თანდაყოლილი უნარი მას ხდის ინტელექტუალურ მსახიო-ბად, ხელს უწყობს ჭეშმარიტი ისტორიზმით, ცხოვრებისეული ფსიქოლოგიური სიმართლით განსახიერებს სცენაზე სხვადა-სხვა ეპოქისა და ჭვევნების წარმომადგენელ ქალთა სახეები.

მის მიერ განხორციელებულ სახეთა შორის ჩვენ ვხედავთ ფრანგ, პოლონელ, რუს, გერმანელ, ჩეხ და სხვა ეროვნებათა ქალებს, რომელთაც მსახიობი უნარჩუნებს მათთვის დამახასი-ათებელ ეროვნულ კოლორიტს, შესანიშნავად გრძობს კოს-ტუმს, გადმოგვცემს სხვადასხვა ხასიათის, ასაკისა და დროის ქალთა ინდივიდუალურ, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ თვისებებს. აღ. თოიძე ყველას მათ მხატვრის თვალთ ხედავს და შეიგრძნობს — პლასტიკაში, მეტყველების მანერაში, ტა-ნისამოსის ფერშიც კი, იგი თითქოს ძერწავს მათ.

ამ მხრივ, აღ. თოიძის ნამუშევართა შორის უთუოდ ყუ-რადღების ღირსია როქსანა როსტანის ცნობილ პიესაში —

„სირანო დე ბერვერაკი“. თოიძემ შესანიშნავად აღუქავეს აღ. თოიძის არა მარტო განსახიერებელ სახეს, არამედ შეიგრძნო მისი სულის რომანტიკული სული, მისი შთაგონებული ამაღლებულობა. მსახიობი ქალი პოეტრულად გადმოგვცემდა თავისი გმირის ქა-ლურ სინაზეს, სითბოსა და სიყვარულით თავდავიწყებას.

თოიძის როქსანა ჭეშმარიტი პატრიოტი ქალი იყო, მსა-ხიობმა ისეთი პარმონიულობით შეაზავა ეროვნული კოლორი-ტი სიმტკიცესა და ლირიკულ განწყობილებასთან, რომ მასვე-რებელთა ერთსულეოვანი მოწინებე დამისახურა... ოსტატუ-რად იყო მიგნებული და დამუშავებული როლის ყო-ველი დეტალი, განსაკუთრებით კი ლირიკულ სცენებში. როქ-სანას როლში კრიტიკოს მ. აფხაიძის სიტყვით მსახიობი მა-ყურებელს ხიბლავდა არა მარტო გარეგნული მშვენიერებით, არამედ იგი მშვენიერი იყო სულიერად, ზნეობრივად, პოეტური ქმნილება იყო, რომელიც ცხოვრებას აიდალებდა და აპოეტუ-რებდა.

აღ. თოიძე, როგორც ყოველთვის, კარგი იყო ლირიკულ სცენებში, თუმცა, იმვე რეცენზენტის სიტყვით, გრძობათა სიმძლავრე აკლდა სპექტაკლის დრამატულ სცენებში.

სახელმოხვეული სპექტაკლში „დიდი ხელმოწევა“ აღ. თოიძემ შექმნა რუსი ქალის სახე, მისი ირინა გოდუნოვა სავეს იყო სინაზით და საოცარი მიმზიდველობით. პუშკინის ტრაგედიაში — „ბორის გოდუნოვი“ კი მან ოსტატურად წარ-მოსახა ამაყი და გულზევალი, პატივმოყვარეობით აღსავეს



„ვასა ევლენოვა“. რამელი — აღ. თოიძე



მარნა მნიშვი. მარნა — თითქმის ძლიერი ნებისყოფის ქალი იყო, იგი მოხერხებულად იყენებდა სილამაზეს, რათა ამ გზით თავზე დაედგა რუსეთის დედოფლის სანუკვარი გვირგვინი. სახეზე ცივი, ცბიერი ღიმილი, დამცინავი სიკაცულე ცრუდამიბრების თან სცენაში, ყოველი ქვისის, ყოველი სიტყვის მოფიჭვებელი გამოყენება ნათლად ხატავდა ავანტიურისტს და პატივმოყვარე, სამეფო ტახტისკენ მსურავი ქალის ტემპერამენტულ სახეს.

მნიშვნელოვანი ადგილი ალ. თოიძის შემოქმედებაში უკავია ქართველი ქალთა სახეებს. ალ. სუმბათაშვილი-იუვიენის „ღალატში“ იგი დიდის მიზიდველობით ანსახიერებდა ოთარბეგის თავებზე, მაგრამ გულით წმინდა ასულის, გაიანეს ლის. ამ როლით თითქმის სხვაგვარ რიტში ამოძრავდა, გაჰქარა მისთვის ჩვეული სინაზე, სიდაბნაისლე, პაეროვნება სცენაზე ბიჭვიით დარბოდა, გულსასეულ იცინოდა ანკი, მოუცვენარი, მარდი და დაუოკებელი გოგონა. მსახიობი კარგად გაიხატა გაიანეს სიკაცულეს ცხოვრებისადმი, სამშობლოსადმი. ცნობა იმის შესახებ, რომ იგი შაჰისათვის ძღვნად უნდა მიერთებოდა, თავზარდამცემი იყო თავისუფალი, ლდი ქართველი ქალიშვილისათვის, იგი ზიზღით იმორებდა თათრულ რაღას და თავის მოკვლით ემუქრებოდა მამას. ალექსანდრა თოიძის — გაიანე ნამდვილად გარწმუნებდათ, რომ ასეთი ქალი, მართლაც ღირსეული შვილი იყო თავისი შრავალტანჯული, მაგრამ ვაჟკაციური და დუმიტრიალური ტყვენიხა — იგი მოკვდებოდა, მაგრამ არ უღალატებდა თავის რწმენასა და ღირსებას.

თავისებური სიცილე, მოსვენება შექმნიდა ალ. თოიძის ფაიზობის როლშიც (დ. ერისთავის — „სამშობლო“) თოიძის — შაჰის ასული, ეს პატარა დესპოტი, გაცოცხლებულ სპარსულ მინიატურას მოგავიწყებდათ, მას ქვიზდა რაღაც ავადმყოფური სინაზე, ფერმართალი, პარანახანში უზსოვად, უკაროდ გაშლილი ყვავილისა, რომელიც თითქმის გრძნობდა, რომ ხანმოკლე იყო მისი სიცოცხლე და გულუბრყვილო ჭირველობით ერთობოდა.

როდესაც ალ. თოიძის ეკითხებით, რომელია მისი ყველაზე საყვარელი სცენური სახე, იგი ღიმილით, მოკრძალებით პასუხობს — ეკატერინე ჭავჭავაძე, — დიანაც, მ. შრეველიშვილის „ბარათაშვილი“ ალ. ჭავჭავაძის მშვენიერი ასულის „ეკატერინე“ სახე მსახიობმა მეგობრის პოეტის სიცხოველით წარმოვიდგინა. თვით როლის ტექსტი ძალზე ძუნწია, ამიტომაც მსახიობმა ბევრი რამ საკუთარი ჩაასწავა მასში, შეისისხლბორცა და გაათბო საკუთარი გრძნობებითა და გულის მხრედაღლებით.

ალ. თოიძის ამ სცენურ ქმნილებაშიც ჭარბად იგრძნობა მისთვის დამახასიათებელი სინაზე, კდემამოსილება და რომანტიკულობა. მსახიობი კატინა ჭავჭავაძეში ხედავდა არა სამეფოების მომავალ დედოფალს, არამედ ქართველ ინტელიგენტ ქალს, რომელმაც ერთ-ერთმა პირველთაგანმა შეიწინა ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდი ნიჭი, საუბრამოდ უძღვნა მას თავისი ქალური ოცნება და გულიც. თითქმის — ეკატერინე მართლაც „ციხიერი“ იყო, ეჭვარდით, რომ ასეთი ქალისათვის პოეტს შეეძლო თავისი მგზნებარე პოეზიის საუკეთესო სტრიქონებით ძღვნა.

სექტაკლის კულმინაციას წარმოადგენდა ეკატერინე და ტატოს განმორების უსიტყვო სცენა ბაღში. თვალტყურობანი, ფერმართალი, გედითი ნარნარი ნელ-ნელა ადიდდა კატინათივით მაღალი კიბის საფეხურებზე, პოეტის დაივინებით მზერად თითქოს ძალას აცლიდა მას და თლილი თითებიდან წყნარად, სვედიანად ცვიოდნენ განმორების თიავისთვის ყვავილები... ასე იკარგებოდა, ქრებოდა ცელქი, სიციცხლით სავსე ბედნიერი კატინა, და ტატოსთან ახალ შეხვედრისას ბოლო სურათში, თავარმართების მეჯლისზე ჩვეს წინაშე სულ სხვა, უსომოდ მწუხრად, აფორიაზებული, მაგრამ ცივი, თავმეკავებული მანდილოსანი იდგა — ბრწყინვალე თავად დადიანის ღირსეული შვილად.

ა. თოიძის შესანიშნავმა თამაშმა ამ როლში ბ. ფენტის მაღალი შეფასება დაიმსახურა, მისი აზრით, „ეს სახე მსახიობის მთელი შემოქმედებით ბიოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანი მონაპოვარია“.

ფენტი ღირსეული, პოეტური სახე შექმნა ალ. თოიძემ, მათ შორის მაცურებელთა მაღალი შეფასება დაიმსახურა თვით — „გოროგი სააკაძეში“, ქეთევან დედოფალმა („ქეთევან დედოფალი“, ანა ერისთავმა („არაგველი“) და სხვ.

ალ. თოიძე ფართო დაიპაზონის მსახიობია. მის ერთნიარად ისტატურად აქვს მომარჯვებული მსატრის ფუნჯი როგორც აკტარისის, ისე ზეთის საღებავებისათვის. იგი მშვენიერად იძლევა ფერების ოდნე შესამწნე ნიუანსებს, ფაქის, მკრალად გამამს ფსიქოლოგიური განცდებისას, მაგრამ ამასთან, მისი ნიჭი არაბაკლებ მძლეოდ ფლობს ბორჯისევე იუმორით, კომიზონით სავსე და ხშირად სატირულ სახეებს. აქ იგი მას არ ენებება კონტრასტული, მსუყე ფერები, თამაშის მანერაც ევკლება და თქვენს წინაშე თითქოს სულ სხვა შემოქმედი, სულ სხვა მსახიობი წარმოადგება. ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთად და იგივე მსახიობი ქმნის ნახ, პოეტურ დესდემონას და სულიერად გამოფიტულ, ცინიკოს ბუტყვიჩს, აღმაფრენით აღსავსე როქსანას და მდამობ, ჰეკუმოკლე ვარვარა კარპოვნას, „სახიერებით განსხვავებულ“ ეკატერინეს და ბორჯე ვივისტ პოლინა ბონაპარტეს...

ახალ სახეებს ახალი ხერხები მოაქვს, მსახიობი სახასიათოდ, კომედიურ როლებში სრულად გარდაისახება და მოულოდნელი აქტირებით თვისებებით წარმოვიდგებება. მსახიობი-მოქალაქის მამულიერული ფუნჯით ხატავს ალ. თოიძე ევა ბრანუნის („დიდი მომავლისათვის“), ქალბატონ ბუტყვიჩის („დავუწყარი 1919 წელი“), პოლინა ბონაპარტის („პატივი“), ვარვარა კარპოვნას („უცხოი ავი ძალილი“), სოიკას („ლოსოფიის დოქტორი“) და სხვა მრავალ სახეს.

ალ. თოიძე ევა ბრანუნს წარმოვიდგენს როგორც ავანტიურისტსა და ეკატერინე ქალს. პიტლერის საყვარელი ალ. თოიძის შესრულებით ნენტიმენტალურიცაა და მტაცებელიც. პიტლერი ახალი თავდასხმის გვეგვის ადგენს, მის გვერდით სავარძელში მჯდომი ევა ბრანუნი ფრჩხილებს იპირალებს და თან გერმანულ მარშს ეღობინებს... ის ისე მედიდურად ზის სავარძელში თითქოს პიტლერის მტაცებელი გვეგვი უკვე განმორცილებული იყოს.

თოიძე ძლიერად თამაშობდა ფინალურ სცენას — ირგვლივ ყველაფერი დაიწვრა, მან პიტლერთან ჯვარი დაიწვრა. აქ ვეას ერთგვარი სენტიმენტალიზმია ხაზგასმული. და აი, მასთან ერთად მიდის სასიკვდილოდ, სახეს ნერვიული კანკალი უმაჩქავს, იგი მზადაა ისტერიაში გადავარდეს, რადგან სიკვდილისა ეშინია, მაგრამ უკანდასახვევი გზა აღარ დარჩენილა და ეს საშინელი წყვილი, როგორც სიხშირის ზმანება ბნელი, ბეტონის კარს იქით სამუდამოდ იკარგება...

განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა ალ. თოიძე უცხოეთის დაზვერვის აგენტის ქალბატონ ბუტკევიჩის როლში. რევოლუციამ არტილერიის პოლკოვნიკის ბუტკევიჩის მეუღლეს ფებქვეშ ნიადაგი გამოაცალა... იგი საბჭოთა ხელი-სუფლების სიძულვილის გამო ლოთობასა და გარყვნილებასთან ერთად ვაჭრობს ახალ-ახალი ცნობებით. თოიძის — ბუტკევიჩი ცხოვრების დინებას თვექვე გაჰყვა, მისი ექსტრავაგანტური მანერები, ცივი, ცარიელი თვალები არაფერს გამოხატავენ გარდა ზიზღისა და სიძულვილისა. განსაკუთრებით ძლიერად მსახიობი უცხოელ ჯამუშთან ვაჭრობის სცენას ატარებდა, ნახევრადმთვრალი, გაბრუნებული ჭადარაჭეპარული ბუტკევიჩი ალკოჰოლისაგან დაბოხებული ხმით ცინიკურად ვაჭრობდა ყველაფრით, სამშობლოთი დაწყებულ დამთავრებული პატიოსნებით.

ქალბატონ ბუტკევიჩის როლში ალ. თოიძემ თავი გამოამჟღავნა როგორც კარგმა სახასიათო მსახიობმა და ეს თვისება კვლავ გამოვლინდა სპექტაკლში „პაიტი“, რომელშიაც მსახიობი ნაპოლეონის დის, გენერალ ლეკლერის მეუღლის პოლინა ბონაპარტეს როლს ასრულებდა.

მისი პოლინა თავისი მანერებით, მიხრა-მოხრით მდაბიო ქალია, რომელიც ცდილობს თავი არისტოკრატად მოგაჩვენოთ. მაყურებლის მესხიერებაში ღრმად დარჩა ჭკვიანი, ფინიანი, უფლებისმოყვარე, პოლინა — თოიძის სახე, ამ პარიზელი კვლეუცი ქალის ისტერიული ფრაზები, ფუქსავატური, უშინაარსო ბუნების გამომხატველი მიხრა-მოხრა, არისტოკრატისა და მრეცხავი დედაკაცის მანერების შეხამება.

შთამბეჭდავი, სოციალურად გააზრებული იყო ქალბატონ სოიკის სახე „ფილოსოფიის დოქტორში“, რომელიც დამდგმელმა მ. თუმანიშვილმა გახსნა როგორც ბუფონური, სატირიკული სპექტაკლი. მსახიობი თამაშობდა ღარიბ ქალს, რომელიც სულ ფულის შოვნის ფიქრშია, მდიდრული ცხოვრების ოცნებაში, მაგრამ ევროპაში ფულის შოვნა ძნელია, უფულოდ კი აბა რა ფასი აქვს ადამიანს!..

ა. თოიძე შეერწყა სპექტაკლის ანსამბლს, მკვეთრად შეიგრძნო რეჟისორის ჩანაფიქრი.

მილიონერის სახლში სოიკა — თოიძე მოცეკვავის სიარულით შემოვარდებოდა ხოლმე, შურის თვალთ, ხარბად ათვალეერებდა ყველაფერს, რაც ფუფუნებასა და განცხრომასე მტყველებს. მსახიობი თითქმის გროტესკულად თამაშობდა, ამუქებდა ფერებს, ბერწყავდა უღიერი, მოზერხებელი საქმოსანი ქალის სახეს.

ვარჯიშ კარპოვნას როლში ალ. თოიძემ გამოამჟღავნა არა მარტო სატირული სახის შექმნის ოსტატობა, არამედ როლის გარკვეული დამუშავების შესანიშნავი უნარიც.

„სამშობლო“. ფიპო-შეალ. თოიძე



„დაუვეწარი 1919 წელი“ ბუტკევიჩი — ალ. თოიძე





მსახიობმა ვარვარა კარაოვანა შესანიშნავი გრიმი გამოუ-
ნახა, შავად შედებილი, უცნაურად დავარცხნილი თმე-
ში, უვემოვნი, მყვირალა ტანისამოსი, ამას თან ერთოფ-
და იაფფასიანი მანერულბა (ამზეცილი ნეკი), მუდამ ამ-
რეზილი უკმაყოფილო მზურა, ქლესაობა, ჭორიკანობა — ყვე-
ლაფერი ეს ამ სახეს თავისებურ ელფერს აძლევდა, მეტად
კოლორიტულს ხდიდა. და როგორ არ გავდა ამ ქალს ფრანგი
მსახიობი ქალბატონი ფონტინი რუსთაველის თეატრის ცნო-
ბილ წარმოდგენაში „ქალიშვილი აფიონიდან“.

მსახიობი ამ როლს თამაშობდა ფრანგული სიმსუბუქით,
სინარჩართო, იგი ყველას ხიბლავდა თავისი ღიმილით, თავი-
სუფალი მანერებით, კომუნიკაბით, განსაკუთრებით კი სიმ-
ლერის დროს, როდესაც კაფემი აღფრთოვანებულ თავყვანის-
მცემელთა წინაშე ასრულებდა თავის ცოცხალ და გონებაშახ-
ვილურ სიმღერას.

მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა ალ. თოიძის
მიერ კვიტის როლის შესრულებამ გოლდისმიტის კომედიაში
„შედომათა ღამე“.

მიუხედავად იმისა, რომ ეს როლი მთავარი არ იყო პი-
ესაში, ალ. თოიძე არაჩვეულებრივი გრაციით თამაშობდა
ცელქ და ცოცხალ ინგლისელ გოგონას. ყოველი მისი ფესტი,
ყოველი მოძრაობა მსახიობის ნიჭსა და აქტიორულ შესაძ-
ლებლობას ამბავდებდა. მსახიობმა კვიტის როლს მოუნახა
საკუთარი დიქცია, პლასტიკა. მისი კვიტი — ჭკვიანი, თავენ-
ბა მტკიცე ხასიათის ქალიშვილი იყო, რომელიც თამაშად იბ-
რძობდა ბედნიერებისათვის და აკი, კიდევაც მწვერივად გადა-
დიოდა მსახიობი ერთი მდგომარეობიდან მეორეში — ხან
პრანკია ქალბატონი იყო, ხან კი ცოცხალი, ცქცქტი, ირონიუ-
ლი მისამსახურე. კვიტის როლის შესრულებამ ისეთი დიდი
შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მან უამრავი წერილი მიიღო
მაყურებლისგან. აი ერთ-ერთი მათგანი:

„ჩვენ წუხელის ნამდვილი სპექტაკლი ენახეთ, რომელიც
აღსაესე იყო ფრანგული ოპტიმიზმით და ინგლისური გონება-
შახილობით. ვფიქრობ, „ერთი ღამის შედგომით“ იწყება
თქვენი აქტიორული შემოქმედების უფრო აღმავალაი პერიო-
დი. გისურვებთ, რომ კიდევ ბევრი ასეთი „შედგომა დაგეშ-
ვათ თქვენ და თქვენს კოლეგებს“...

ორმოცზე მეტი სცენარი სახე შექმნა ალ. თოიძემ. მათ
შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩვენს თანამედროვე
ქალბს — დრამატურგიული მასალის მეტაკლები ვარჯისა-
ნობის მიუხედავად, მსახიობმა წარმატებით დავებიანა მსა-
ხიობი ქალის შეზღუდვისა სახე „მესტაკურებში“, ციციანი
(„ხალხი აღსდგა“), რუსუდანი („რვალი“), თინია ხიმიაკ-
რი („ერთხელ დახოცილებს“) და სხვა.

მალაი შეფასება დაიმსახურა ალ. თოიძის მიერ რამულის
როლის შესრულებამ გოგონის პიესაში „ვასა ელენიკი“. ალ.
თოიძემ შექმნა ძლიერი ნებისყოფის ჭკვიანი პროფესიონალი
რევოლუციონერი ქალის სახე, ეს იყო ჭკამარიატი ანტიპოლი,
მესაკუთრე, ხარბი მტაცებლის — ვასა ელენიკისასი. თანა-
მედროვეობის ამსახველ სპექტაკლებში მსახიობი ურადლებას
იქცევდა სახეების სწორი გააზრებით, სცენაზე აცოცხლებდა
საბჭოთა ქალს, მთელი მისი ადამიანური და კეთილშობილუ-
რი თვისებებით.

ალ. თოიძის უკანასკნელი ნამუშევრებიდან განსაკუთრ-
ებით უნდა აღვნიშნოთ დედა — ზლაკეისი ექვთიმე მჭედ-
ზე სურვილი“. ამ სპექტაკლში ალ. თოიძე გატაცებით თამა-
შობს ასაკალბრდებთან ერთად და ქმნის მკაფიო ინდივიდუ-
ალური თვისებების მჭრე ქალის სახეს, რომელიც იცის თავ-
ვისი ფასი, უყვარს ოჯახი, ცრემლნარკვი ღიმილით იგონებს
ასაკალბრდობას. მსახიობის მსუბუქი იუმორი შექცეს ამ სა-
ხეში, იგი ადამიანურად და თბილი.

უაღრესად საინტერესო წიგნებით ვფურცლავთ ალ. თო-
იძის შემოქმედებით ბიოგრაფიას, ჩვენს თვალწინ ქალთა სა-
ხეების მთელი გალერეაა, ყოველი მათგანი ცალკე ადამიანს
წარმოადგენს, ინდივიდუალურსა და განუმეორებელს ისევე,
როგორც ცხოვრებაში. მაგრამ ვინ იცის რამდენი შრომა, ენერ-
გია, რამდენი უძილო ღამე იყო საჭირო იმისათვის, რომ მსა-
ხიობი გარდასასულიყო თავის გმირებში.

ცნობილი ჩემი მწერალი ბ. მაიურავა აღნიშნავდა, რომ
მწერლობა ცოდნაა, ცოდნა კი სხვა თვისებათა შორის ადა-
მიანს უშესტეს შთაბეჭდილებათა უსაზღვრო მრავალფეროვნე-
ბას. შენობით მაგონდება მწერალი ქალის სიტყვები,
რადგანაც ალ. თოიძისთვის ცოდნა, კულტურა საჭიროა იმი-
სათვის, რათა სცენაზე მრავალჯერ და დამაჯერებლად იცხოვ-
როს სხვადასხვა ადამიანების მრავალფეროვანი ცხოვრებით.
მსახიობისათვის უცხობა ყაბობი მანერულიანია, საკუთარი
თავით ტვობობა, მისი ფანტაზია მდიდარია და სადა ეს კი,
კ. ს. სტანისლავსკის სიტყვით, „ყველაზე ძნელია“ მსახიო-
ბისათვის.

ალ. თოიძე შესანიშნავი პარტიზონარია და ამხანაგი, იგი
არასდროს არ თამაშობს თავისთვის, განცალკევებით. მთე-
ლის არსებით გრძნობს სპექტაკლის ანსამბლს, გაზომილი
ქართული რეჟისორებთან მუშაობაში, მას ბევრი რამ შესძინა.

ალ. თოიძის ყველაფერი აინტერესებს სპექტაკლში —
დეკორაცია, კოსტუმები, ესკიზები. თავის მდიდარ გამოცდი-
ლებას იგი სიამოვნებით უზიარებს ახალგაზრდობას და ბევრ
სასარგებლო რჩევას აძლევს მათ. თავისი პროფესიისადმი, შე-
მოქმედებით შრომისადმი თავდადებულ სიყვარულს უნერგავს.
დღეს ალ. თოიძე თეატრში აღარ მუშაობს, მაგრამ იგი
მიანიც საესავა ამ თეატრის შემოქმედებით ინტერესებით,
გულდასმით ადევნებს თვალს ყოველ ახალ წარმოდგენას, ეს-
წერება რეპეტიციებს. გატაცებულია მხატვრული კითხვით, სა-
ინტერესოდ აქვს შედგენილი მონოლოგების საღამო, რომელიც
მსმენელთა მალაღ შეფასებას იმსახურებს...

ბოლო წლებში ალ. თოიძემ, კვლავ რამდენიმე საინტე-
რესო სახე შექმნა კინოფილმებში „ჭრიჭინა“ და „დღე პირ-
ველი, დღე უკანასკნელი“.

ალ. თოიძე ქართული კლასიკური ხელოვნების რვალის-
ტურ ტრადიციულ აღზრდილი ხელოვანია. იგი ყოველთვის
მიისწრაფვოდა ცხოვრების სიმართლით ასახვისაკენ. მისი შე-
მოქმედებისათვის შესატყვისია დიდი რუსი მხატვრის ი. რე-
პინის სიტყვები — „სიღამაზე გვიოწმების საქმეა, ჩემთვის
იგი სიზარბოვანაა“. სიზარბოვ. ბუნებრივობა და გულწრფე-
ლობა ყოველთვის თან სდევს რესპუბლიკის სახალხო არტის-
ტის ალ. თოიძის მიერ შექმნილ მხატვრულ სახეებს და ამი-
ტომაცაა, რომ მაყურებელმა, ხალხმა გულით შეიყვარა იგი.

კადრები
კინორეჟისორი
„სვანეთი“

საქართველო
სინამდვილეში



ა ი, ს ვ ა ნ ე თ ი!

პლატონ დადანი

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,

ვალერიან საღლიანი



ქ

ონტრასტები, ფერების სი-
უხვე... ყანები, სათიბები,
თოვლი... ისევ მინდვრებუ,
ალპური საძოვრები, შავი ტყე, კვლავ
თოვლი და მწვერვალები. ყინული,
ყვაილები, მთებზე ლევა ღრუბლე-
ბი... კლდიდან ბროლის ნამსხვრევი-
ვით ცვივა რძისფერი ჩანჩქერი. და-
ბლა თავაწყვეტილი ენგური ბო-
რავს, ღმუის, ქედს აბრევიანებენ, ფო-

ლადის არტახებით ბოჭავენ. ის კი
გულმოსული ჯავრობს. ლალუმით
დამსხვრეულ კლდეებს ზემძლავრი
ბულდოზერები და ექსკავატორები
შეჭიდებიან. ცად აზიდულა თოვლი-
ანი მწვერვალები. ხედავ უშპას,
შხარას, სადაც იბადება ენგურა.
მთის ბილიკს ხელთოფიანი მონა-
ღიეები მიჰყვებიან. იალაღზე მწვა-
ნე ბალახს ნებივრად ძოვს კოლ-
მეურნეობის ნახირი.

თვალწინ ცოცხლდება გარდასულ
საუკუნეთა რომანტიკაც. ზეგმა ჩაი-
ტანა მირანგულა. თავდადებულად
იცავენ თავს არქაულ კოშკებში შე-
ხიზნული სვანები. სათოფურებიდან
დენთის კვამლი გამოდის და ტყვია
ზეზუნებს. მღერიან სიმღერას მამაც
„უკვდავ-უბერებელ“ ყანსაც ყიფიან-
ზე...

მერე ისევ დღევანდლობა. თვით-
მფრინავი, ავტობუსი. მსუბუქი ტაქ-
სები. ახალი საცხოვრებელი სახლე-

ბი. ეზოში ყვაილები, ბეჭეები.
ქრიაშული. სკოლა. ალპიურ საძოვ-
რებს შესეული მთიბაგები. ცეცების
ლაპლაპი და სალესების ხმა. მარმა-
რილოს ლოდებთან ჭიდილი. ბეთქა-
ლის ნაბილიკარზე ფართო შარა გაჰ-
ყავთ... და უხვი ფერებით მოჯადოე-
ბულს უნებურად აღმოგზებდა:

— აი, სვანეთი!

დამაჯერებლად, მართლად, ხატო-
ვნად ისახება ეკრანზე ძველი და ახა-
ლი სვანეთი.

ახალი ქართული ქრონიკალურ-
დოკუმენტური ფილმი „სვანეთი“
ამაღლევენლად მოგვითხრობს სვანე-
თის წარსულზე, მთასავით უტეხი
ადამიანების ბრძოლასა და შრომაზე,
მამაცობასა და გმირობაზე, სიმღერა-
ზე, პოეზიაზე, მამაც მთაშველებე-
ზე, დაბრკოლებებთან, სტიქიასთან
ბრძოლაში დაბრძენებულ ადამიანთა
მაღალ ზნეობასა და ინტელექტზე.
შესქტერით ცად აზიდულ მწვერ-



ვალთა კალთებზე გასულ ქალებსა და მამაკაცებს, თამარ დედოფლის საფერხულოს რომ მღერიათ და თავი ზღაპარში გგონიათ, თუმცა ეს ყველაფერი ხილული სინამდვილეა.

გვესმის სვანური ზარი და ჭრუანტელი გვივლის ტანში: მაყურებლის ხსოვნაში ცოცხლდება ტიან-შანის ტრაგედია, — მყინვართა ტყვეობაში რომ დარჩა კავკასიონის არწივი ილია გაბლიანი. მაგრამ აი, იცვლება სურათი. სვან ალბინისტებს წინ მიუძღვით ილიას შვილი. უფროსი თაობის ალბინისტები თითქოს ესტაფეტას გადასცემენ ნორჩ ალბინისტს, რომლის ძარღვებში მამის სისხლი ჩქეფს.

„სვანეთი“ სიყვარულით შექმნილი ფილმი. აქ ვერ ნახავთ ვერც ერთ ყალბსა და პათეტიკურ დეტალს. ფილმი დოკუმენტურია, მაგრამ მას აქვს მხატვრულის თანაბარი

ღირსება. რად ღირს მარტო ის ეპიზოდი, რაც უშეგულელთა თავდაცვას მოგვიხსნობს სვანთა ძნელბედობის ფაქსი გზები შეკრეს, ვაჟკაცები კოშკებში მავრდებიან, იქმნება ბრძოლის ილუზია და დარბაზს ეფინება დიქტორის (ეროსი მანჯგალაძე) მჭუხარე ხმა — კითხულობს სცენარისა და სადიქტორო ტექსტის ავტორის ა. გელოვანის ბალადის ნაწყვეტს:

ხალდე, ზემო საყვარელო, საოცნებო, წმინდა მიწა, შენც ხომ გახსოვს, რა დრო იყო, ვინ მავარს და ვინ დამივარს — ხალდე, ზემო საოცარო, საოცნებო, წმინდა მიწა!

ეს ფილმი გვიჩვენებს, რომ სიმღერის, ლექსისა და პროზის მხოლოდ მონაცვლეობა ქმნის მრავალფეროვნებას, რაც მაყურებელს არა მარტო უადვილებს ფილმის აღქმას, არამედ აჩვენებს და სასიამოვნო

შთაბეჭდილებას უქმნის „სვანეთის“ ტექსტში ჩართული უცნაური მხატვრული ანისა და აკაკი გელოვანის ლექსები აძლიერებენ ფილმის მხატვრულ ელერადობას.

„სვანეთი“ გვიჩვენებს, რომ მცირე მოცულობის ფილმში შეიძლება ბევრი რამ ითქვას, თუ ის გაკეთებულია მკოდნე, დაინტერესებული, ნიჭიერი კოლექტივის მიერ.

კინოსცენარის ავტორმა აკაკი გელოვანმა, რეჟისორმა ვლადიმერ ვალიშვილმა, ოპერატორმა ბორის კრეშმა, სურათის დირექტორმა ვარლამ მარგიაშმა ამ პატარა ფილმში შესძლეს აესახათ სვანეთის მძიმე წარსულისა და მჩქეფარე თანამედროვეობის თითქმის ყველა მხარე.

ფილმი სვანეთის რაიონის ყველა მშრომელმა ნახა და ყველგან გულთბილად მიიღეს. დასაზნაო მხოლოდ, რომ იგი მცირე მოცულობისაა.

ფიქრები მოსაგზარებელ საქმეზე

(გ. მარუაშვილის სატირული კომედიის „საქმეზე აქიშეთურის“ დადგმის გამო)

გულნარა ქუთათელაძე



ანამედროვეობის თემაზე მრავალი პიესა დაწერილა, მათ შორის ახლებური ჩანაფიქრით გა-მოირჩევა გივი მარუაშვილის სატირული კომე-დია „საქმენი აქიშეთური“, რომელიც დადგა აკ. წე-რეთლის სახ. ქუთათურის სახელმწიფო თეატრმა.

რით არის მისიწინელოვანი გ. მარუაშვილის პიესა? უდავოდ თავისი მიზანსწრაფით და ამ მიზანსწრაფვის განხორციელებისათვის მხატვრული ხერხების მოძებნით. ავტორს გაბედულად გადმოაქვს სამსჯავროზე ჩვენი სა-ზოგადოების ზოგი მანკიერი მხარე: ეგოიზმი, მისწრაფება პირადი კეთილდღეობისაკენ და მისი ლოკალური შე-

დეგი: სახელმწიფოებრივი დანაშაული — ხალხის მო-ტყუება.

მკაცრი მხილება და სასტიკი განსჯა მანკიერი მოვლენებისა, რომლებსაც არ უნდა ჰქონდეთ ადგილი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რწმუნა ხეაღიწველი დღისა — აი, ამ საინტერესო პიესის იდეური ჩანაფიქრი, დე-დააზრი.

თავისთავად პიესა, მიუხედავად იმისა, რომ შინაგან ეფექტებზე არ არის აკებული, ძალზე სცენიურია, საინ-ტერესოა კომიური სიტუაციებით, გამართული სხარტი დიალოგებით. სცენაზე ცოცხლოვნი, აზროვნებენ, მოქმე-

დებენ ჩვენთვის ყველასათვის ნაცნობი ადამიანები. ზეგრო მთავანი ყოველდღიურად გვხვდება და ალბათ, აღწერილობასაც გამოვხატავთ მათი საქციელის გამო, მაგრამ გულახდილად რომ ვთქვათ, ეს აღწერება მთელი ხმით როდია გამოთქმული. პიესაში კი ეს პროტესტი მძაფრია და ხმაშაღალი, თუმცა ჩვენს ნაცნობთაგან არცერთი გვარი არ არის დასახელებული, ავტორი თითქმის ზუსტად აჩვენებს მათ მისამართს... დიახ, უსათუოდ ასეთი ზემოქმედებით არის ძლიერი პიესა „საქმენი აჭიმეთური“, რომელიც გაიძულეს ახლებური თვლით გადახედო ცნობილ ფაქტებს.

სატირა უპირველესად მიმართულია პიესის მთავარი გმირის, ერთ-ერთი „მნიშვნელოვანი“ დაწესებულების — „ლუდინკალტრესტის“ მმართველის იაკინთე კრეკაძის წინააღმდეგ, მაყურებელი მას იმ დროს ეცნობა, როცა იგი ძალზე შეშფოთებულია, თითქმის დაღუპვის პირას არის მისული. ტრესტში რევიზია და რევიზორი „ჩვეულებრივს არა პგავს“.

მართლაც და მდგომარეობა მძაფრია და კრიტიკული, მაგრამ იაკინთე — „ძველი“ კაცია, მან იცის როგორ დაუტყრეს მახეს და წონასწორობას არც კარგავს.

აი, ამგვარ სიტუაციაში ვეცნობით „საქმიან“ მმართველსა და მის პატივცემულ მუღულეს, მათ ერთადერთ გადაწყვეტულ ქალიშვილსა და... „ლუდინკალტრესტის“ იურიდიულ კონსულტანტებს, საქმიან უსაქმურებს ბუჭუჭის, ბუჭუჭისა და ჭუჭუას, რომლებიც ამ მომენტში სპეციალისტადამიხედვით როდი არიან დაკავებულნი. ეს უწყვილები გამოყდილი კაცის მარჯვთით „უცხვირპირო რევიზორის“ მოლოდინში დასტრიალებენ სუფრას. (ისინი ტრესტის მმართველის ნებართვით სამსახურში არ გამოცხადებულან.) იაკინთეს სახლში დაბრუნება ანარეგს ყოველგვარ გეგმას — რევიზორი არ მოდის სტუმრად. მუხი დაცვა სამ კონსულტანტს და იაკინთეს ოჯახს. შემდეგ მაყურებელი ხედავს მათი ნიჭის მოქნილობას — სიტუაციის შესაფერისად ალღოს ალბის უნარს. ეს სამი ახალგაზრდა როდი ჩამორჩება თავიანთ შეფს, მათაც უპირველესად საკუთარი ტყავის გადარჩენა ადარდებთ და ამიტომაც „საქციელს დრო და ეამის შესაფერად“ შეუწყობენ.

იაკინთე კი... ვანა ერთხელ და ორჯერ გადაურჩენია თავი? გამოყოფილი მდგომარეობა მისი წროთობის კაცისათვის არ არსებობს და აი, ამგვრად იბოვა გამოსავალი აქ არ შეუღლებით პიესის შინაარსის გადმოცემას, არც იმას ვიტყვით, როგორ მოუვიდა მთავარ პერსონაჟს თავში ეს „გენიალური“ მხსნელი აზრი: შორს ცოდვებისა და უპირველესად ეჭვიანი რევიზორებისაგან, საჭიროა სოფელში წასვლა.

და, აი, იწყება იაკინთეს ახალი მოღვაწეობა და იშლება ახალი ასპარეზი, პატარა აჭიმეთის საქმეთა საქვეყნოდ სახელგანთქმა, ახლად მოსული თავმჯდომარისა და მისი ხელქვეითის, ფერმის გამგის, გაიძვერა სევასტის მიერ ფულის საშოვნელად ხლართების დაგება.

პიესის ავტორი
ერნესტო ვიეი
მარტინელი



ჭიათურის თეატრალური კოლექტივის ღირსებად უნდა ჩათვალოს, რომ მათ მახვილგონიერული სპექტაკლის შექმნით ძალზე სასარგებლო და საჭირო საქმე გააკეთეს. სპექტაკლი იგრძნობა ერთ ანსამბლად შერეული შემოქმედებითი კოლექტივის საკუთარი ხელწერა.

რეისორმა გ. სეისიკერაძემ სწორად გახსნა ავტორის ჩანაფიქრი. ავტორისეული ხასიათები ცხოვრობენ მაყურებელთა თვალწინ. სანაქებოა ის ზომიერება, რაც რეისორმა დაიცვა, რადგან იყო საფრთხე გროტესკიად უგემოვნო შარგად გადაქცევისა.

სპექტაკლი დიდად გაამდიდრა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მხატვარ მიხეილ აბუჯანაძის ლაკონურმა, გამომსახველმა და, შეიძლება ითქვას, რამდენად-

სცენა ჭიათურის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლიდან „საქმენი აჭიმეთური“. იაკინთე—მ. ვაშაძე (მარჯვნივ). სევასტ—გ. ტყალაძე



მე სიმბოლურმა გაფორმებამ, რამაც შექმნა სპექტაკლის აღქმის მძაფრად სატირული და ამავე დროს ნათელი ფორმი (ემოციონარობის თვალსაზრისით ძალზე აქტიურია მეორე ფარდა).

საჭიროა განსაკუთრებით აღინიშნოს რესპუბლიკის სახალხო არტისტის გ. ტყაბლაძის (ფერმის ვამეყ სევასტი) და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მ. ვაშაძის (იკინთე კრეჭაძე) შთაგონებული თამაში. ორივე შესანიშნავმა მსახიობმა მონახა სწორი, საჭირო ტონი და, რაც გაცილებით მნიშვნელოვანია, მათმა შეწყობილმა თამაშმა განაპირობა იკინთესა და სევასტის — ამ ორი წამგლეჯის პრინციპის „ხელი ხელს ბანს“ წინა პლანზე წამოწევა. რთული როლია ზარმაცისა და ფანტაზიორის, ვაი-პოეტის თარინესი, რომელსაც წარმატებით ასრულებს გ. მოდებაძე. დასამახსოვრებელი სახეები შექმნის სპექტაკლის დანარჩენმა მონაწილეებმა გ. სვანელმა (ვასალი), ნ. ჩაჩანიძემ (ბაქუჯი), თ. ზაზაშვილმა (ბუქუჯი), შ. ჩიკვილაძემ (კუქუა) და სხვა.

მაგრამ სად არის ბიესაში უანსალი, ძლიერი ადამიანები? ასეთებიც არიან ბიესაში: რაიკომის მდივანი ცხომელიძე, (მსახიობი ა. ბარათაშვილი), ბევრი რამის მწახველი, კეთილი მოხუცი მიხაკო (მსახიობი გ. წულუკიძე), შრომისმოყვარე, მაგრამ ცხოვრებისეული მოვლენების თავისებურად გამგები კოლმეურნე კოწია (მსახიობი ნ. ქამუშაძე).

ამ სპექტაკლის ირგვლივ ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნებულ რეცენზიებში აღნიშნული იყო ორი დადებითი გმირის — რაიკომის მდივნის ცხომელიძისა და აქიმეთის საკოლმეურნეთ პარტორგანიზაციის მდივნის სიმონის ერთგვარ სქემატურ შესრულებაზე. ეს რამდენადმე მარ-

თალია რაიკომის მდივნის მიმართ, მაგრამ, სამიოქმუნუ ჰარკთხაზია ჩაფიქრებულია თუ არა იგი საერთოდ ავტორის მიერ როგორც დადებითი პიროვნება? ვფიქრობთ, არა! სიმონი ახალგაზრდაა, შრომისმოყვარე, მაგრამ, როგორც ჩანს, გამოუცდელი. მას უნდა, რომ შეუთამაშალებს აჩვენოს სიერი, მაგრამ ამავე დროს მისთვის შიშიც არ არის უცხო: „ვაი, თუ არაფერი გამოვიდეს“. უფრო მეტად იგი ელოდება რას იტყვიან ხელმძღვანელი მუშაკები, რაიკომის მდივანი. ამ წინააღმდეგობამ განაპირობა მისი შეცდომები და ხალხისგან ჩამოშორება.

დაიხ, ბიესაში, სპექტაკლში არ არის მთლიანი, დასრულებული სახე დადებითი გმირისა. მაგრამ... ასეთი დადებითი გმირი მაინც არის — ეს გახლავთ სიცილი! დარბაზში სიცილი არ წყდება. და იგი უმიზნო როდია, დამცინავი, გამკიცხავი სიცილია, რომელიც ხელ მოქმედებად გადაიქცევა. ვფიქრობთ, ამაშია სპექტაკლის უანსალი ემოციური ზემოქმედების მთელი საიდუმლო. შექმნილია ისეთი გარემო, რომ გრძნობთ — აქ არ შეიძლება იხაროს უარყოფითმა მოვლენამ, თუ მოვლენებმა, და იგი აუცილებლობით მოიკვეთება. აი, სად ამართლებს თავის თავს სატირული კომედია. სპექტაკლმა გაამართლა. მისი დამთავრების შემდეგ მასურებული უკვე ქუჩაში იხსენებდა ნაცობებს, რომლებიც მას სპექტაკლმა მოავიანა.

ავტორის ჩანაფიქრი მნიშვნელოვანია იმით, რომ ნათელია: რა ფორმითაც არ უნდა არსებობდეს ბოროტება, მის წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებით შეუძლია ცველას, მით უმეტეს მთელ კლექტებს, საზოგადოებას.

ნ ო ვ ე ლ ე ბ ი ს

ს ა ლ ა მ ო



მხატვრები: ო. ჭიჭიკიძე, ა. სლავინსკი, ი. ჩიკვიძე

დაღები...

დაღები არ გვანან ერთმანეთს. ზოგი დილია, აღმოჩნებითა და ამბებით სავსე, ზოგი პირიქით — წყნარია და ჩვეულებრივი.

რამდენი ვართ კარგები... ცუდებიც გვირეცია. ცხოვრებაში სიბარბელე გვაქვს და ტკივილიც. ვიცით სიყვარული, გამოგონილი კი არა, ჩვეულებრივი, ადამიანური... არც ერთი არ



ოტია იოსელიანი, არჩილ სულაკაური, არჩილ ჩხარტიშვილი, ოთარ გობრონიძე

რომელიც კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ეიხილეთ.

ნოველას, როგორც ყანრს, საკმაო ხარკს უხდის კინემატოგრაფი. ამ მხრივ ბევრი, მეტ-ნაკლები მხატვრული სიძლიერის ნაწარმოების დასახელება შეიძლება როგორც ჩვენი, ისე უცხოური კინემატოგრაფიდან. თეატრში კი იგი სრულიად ახალი, ექსპერიმენტული ფორმაა, რომელიც, პირველად კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სახელოვნება კოლექტივმა განახორციელა რეჟისორ არჩილ ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით. მაგრამ მხოლოდ ეს როდია „ნოველების საღამოს“ ერთადერთი ღირსება. ჩვენ დადგმის სხვა, გაცილებით მაღალ ღირსებებს ვესურს შევხვით.

ჩუხრაი ჯერ კიდევ არ იყო სახელმწიფო რეჟისორი, როცა კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში სწავლისას, ერთხელ თავის აღმზრდელ მასწავლებელთან მივიდა და სცენარების უვარგისობა შესჩივლა. „ხომ არ გგონია, რომ სცენარებს მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები დაგიწერენ — უთქვამს მიხეილ რომს — თუ სცენარში ორი-სამი კარგი სცენაა,

გვაკარტ ერთმანეთს. ჩვენ ერთმანეთს ვაყვებთ, გვიყვარს ერთმანეთი, ყველაზე ლამაზი კი ცხოვრებაში ის არის, როდესაც ჩვენ, ადამიანებს გვიყვარს ერთმანეთი...

სწორედ ამ სიყვარულზე, ამ შთამბეჭონებელ სილამაზესა და ადამიანურ ადამიანურობაზე ნამდვილი პოეტური უშუალოებითა და გულწრფელობით მოგვითხრობს „ნოველების საღამო“.



მხატვრული —
ო. მელიქიანოვსკის

ე. ი. სცენარი კარგია. სხვა კი თვითონ უნდა გააკეთო ავტორთან ერთად“.

ეს სიტყვები თანაბრად ეხება როგორც კინოს, ისე თეატრის მუშაკებს. პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გაუთავებელი საყვედურები პიესების უვარგისობასა და უქონლობაზე, საქმეს არ შეეღობა. კლასიკოსებიდან მართლაც არავინ არ წამოდგება, ასე, რომ ნამდვილმა რეჟისორმა თვითონ უნდა გამოიჩინოს ინიციატივა და თეატრში მოიტანოს ისეთი ნაწარმოები, რომელიც დაფიქრებისა და განალიზების ღირსია. რეჟისორმა უნდა იგრძნოს, რამდენად სიცოცხლისუნარიანია ესა თუ ის ნაწარმოები პერსპექტივაში.

ასეთი რეალური, შეიძლება ითქვას, ხელჩასაკიდი ღირსება არ შეიძლება არ დაინახოს კაცმა ჩვენი ნიჟიერი



„თეა“. იოაკიმი — ა. ომაძე



ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებებში. საჭიროა მხოლოდ მათზე შეჩერება, მერე ავტორებთან ერთად ერთხელ კიდევ ჩაჯდომა, დაფიქრება, შემოქმედებითი წვდის მთელი გზების გავლა და მაშინ შედეგიც მიღწეული იქნება. ნაწილი თეატრებისა, რეჟი-

სორებისა, მზამზარეულ პიესებს ელოდებიან. ამიტომაც „ამაოა მათი ლოდინი“.

რეჟისორ არჩილ ჩხარტიშვილს კარგა ხანია სურდა განეხორციელებინა „ნოველების საღამოს“ დადგმა, მაგრამ როცა იგი გაეცნო ოთარ გომ-

„ტალღები ნაპრისაყენ მილიან“
ჯარისკაცი — მ. ბებურიშვილი, ზემდევი — ა. ვერულეიშვილი





ოთხზე შერდნენ. ესენია არჩილ სულაკაურის „ტალღები ნაპირისაკენ მიდიან“, ოტია იოსელიანის „ცეცხლთან თამაში“, ოთარ გობრონიძის „თვა“ და „თეთრი ლაქა“.

აქვე უნდა გავსვას ხაზი ერთ გარემოებას, რაც კიდევ უფრო ზრდიდა „ნოველების საღამოს“ ავტორთა პასუხისმგებლობას მაყურებლის წინაშე: ოთხივე ნოველს კარგად იცნობდა ჩვენი მკითხველი საზოგადოება. ამიტომაც იგი ბუნებრივად ზაღებდა კითხვას — შესძლებდა თუ არა თეატრი მაყურებლისათვის მიეცა მათთვის ცნობილი და საყვარელი ნოველების სწორი, ყოველ შემთხვევაში, საინტერესო სცენური ინტერპრეტაცია? საბედნიეროდ, ეს ამოცანა დადებითად გადაიჭრა და მაყურებელმა იხილა დიდი პოეტური შთაგონებით გამთბარი, ნამდვილად საინტერესო სპექტაკლი. ეს კი დამასხურებია არა

„თვა“. თვა — მ. ზიზილიშვილი, ვია — გ. ციციშვილი

რონიძის მართლაც შესანიშნავ ნოველს „თვა“, ეს იღვა რეჟისორისათვის უკვე უახლოეს მიზნად, სამოქმედო ვეგმად იქცა. ამიტომაც მის ავტორთან ერთად შეარჩია კიდევ რამდენიმე ნოველა ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებიდან და მერე მათ სცენურ გააზრებაზე ზრუნვას შეუდგა.

ნოველების შერჩევა თავისთავად არც თუ ისე ძნელი საქმეა, მაგრამ რთულია მათი ერთ სპექტაკლად გასცენიურება, სხვადასხვა პერიოდის ამსახველი და სხვადასხვა თემაზე შექმნილი ნაწარმოებების ერთ ქარგაზე ასხმა ისე, რომ ეს კავშირი არ ყოფილიყო ხელოვნური, დამაჯერებლობას მოკლებული. დიდი ხნის ძიებისა და ფიქრის შემდეგ, რეჟისორმა და ინსცენირების ავტორმა ოთარ გობრონიძემ ნოველების იდეურ ჯაჭვად სიყვარული, მეგობრობა და პუშკინში მიჩინეს. ამიტომაც, თავდაპირველად შერჩეული და გასცენიურებული 10 ნოველიდან, რომლებზედაც ისინი მთელი ერთი წლის განმავლობაში მუშაობდნენ, საბოლოოდ მხოლოდ





„ცეცხლთან თამაში“
ფელა — ს. კვატრელი

ფოტოები ა. ბალაბუევისა



მარტო რეჟისორისა და ენსცენერების
ავტორისა, არამედ მთელი დამდგმული
კოლექტივისა.

ლ. ქიშიშვილის მუსიკალური გა-
ფორმება ორგანული ნაწილია სპექ-
ტაკლის დრამატურგისა, მას აქვს
გარკვეული ფსიქოლოგიური დატ-
ვირთვა. განსაკუთრებით აღსანიშნა-
ვია ახალგაზრდა ნიქიერი მხატვრების
(ო. ქოჩიაკიძე, ა. სლავინსკი, ი. ჩიკვა-
იძე) შეტად საინტერესოდ და უაღ-
რესად თანამედროვე (ამ სიტყვის სა-
უკეთესო გაგებით) ფორმით გადაწ-
ვეტილი ხელოვნება, რომელიც პო-
ეზიით ავსებს ავტორთა ჩანაფიქრს,
კითხულობს ქვეტექსტებს, როგორც
ეს ოტია იოსელიანის ნოველაში ხდე-
ბა წერილების კითხვისას და სხვ.

რაც შეეხება მსახიობთა ოსტატო-
ბის დონეს, ვერ ვიტყვოდით, რომ ამ
მხრივ „ნოველების საღამო“ პარმო-
ნიული სპექტაკლი იყოს. ამის მიზე-
ზი, ჩვენის ფიქრით, ხან არასწორი
ტიაკია, ხანაც თვით ლიტერატურუ-
ლი პირველწყარო.

სულაკაურის ნოველა „ტალღები ნა-
პირისაკენ მიდიან“, თუ მხოლოდ
სიტყვიერი განმარტებით დაეკმაყო-
ფილდებით, უაღრესად კინემატოგრა-

ჯიზო — მ. გორგილაძე






თელა — ს. ჭიაურელი, ჯიბო — მ. გორგილაძე



ფიუღია და, ამიტომ მის გასაცნეიურებლად რეჟისორმა გამოიყენა ეკრანი... ცდა არ დაუკლიათ მსახიობებს: ზ. ლებანიძეს, მ. ბებურიშვილს, ა. ვერულიშვილს. ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლის არჩილ სულაკაურის მოსვლა თეატრში მისასალმებელი მოვლენაა. რაც შეეხება ოთარ გობრონიძის „თეთრ ლაქას“, ცდებიან ისინი, ვინც მსახიობთა სექტატურობას ნოველის სისუსტით ხსნიან. „თეთრი ლაქა“, შესაძლოა, მართლაც ღარიბი იყოს მოქმედებით, მაგრამ ეს როდი გვაძლევს იმის უფლებას, რომ განეცხადოთ — სიტუაცია, რომელშიც მოხდნენ ნოველის გმირები, მეტად მშრალი და ხელოვნურია, და ამდენად, მსახიობებს სრულყოფილ მხატვრულ სახეთა შესაქმნელად არ გააჩნიათ ე. წ. დრამატული მასალა. „თეთრი ლაქა“ ღრმა ფსიქოლოგიური ხასიათის ნაწარმოებია, რომელიც ამაღლებულად მოგვითხრობს ოთხი სასიკვდილოდ განწირული, სხვადასხვა ეროვნების, ასაკისა და ცხოვრებისეული გამოცდილების საბჭოთა ადამიანის განცდებზე აქ დიდი დრამატიზმი და ფსიქოლოგიური სიღრმეა. მოსალოდნელი იყო, კინომსახიობ ლია ელიაგას გაუმწიფებოდა მისი დაძლევა, მით უფრო, რომ ეს მისი თეატრალური დებიუტია. სასიხარულოა, რომ მან გაართვა თავი საპა-



ჯიბო — მ. გორგილაძე



„თეთრი ლაქა“
ოთხშუბური—ო. კობერიძე



სუხისმგებლო როლს, კარგი სცენური მონაცემები გამოამჟღავნა და მალე, ალბათ, მის ახალ საინტერესო როლებს ვიხილავთ სცენაზე. კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს აგრეთვე დებიუტანტებმა მედეა ბიბილიეშვილმა და მალხაზ გორგილაძემ, რომელთა სახით, როგორც ჩანს, თეატრმა კარგი შევსება მიიღო. გაგვახარა თათარ კობერიძემ, რომელმაც მეტად საინტერესო პორტრეტი შექმნა ცხოვრებაში მრავალჭირნახული ოთხშეურისა. განსაკუთრებით ქების ღირსია სოფიკო ჭიაურელი, რომლის ნატიფი ხელოვნებამ მაყურებელთა მქუხარე ტაშს იმსახურებს. უბრალო სოფლის გოგონა თეკლას როლში მან ერთხელ კიდევ დაამტკიცა, თუ რა დიდი მომავლის მსახიობი ეზრდება ქართულ თეატრს.

მოსიყვარულე მამა, ტრადიციული ადათ-წესების დამცველი, უაღრესად

ლ. მლიაჯიშვილი —
ზინო —



ადამიანური ადამიანი, რომელიც კარგად იცნობს წუთისოფლის აე-კარგს და ამიტომაც ურიგდება თავის მწარე ბედს, საკუთარი ხელით უნათებს გზას მისი ოჯახიდან სამუდამოდ მიმავალ რაბლს. ასეთია რესპუბლიკის სახალხო არტისტის ალ. ოშიაძის იოაკიმი. საინტერესო სახეებს ქმნიან რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები თ. თეთრაძე (თინა), დ. ჭიჭინაძე (მედეა), პ. ინწიკრეველი (ანზადი), მსახიობები — გ. გოგუა (გურამი), გ. ცოცქიშვილი (გია) და სხვ.

თათარ მეღვინეთუხუცესი — მთხრობელი აქტიურად მონაწილეობს მოქმედ გმირთა ხასიათებისა და ურთიერთობათა განვითარებაში, არსად არ ღალატობს ზომიერების გრძნობას და ტექსტი მისთვის ჩვეული ოსტატობით მიჰყავს. საამოდ, საზეიმოდ და ამაღლებულად ქედის მისი დიდი ადამიანური სითბოთი და სიყვარულით გაღვინთილი სიტყვები, — ყველაზე ლამაზი ცხოვრებაში ის არის, როდესაც ჩვენ, ადამიანებს გვიყვარს ერთმანეთი!

ამას გვასწავლის, ამისაკენ მოვიწოდებს „ნოველების საღამო“.

გიორგი ზვიზვაძე





პიესის ავტორები: შ. ქულუშიძე, შ. მახარაძე, შუაში — რეჟისორი გ. აბრამაშვილი

„უცნობი“

მეგობარი“

(გორის გ. ერისთავის სახ. თეატრის ახალი სპექტაკლი)

მარგარიტა გოგოლაშვილი,

გიორგი დოლიძე



ეატრის ავ-კარგინობას ყოველთვის რეპერტუარი განაპირობებს. რეპერტუარით ხდება ნათელი თუ რა ინტერესები აქვს თეატრს, რა აწუხებს, რისი თქმა უნდა და საითკენ არის მიმართული მისი ხმა. რეპერტუარი ერთგვარი ბარომეტრია, რომლითაც იზომება მაცურებლის ლტოლვა და მისწრაფება თეატრისადმი.

სწორედ ამით უნდა აიხსნას განსაკუთრებული დანტერესება თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოებებით, რითაც მნიშვნელოვნად გაზარდეს საბჭოთა თეატრის სვედრითი წონა ჩვენმა თეატრებმა.

უკანასკნელ ხანებში ქართულმა თეატრებმა შესძლეს აქტიური შემოქმედებითი ურთიერთობა დამყარებინათ ავტორებთან და ცდილობენ ურთიერთგაგების ნიადაგზე რეპერტუარი გაზარდონ საბჭოთა სინამდვილის ამსახველი ნაწარმოებებით.

უფრო მეტიც—თეატრებმა გაიჩინეს „თავიანთი“ ავტორები, რომელთა ნაწარმოებებაც ამა თუ იმ თეატრში იდგმება უპირატესად. მაგალითად, ქუთაისის თეატრში ლევან სანიკიძე და დავით კვიციანიძე, თელავის თეატრში — გ. ბერიანელი, ჭიანჭყლის თეატრში — გ. მარუაშვილი, გორის თეატრში — თ. ჩხეიძე, რ. მამულაშვილი, შ. ამისულაშვილი, საგინაშვილი და სხვ. რა თქმა უნდა, ეს ავტორები დაკავშირებული არიან არა მხოლოდ ტერიტორიულად, არამედ, ძირითადად, შემოქმედებითად. ავტორების ურთიერთობა თეატრებთან ხშირად იწყება მხოლოდ ავტორისეული ჩანაფიქრითაც, რაც შემდეგ გადადის რჩევებში, კეთილ სურვილებში, შენიშვნებში, მიითითებებში, იღებს გარკვეულ ფორმასა და თეატრთან შემოქმედებითი ურთიერთობა ავტორები ერთ მშვენიერ დღეს თეატრის ზეიმის მიზეზი და მონაწილე ხდებიან.

ეუნალისც შოთა მახარაძეობისა და პედაგოგ შალვა ქულუშიძის პიესამ „უცნობი მეგობარი“ აგრეთვე რამდენიმე სტადია, რამდენიმე საფეხური გაიარა. ავტორებმა პიესა თავდაპირველად წარუდგინეს გორის თეატრს, რომლის ხელმძღვანელობა ამ ნაწარმოებით დაინტერესდა და... თეატრსა და ავტორებს შორს გაიბა შემოქმედებითი ურთიერთობა. ასე და ამგვარად, პიესა წაიკითხეს სახმატრო საბჭოს სხდომებზე, იყო დავა და კამათი... იგრძნობოდა, რომ თეატრის ხელმძღვანელობა ნამდვილად იყო დაინტერესებული ამ ნაწარმოებით და ავტორებს უყვებდა თავის მოთხოვნალებს. ავტორები თავის მხრივ ყურადღებით ისმენდნენ შენიშვნებსა და შესაძლებლობის ფარგლებში ითვალისწინებდნენ კიდევ. შეიქმნა პიესის



თინათინა — ე. კაბულაშვილი

რამდენიმე ვარიანტი და ბოლოს დაიწყო სპექტაკლზე მუშაობა.

ბიესა „უცნობი მეგობარი“ გამიზნულია ძირითადად ნორჩი მაყურებლისათვის. ცელქი და ონგარი გივი ცრუპენტელა ბავშვია, სწავლა ესარება. ერთ-ერთ გამოცდაზე მასწავლებელთან მგლოვიარეს გაითამაშებს, რის დასამტკიცებლად მკერდზე შავებში მოსილი უცნობი ქალის სურათს დაიხნევს. სურათზე აღბეჭდილი სახე მასწავლებლის — ელიზბარის ახლობელი აღმოჩნდება და გამოცდის ნაცვლად ხდება შეცხადება. ელიზბარი გამოკითხვის გარეშე გივის ხუთიანს უყურს და თანაგრძნობის გამოსაცხადებლად „მგლოვიარე“ ოჯახისკენ გაემურობა. ასეთი გულუბრყვილო გაუგებრობა კვლავ კომიკურ სიტუაციას ქმნის.

გივი მიხვდება თავის დანაშაულს — ცრუპენტელობით რამ-

გივი — გ. არბოლაშვილი, თინათინა — ე. კაბულაშვილი
მარია — ე. ბერუაშვილი, ეფრემი — ო. დათუნაშვილი



დენი უსამოვნება მიაყენა უფროსებს და შედეგშიც გაჭაბულად წორებლად გადაწყვეტს ჩაიდინოს კეთილშინდელური საქმეები. უფროსების ფარულად გაღრინდება მისკოვს თამარის ავადმყოფი დედისათვის საჭირო წამლის ჩამოსატანად.

როგორც ხვდება, ავტორების ჩანაფიქრი კეთილშინდელურია და გარკვეული აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს — სიერე კარგ შედეგს არ მოიტანს. მაგრამ გივი ამ საქციელსაც არა კეთილი მიზნით სჩადის. იგი თავის დას, თინას აფრთხილებს — არ უბნასა მოშობებს, რომ მისკოვს მიდის — ე. ი. შვილის შინ მოუხვლელობით რომ შეწყუბდება მშობლები, ეს გივის არ აფიქრებს.

ბიესის დრამატურგიული ჭარბა ერთგვარად გულუბრყვილოა, თუმც ვოდვილის თანრწია გადაწყვეტილი (ავტორები კი ბიესას უწოდებენ), მაგრამ ცნობილია, რომ ყოველგვარი სცენური მოვლენა მოითხოვს ლოგიკურ გამართლებას. ამ მხრივ გივის ფსიქოლოგიაში ვერ ვხვდებით გარდატეხას, იმ მიზეზს ან მოვლენას, რაც გადააწყვეტინებს აღარ იცრულოს.

დამდგმული ჯგუფის (რეჟისორი — გიორგი აბრამიშვილი, მხატვარი — შ. შუციშვილი, მუსიკა — ლილი იაშვილი) მონდობებული მუშაობით წინ წამოწეულია ბიესის იდეურ ჩანაფიქრი, მუსიკის ზომიერი გამოყენებით სპექტაკლი ხალისიანი, საამო სანახავი ხდება. იგი საინტერესო გამოვიდა.

მიტო — ზ. ჯღუბანიშვილი, თინათინა — რ. ცაბაძე





ამაზე მეტყველებს მისი წარმატება. სამი თვის განმავლობაში იგი თითქმის 60-ჯერ უჩვენეს. სხვათაშორის, რატომღაც ვერადღებთ ხოლმე ასეთი ცაფრების მოყვანას რეცენზიებში, მაშინ როცა ისინი, ბევრ შემთხვევაში, ყოველგვარ მაღალფარდვან სიტყვებზე უკეთ ლაპარაკობენ სპექტაკლის ავტარება-ნობაზე.

„უცნობი მეგობრის“ ასეთი წარმატება ნამდვილად მიუთითებს გორის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის გამარჯვებაზე. ამაში კი მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის რეჟისორ გიორგი აბრამიშვილს, რომელიც მხატვარ შ. ხუციშვილთან და კომპოზიტორ ლილი იაშვილთან ერთად შემოქმედებითად მიუდგა დამწყები ავტორების ამ პირველი დრამატული ნაწარმოების სცენურ განსახიერებას, რეჟისორულად გაამდიდრა იგი, სწორი მუსიკალური გასაღები მოუნახა, შექმნა სანატრესო, კოლორიტული სპექტაკლი.

რეჟისორის დანაზღვის საუკეთესო საშუალებაა პიესისა და სპექტაკლის შედარება. ნათელია გიორგი აბრამიშვილის უნარი — ჩაწვდეს ავტორის იდეურ ჩანაფიქრს, გააღრმავოს იგი, უფრო მეტყველი გახადოს სიტყვა:

...გივი შობოლებისაგან ფარულად გაიპარება მოსკოვში. ეს მხოლოდ მისმა დამ, თინკომ იცის. შობოლები ცდილობენ, როგორმე გამოტყონ თინკო, მაგრამ ამაოდ. თინკო (მსახიობი ვუქუნა კაბულაშვილი) ხან რას იფიქრებს, ხან რას. ბოლოს გამოელევა სიყრუე და აღარ იცის რა უპასუხოს მამას (მსახიობი

ობი ბახვა ღონღაძე), რომელიც დაინებით მოითხოვს უნაზღვი გივის ადგილსამყოფელი.

ბიესაში ეს ადგილი ასეა:
 მ ა მ ა — მამ სად არის?
 თ ი ნ ა — მოსკოვში.
 ყ ვ ე ლ ა ნ ი — მოსკოვში?
 თ ი ნ ა — დილით გაფრინდა.

რეჟისორმა იგრძო, რომ ამ ამბის თქმა შეიძლებოდა სცენურად უფრო ხატოვანად ამიტომაც, როცა თინკო ცდილობს მოიგონოს ახალი ტყუილი, თთანში გაისმის ნაცნობი მელოდია, რომელიც მოსკოვის რადიო „უკანასკნელი ცნობების“ გადაცემას იწყებს. თინკო უმაღ იაზრებს, წმინდა ბავშვური აღტაცებით შეხტება, რამდენჯერმე გაიმეორებს ამ მელოდისა და შემდეგ იტყვის — სად არის და მოსკოვში? რეჟისორის ეს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო შტრიხი, იმდენად შთამბეჭდავია, იმდენი ცხოვრებისეული სიძარბო შეაქვს, რომ უნებურად ტამს უტრავთ. აღფრთოვანებისა და ტამის ტალღა კი შირად გადაურბენს დარბაზს, როცა სცენაზე ისეთი ნიჭიერი მსახიობია, როგორცაა ვუქუნა კაბულაშვილი. იგი სცენური სიძარბოთი, ბავშვური უშუალობითა და პოეტური აღმაფრენით თამაშობს. ვისაც კი უნახავს მისი სხვა როლები — ლისენა („ცეკვის მასწავლებელი“), კეკია („ჭორიკანა ქალბი“) და ხატია („ზე ვხედავ მესეს“), აუცილებლად დაგვევაზიზიბება, რომ ვუქუნა კაბულაშვილის სახით გორის თეატრს ნიჭიერი, მზარდი მსახიობი ჰყავს.

ყოველთვის სანატრესონი არიან სცენაზე რესპუბლიკის დამსახურებელი არტისტები ნინო ზაღდასტანიშვილი (თაფელი) და შალვა ხერხეულიძე (ელიზბარი), რომელთა ნამუშევარი მასკურების ყურადღებას იპყრობს.

...არიან ადამიანები, რომლებიც ყველაზე ზრუნავენ, ფიქრობენ ზოგჯერ სასაცილონიც კი ხდებიან, მაგრამ არა დასაცინი. ისინი ჩვენს უნებლიე, კეთილ დიმილს იწყვევენ. ასეთია სწორედ შალვა ხერხეულიძის — ელიზბარი. გ. არბოლაშვილის — გივი ყრმა მოსწავლის სრულ შობებუდილებას სტოვებს, რაც მის შემოქმედებით პოტენციაზე მეტყველებს. ვიქტორია ბერუაშვილის — დედა და ბახვა ღონღაძის — მამა, შეილების მოყვარული შობოლების სცენურ სახეებს ქმნიან.

გივი — გ. არბოლაშვილი, მილიციელი — გ. ბასიშვილი



ელიზბარი — შ. ხერხეულიძე, მიტო — შ. ჯღღაშვილი





ქვეყნის მწიგნობართა კავშირი

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ბ. ლონღაძის სასიამოვნო მონაცემებიც.

მართალია, ეპიზოდური დატვირთვა აქვე მსახიობ ოთარ დათუნაშვილს (ეფრემი) და გიორგი ბასიაშვილს — (მილიციელი), მაგრამ მათ მიერ შექმნილი სახეები დასამახოვრებელია.

რ. ცაბაძის — თამარს რომ მეტი დრამატურული დატვირთვა ჰქონოდა, აჯობებდა, რადგან რ. ცაბაძის ვიციანობით, როგორც გულმოდგინე მსახიობს, რომელიც ცდილობს როლებითავე მოძებნოს ახალ-ახალი საღებავები და პოულობს კიდევ.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ მიტოს როლის შემხრულვებელზე ზაურ ჯუღაბიშვილზე, რომელიც სულ ახალი მოსულია თეატრში და პირველი პროფესიული ნათლობაც სწორედ აქ მიიღო. მართალია, ჯერ ადრეა მის მომავალზე ლაპარაკი, მაგრამ ერთი კი ცხადია — სცენაზე თავს თავისუფლად გრძნობს, უშვალაო, ეს კი მსახიობის პროფესიული ზრდის საწინდარია.

პიესას აქვს მეორე სახელწოდებაც — „ცრუპენტელა“. ჩვენის ფიქრით, აჯობებდა ასე დარჩენილიყო, რადგან ცრუპენტელა უფრო კარგად გამოხატავს ნაწარმოების შინაარსს.

სპექტაკლით „უცნობი მეგობარი“ გორის თეატრმა გამოავლინა ახალი ავტორები, ამასთან სასიამოვნო და სახალისო ნობათი მიუძღვნა მოსწავლე ახალგაზრდობას. ეს პიესა დასავლეთ საქართველოს რამდენიმე თეატრმა შეიტანა სარეპერტუარო გეგმაში. კარგი იქნება თუ მას დედაქალაქის მოზარდ მსურველებსაც ვუჩვენებთ.



თინა — ე. კაბულაშვილი, კოტე — ბ. ლონღაძე



ფოტოები შ. ბაბოიას

თაფლო — ნ. ხალდატიანი-მელი, მიტო — ზ. ავთო-ბიშიკაძე



„ჩვენ ვიცავდით

კ ა ვ კ ა ს ი ა ს“

(დოკუმენტური ფილმი)

ბუნებრივად და გამართლებულად გესახებათ. ასე მოხდა ახლაც:

... მრავლის მომსწრე და მნახველ კავკასიონი... საქართველოს სამხედრო გზა. მრავალი სასურველი სტუმარი შემდგარა მასზე. ბევრ ბოროტ მომხედურს და დამრბეველსაც გაუთელავს იგი. წარსულის უტყვე მოწმეებად დგანან კლდენი და მათზე ნაგები ციხე-კოშკები, ბევრი სისხლი ახსოვს ღრიალა თერგსაც. მაგრამ ვერაფერი უბედურება, ვერაფერი ვერ შეედრება იმ განსაცდელს, რომელიც თავს დაატებეს კავკასიონს გერმანულმა ფაშისტებმა.

დიახ, ეს ფილმი იწყება კავკასიონისა და საქართველოს სამხედრო გზის ჩვენებით. და ჩაგვესმის მოხრობელის ხმა: „ჩვენ, ქართველ კინოდოკუმენტალისტებსაც ხშირად გაიმგზავრია ამ გზით, გადაგვიღია კავკასია, მისი ხალხის შრომა და ცხოვრება. მაგრამ სულ სხვაა ჩვენი დღევანდელი მგზავრობის მიზანი — კავკასიის გმირული დაცვის სახელოვანი დღეების გასოცხლება“.

ასეა — ამ ორი ათეული წლის წინანდელ დღეთა დიდებზე მოგვიბხრობს ფილმი და მისი ავტორები. ვინ არიან ისინი? რეჟისორი-კინოდოკუმენტალისტი შალვა ჩავუნავა, ოპერატორი ლევან არზუმანოვი, სცენარის ავტორი, ჟურნალისტი არჩილ კოკილაშვილი — სამივე კავკასიის



კადრები დოკუმენტური ფილმიდან „ჩვენ ვიცავდით კავკასიას“

დაცვის ბრძოლების მონაწილე. ფილმსაც ასე ჰქვია „ჩვენ ვიცავდით კავკასიას“. ამიტომაც ნუ გაიკვირებთ, ნურც კადნიერებად ჩამოართმევთ, როცა მათ სახეებს დაინახავთ ეკრანზე. სხვებთან ერთად თავდაბრიონი დგანან ისინი სლავიანსკის რაიონის სოფელ ჩერნოერკოვსკაიაში ძმთა სასაფლაოზე. სადაც განისვენებს კალაბატკისათვის ბრძოლაში დაღუპული 673 გმირი, მათ შორის 330 ქართველი მეომარი 414-ე ქართული მსროლელი დივიზიიდან. ისინი დგანან თანამებრძოლთა საფლავთან და მათ მესხიერებაში კვლავ აღსდგებიან იმ მრისხანე დღეთა სურათები. და განა მართლ მათ მესხიერებაში?! — ეკრანზეც! ქართველი კინოდოკუმენტალისტები მაშინ — დიდი

ზაირა ანთელავა



ს დოკუმენტური ფილმი კავკასიონის ჭალარა მწვერვალებით იწყება. ვიყოთ სულგრძელნი და უცებ ნუ ვიტყვით — ტრივიალურია. ზოგჯერ ათასჯერ ნაცადი და გამოყენებული ხერხი ათასმეტრედ ვაკვირდებით და ის, რაც თითქო მოგებურდათ, ამჯერად სხვასთან ორგანულ კავშირში წარმოგიდგებათ, ბოლომდე



სამამულო ომის მრისხანე დღეებში ფირზე აღბეჭდვადნენ ჩვენი ადამიანების არნახულ გმირობასა და თავდადებას. ასე შემოუნახეს მათ თაობებს კავკასიის გმირული დაცვის ცოცხალი სურათები, უტყუარი დოკუმენტები. და ახლა — ამ სურათში, თუმცა ისინი ციტატებად გაიფლავებენ, ეს კადრები აღიქმება როგორც იმ გმირულ დღეთა, ომში დაღუპულ ვაჟაკთა არდავიწყება.



ყუბანის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცვა უფროსი ლეიტენანტი გიორგი ბედენაშვილი, საბჭოთა საპაირო ძალებმა, რომლის რიგებში გმირულად იბრძოდნენ ქართველი მფრინავები ვლადიმერ ნაენიშვილი, ოთარ ჩიქელაშვილი, ზაქარია ხიტაშვილი და მრავალი სხვა, შემუსრეს პიტლერელი არამზადები და ჩვენს მეომრებს გზა გაუკაფეს. გვრანზე ჩნდება ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის სარდალი, არმიის გენერალი პეტროვი, გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე ლესელიძე, რომელიც სახელოვან მეთვრამეტე არმიის მეთაურობდა. მტერს შეუვალ ძალად აღუდგინენ მოძმე საბჭოთა ხალხები. თავისუფლებისმოყვარე მთიელები სტეპებდნენ მშობლიურ აულებს, სწავდნენ ყველაფერს, რომ მტერს ხელში არაფერი ჩაეარდნოდა... იარაღს ისხამდნენ სვანი მოხალისეები და მებრძოლ რაზმებს ქმნიდნენ მთებში მოქმედი საბჭოთა არმიის ნაწილები დასახმარებლად. ჩვენი მენაღმეები სპობდნენ გზებსა და ხიდებს, რომ მტერს ვერ გაეცლო... ქლუხორისა და მარუხისაკენ მიემართებოდნენ საბრძოლო იარაღით დატვირთული მანქანები... ბრძოლაში — სისხლისმღვრელი, შეუპოვარი... ეს და კიდევ მრავალი სხვა კადრი,

რომელიც გამოყენებულია ამ ფილმში, იქნებ თავის დროზე კინოფიქსიანს ხავს საფრონტო კინოქრონიკებში, მაგრამ ამჟერად მათ რაღაც თავისებური მონუმენტურობა, ახალი შთამბეჭდაობა შეიძინეს. რეჟისორი ახლებური, გააზრებული მონტაჟით გვაწვდის მათ. იგი მიზანდასახულა და ეფექტური. აი, მსხვილი პლანიო მოცემული შეძრწუნებული, დაბნეული ქალის სახე და იქვე — მებრძოლი ვაჟაკის მტკიცე, დაჯერებული სახე. ძლიერ შთამბეჭდავია მთებში ბრძოლების ამსახველი ეპიზოდი და უკანასკნელი კადრები — გამარჯვებით შინ დაბრუნებულ ვაჟაკებთან შეხვედრებს რომ ასახავს.

ფილმის ერთ-ერთი ღირსებაა, რომ მასში ომის ამსახველ კადრებს ტაქტიკითა და ზომიერების გრძნობით ენაცვლება დღევანდელი სურათები — ომის ჭრილობებში მოშუშებული, აღდგენილი კავკასიის ქალაქები და სოფლები. კვლავ დიდი სიყოფილე დამკვიდრდა ნალჩიკსა და პიატიგორსკში, გროზნოსა და ორჯონიკიძეში, კრასნოდარსა და ნოგოროსისკში... კავკასიონის უმაღლეს მწვერვალზე — იალბუზზე კვლავ ფრიალებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აღამი, რომელიც გამარჯვების აღმანიშნავად აღმართეს ჩვენი არმიის ალბინისტებმა.

მთავრდება ფილმი და თითქო აგვედენათო დიქტორის უკანასკნელი სიტყვები.

„მათ დიდება, მათ დიდება...
ვის თვალბეჭდვით შეიხს ლანდი
არასოდეს ფარფატებდა,
ვის მოხმდელი დამსხვრია
კავკაიონ და კახატუბანა...“

ეს პატარა ფილმიც მათ სადიდებლად დადგმულ საბატო ძეგლად აღიქმება.



კადრები დოკუმენტური ფილმიდან „ჩვენი ვიკადლო კავკასიას“. ატროები რეჟისორი შ. ჩავენცი, ოპერატორი ლ. არბუშინოვი, ეტრანალსტი ა. კოკილაშვილი

საბჭოთა ხელოვნება

СОВЕТСКОЕ ИСКУССТВО

СОДЕРЖАНИЕ

ПРАЗДНИК ЛЕНИНСКИХ ИДЕЙ	2	Этери Гугушвили —	
Отар Эгдзе —		ПЬЕР КОБАХИДZE	17
БОЕВЫЕ СТРОЧКИ	7	Николай Аккерман —	
Шалва Гогидзе —		400 ЛЕТ РУССКОЙ КНИГИ	59
ОБРАЗ ЛЕНИНА В КИНО	11	Нодар Шаманадзе —	
ТОРЖЕСТВЕННЫЙ ВЕЧЕР В ТБИЛИСИ ПОСВЯЩЕН- НЫЙ 94-ГОДОВЩИНЕ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ В. И. ЛЕНИНА	17	ОБРАZЕЦ НАРОДНОЙ ДРАМЫ	62
Нико Урушадзе —		Вахтанг Давитая —	
ШЕКСПИР И ДОРЕВОЛЮЦИОННАЯ ГРУЗИНСКАЯ ПУБЛИЦИСТИКА	18	ШВЕЙЦАРСКИЕ ВПЕЧАТЛЕНИЯ	65
Нико Квасавили —		Григорий Кокеладзе —	
НА РОДИНЕ ШЕКСПИРА	25	ИНЖЕНЕР, ХОРЕОГРАФ	72
У. Шекспир —		Надежда Шалуташвили —	
«СОН В ЛЕТНЮЮ НОЧЬ» (перевод с английского В. Челидзе)	31	ОГЛЯДЫВАЯСЬ НА ПРОПДЕННЫЙ ПУТЬ	75
Георгий Джабашвили —		Платон Дадвани, Валериян Сагани —	
ШЕКСПИРОВСКИЙ ТЕАТР В МОСКВЕ	36	СВАНЕТИЯ	81
Иосиф Лордкипанидзе —		Гульнара Кутателадзе —	
ПСЕВДОНИМЫ Г. ТАБИДZE	41	РАЗДУМЬЯ О ДЕЛАХ НЕНАЛАЖЕННЫХ	82
Давид Чиквишвили —		Георгий Зинадзе —	
К ПОНЯТИЮ КУЛЬТУРЫ	44	«ВЕЧЕР НОВЕЛЛ»	84
		Маргарита Гоголашвили, Георгий Долидзе —	
		«НЕЗНАКОМЫЙ ДРУГ»	91
		Заира Антелана —	
		«МЫ ЗАЩИЩАЛИ КАВКАЗ»	95

На 6 стр. портрет Н. С. Хрущева (в связи с 70 летием со дня его рождения); на 10 стр. Д. Габиташвили — Встреча Н. С. Хрущева с деятелями культуры Грузии; на 11—15 стр. кадры из документальных фильмов о Ленине; на 17 стр. фото-торжественный вечер, посвященный 94 годовщине со дня рождения В. И. Ленина; на 19 стр. К. Китпани в роли Короля Лира; на 20 стр. Л. Месхишвили в роли Гамлета; на 30 стр. медальон, сделанный в связи с 400 летием со дня иице с Шекспиром; на 36 стр. сцена из спектакля «Король шекспировского театра Поль Скоффилд»; на 40 стр. сцена из такля «Комедия ошибок»; на 49—53 стр. народный артист ственный вечер посвященный 400 летию русской книги; на 60 стр. памятник Ивану Федорову в Москве; на 61 стр. первая русская типография; на 65—71 стр. достопримечательные в Женеве; на 71 стр. автограф Д. Байрона на одной из тального кинофильма о Сванетии; на 83 стр. журналист и из читатурского театра «Дела Ачметури»; на 84—90 стр. «Вечер новеллы»; на 84 стр. художники спектакля О. Кочакдзе, А. Славинский, И. Чикавадзе; на 85 стр. писатели—авторы новеллы: О. Исцелани, А. Сулакаури, О. Гобронидзе, режиссер А. Чхартушвили; на 91 стр. авторы пьесы «Незнакомый друг» М. Чухушадзе и Ш. Махаробладзе, в центре режиссер спектакля Горьского театра «Незаконный друг» Г. Абрамшвили; на 95—96 стр. кадры из документального фильма «Мы защищали Кавказ».

Гл. Редактор Отар Эгдзе

Редакционная коллегия: Шалва Амранашвили, Гела Бандзеладзе, Карло Гогодзе, Дмитрий Джanelidze, Алексей Мачавариани, Григорий Попхадзе, Натела Урушадзе, Вано Цулукидзе.

Тбилиси, ул. Марджанишвили № 5, тел. 5-10-24

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси

1964

SABCHOTA KHELOVNEBA

SOVIET ART

CONTENTS

TRIUMPH OF THE LENIN IDEAS	2	Eteri Gugushvili	
Otar Egadze		PIERRE KOBAKHIDZE	49
THE LINES OF THE STRUGGLE	7	Nikoloz Ackermann	
Shalva Gogidze		400 YEARS OF THE RUSSIAN BOOK	59
THE IMAGE OF LENIN IN FILMS	11	Nodar Shamanadze	
LENIN'S 94th BIRTHDAY CEREMONIAL EVENING IN TBILISI	17	A SPECIMEN OF FOLKDRAMA	62
Nico Urushadze		Vakhtang Davitaya	
SHAKESPEARE AND THE PRE-REVOLUTIONARY GEORGIAN PUBLICITY	18	SWISS IMPRESSIONS	65
Nico Kiasashvili		Grigol Kokeladze	
IN SHAKESPEARE'S HOMELAND	25	AN ENGINEER AND CHOREOGRAPHER	72
W. Shakespeare		Nadzhda Shalutashvili	
A MIDSUMMER NIGHT'S DREAM—(transl. by Vakhtang Chetidze)	31	LOOKING AT THE ROAD	75
George Jabashvili		P. Davvani, V. Saghlani	
THE ROYAL SHAKESPEARE THEATRE IN MOSCOW	36	THIS IS SVANETIA	81
Joseb Lortkipanidze		Gulnara Kutateladze	
GALAKTION TABIDZE'S PEN-NAMES	41	SPECULATION ON AN UNSETTLED AFFAIR	82
David Chikchikvishvili		George Zviadadze	
ON THE CONCEPTION OF THE CULTURE	44	"THE EVENING OF NOVELETTES"	84
		Margarita Gogolashvili, George Dolidze	
		"AN UNKNOWN FRIEND"	91
		Zaira Antelava	
		"WE DEFENDED THE CAUCASUS	95

On p. 6, portrait of N. S. Khrushchov (his 70th birthday); on p. 10, "N. S. Khrushchov's Meeting with Georgian Workers of Art" by D. Gabitashvili; on p. 11—15, stills from the documentary films on V. I. Lenin; on p. 17, V. I. Lenin's 94th birthday ceremonial evening in Tbilisi; on p. 19, Kote Kipiani as King Lear; on p. 20, Lado Meskhisvili as Hamlet; on p. 21, Valerian Gunia as Othello; on p. 22, Valerian Gunia as King Lear; on p. 25—30, a medallion with W. Shakespeare's image to mark the Bard's 400th Birthday anniversary and the historical places in England connected with Shakespeare; on p. 36, scene from "King Lear" at the Royal Shakespeare Theatre; on p. 37, stage-director Peter Brook; on p. 38, actor Paul Scofield; on p. 40, the final scene from "The Comedy of Errors" at the Royal Shakespeare Theatre; on p. 49—58, People's Artist of the Georgian SSR Pierre Kobakhidze in different roles; on p. 59, the ceremonial evening in Tbilisi dedicated to the 400th anniversary of the Russian Book; on p. 60, monument to Ivan Fyodorov in Moscow; on p. 61, the first Russian press; on p. 65—71, some Swiss views; on p. 68, a stand from the exhibition "Peace to the Children" arranged in Geneva; on p. 71, George Byron's autograph on a column of the Chillon Castle; on p. 72, choreographer George Salukvadze; on p. 75—79, People's Artist of the Georgian SSR Aleksandra Toidze in different roles; on p. 81—82, stills from the documentary film on Svanetia; on p. 83, journalist and playwright, G. Marashvili; on p. 83—84, scenes from "The Alchemist Affairs" at the Tchiklatura Theatre; on p. 84—90, scenes and the participants of the "Novelettes" at the K. Marjanishvili Theatre; on p. 84, the designers of the performance O. Kochakidze, A. Slavinski, I. Chikvaidze; on p. 85, writers: O. Ioseliani, A. Sulakauri, stage-director A. Chkhartsvili, writer O. Gobronidze; on p. 91, the authors of "the Unknown Friend" at the Gori theatre: M. Tchulukhidze and Sh. Makharobidze, in the centre—the director of the play G. Abramishvili; on p. 95—9, shots from the documentary film "We Defended the Caucasus".

Editor-in-Chief: Otar Egadze.

Editorial staff: Shalva Amiranashvili, Gela Bandzeladze, Karlo Gogodze, Aleksi Matchavariani, Natela Urushadze, Grigol Popkhadze, Dimitri Janelidze, Vano Tsulukidze.

Marjanishvili Street, 5, Tbilisi, Georgian SSR.

Tel. 5-10-24.

SABTSCHOTHA CHELOWNEBA

SOWJETKUNST

INHALT

FEIER DER LENINSCHEN IDEEN	2	Nikolaus Ackermann ZUM 400. JAHRSTAG DES RUSSISCHEN BUCHES	59
Othar Egadse ZEILEN DES KAMPFES	7	Nodar Schamanadse EIN MUSTER DES VOLKSDRAMAS	62
Schalwa Gogidse LENINS ANTLITZ IM FILM	11	Wachtang Dawithaia SCHWEIZERISCHE EINDRÜCKE	65
JUBILÄUMSABEND IN TBLISSI ZUM 94. JAHRSTAG LENINS	17	Grigol Kokeladse INGENIEUR UND CHOREOGRAPH	72
Niko Uruschadse SHAKESPEARE UND GEORGISCHE PUBLIZISTIK VOR DER REVOLUTION	18	Nadeshda Schalutaschwili WENN MAN ÜBER DEN WEG SCHAUT	75
Niko Kiasaschwili IM LANDE SHAKESPEARE'S	25	Platon Dadwani, Walerian Sagliani DA IST SWANETHI	81
W. Shakespeare EIN SOMMERNACHTSTRAUM (von Tschelidse über- setzt)	31	Gu'nara Kuthatheladse GEDANKEN ÜBER UNERLEDIGTE SACHEN	82
Georg Dshabaschwili SHAKESPEARE'S THEATER IN MOSKAU	36	Georg Swiadadse „NOVELLENABEND“	84
Joseb Lordkipanidse PSEUDONYME VON GALAKTION TABIDSE	41	Margarita Gogolashwili, Georg Dolidse „DER UNBEKANNTE FREUND“	91
Dawid Tschchkwischwili ZUM BEGRIFF DER KULTUR	44	Saira Anthelawa „WIR VERTEIDIGTEN DEN KAVKASUS“	95
Ether Guguschwili PIERRE KOBACHIDSE	49		

Auf der 6 Seite: Chruschtschows Portrait (zum 70. Geburtstag) S. 10. Seite: D. Gabitashwili—N. Chruschtschow bei den Kunstschaffenden Georgiens“. S. 11—15 Szenen aus Dokumentarfilmen von Lenin. S. 17 Feierliche Sitzung zum 94. Geburtstag Lenins. S. 19 K. Kiplani als König Lear. S. 20 L. Meschischwili—Hamlet. S. 21 W. Gunia—Othello. S. 22 W. Gunia—König Lear. S. 25—30 Geprägte Schaumünze zum 400. Geburtstag W. Shakespeare's und historische Sitten aus dem Leben des grossen Dichters. S. 36 Szene aus dem Schauspiel vom Shakespeare's Theater: „König Lear“. S. 38 Regisseur Pfler Bruck. S. 39. Schauspieler Pol Skofild. S. 40 Szene aus dem Bühnenstück „König Lear“. S. 41 Finalszenen aus dem Schauspiel „Komödie der Fehler“. S. 49—58 Der georgische Volkskünstler Pierre Kobachidse in verschiedenen Rollen. S. 59 Feierliche Sitzung zu Ehren des 400-jährigen Bestehens des russischen Buches. S. 60 Johann Feodorow's Denkmal in Moskau. S. 61 Die erste russische Druckerei. S. 65—71 Ansichten von verschiedenen Ortschaften der Schweiz. S. 68 Die Schautafel aus der Genfer Ausstellung „Frieden für Kinder“. S. 71 G. Byrons Autograph an einer Säule der Shilon—Burg. S. 72 Choreograph Georg Salukwadse. S. 75—79 Georgische Volkskünstlerin Alexandra Thoidse in verschiedenen Rollen. S. 81—82 Szenen aus dem Dokumentarfilm über Swenethi. S. 83 Journalist und Dramatiker G. Maruschwili. S. 83—84 Szenen aus dem Schauspiel des Theaters in Tschiatura. S. 84—90 Szenen und Teilnehmer des Bühnenstücks aus dem Mardshanischwili—Theater: „Novellenabend“. S. 84 Bühnenmaler: O. Kotschakidse, A. Slawinski, I. Tschikwadse. S. 85 Schriftsteller: O. Josellani, A. Sulakauri. Regisseur A. Tschchartischwili, Schriftsteller Gobronidse. S. 91 Verfasser des Schauspiels „Der unbekannt Freund“: Tschulachidse, Macharobidse, Abramischwili. S. 95—96 Szenen aus dem Dokumentarfilm: „Wir Kämpften für den Kaukasus“.

Chefredakteur:— Othar Egadse.

Redaktionskollegium: Sch. Amiranaschwili, G. Bandschidse, K. Gogodse, A. Matschawariani, N. U. uschadse, G. Popchadse, D. Dshanelidse, W. Zalukidse.

Georgische SSK, Tbilisi-1, Mardshanischwilistr. 5.
Telephon: 5 - 10 - 24

Կ. Տ. Մուշում

Индекс
76178